ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

20 მაისი **პარასკევი** 2011
№ 116 (13413) ფასი 60 თეთრი

ჩემპიონატის პროექტი ადმასკომისკენ მიმავალ გზაში გაიჩხირა

ეძვსმა მოწინააღმდეგემ უმრავლესობა დაითანხმა

2

ზვიად სიჭინავა

www.gff.ge-ს ფოტო

ცქიტიშვილი ბოლონიაში, სანიკიძესთან

12

სავარაუდო ტრანსფერი

ხუთი საჭარელი აგზავი უკრაინაზარდ...

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

● აქტუალური თემა

ზვიად სიჭინავა:

ყველა თანახმაა, თუ...

ჩემპიონატის სისტემა მოედნებზეა დამოკიდებული

ზვიად სიჭინავა (მარცხნივ) და რევაზ არველაძე გუშინდელ შეხვედრაზე (www.gff.ge-ს ფოტო)

კლუბებთან შეხვედრის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ მედიისთვის საგანგებო პრესკონფერენცია გამართა:

- აზრთა სხვადასხვაობას წინასწარ ვეღოდი, რადგან კლუბები კატასტროფულ მდგომარეობაში არიან. აღმასკომზე საკითხის განხილვა გადაიდო, პროექტი დაიხვენება და კლუბების წარმომადგენლებთან ერთად კვლავ განვიხილავთ. მოწინააღმდეგეები უმაღლეს ლიგაში გუნდების გაზრდას პრინციპულად არც ეწინააღმდეგებიან, თუ მოედნები გაკეთდება, სიამოვნებით დაგთანხმდებითო. ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრაზე კი ითქვა, რომ მოედნებისთვის თანხა გამოიყოფა.

რაც შეეხება თავად პროექტს, მიმაჩნია, რომ ახალი ფორმატი ჩვენს ჩემპიონატს მეტ პრესტიჟს შესძენს და საფეხბურთო ქალაქების გეოგრაფიასაც გაზრდის. ფაქტია, რომ რაიონებში მეტი მაყურებელია, ვიდრე თბილისში - "დინამოს" შეხვედრებსაც კი 500 გულშემატკივარი ესწრება, როდესაც ზესტაფონში, ქუთაისში, სამტრედიაში, ზუგდიდში, ფოთში სტადიონები ივსება.

ამას გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია ფეხბურთელების დასაქმებაც. საბჭოთა საქართველოში 25 ათასი ბავშვი ვარჯიშობდა, ახლა 17 ათასი, ანუ 8 ათასი დავკარგეთ, ბავშვები კი გუნდების სიმცირის გამო თამაშს თავს ანებებენ. ეს პრობლემაც გახდა ახალი პროექტის საფუძველი, რათა მეტმა ითამაშოს და მეტი გაიზარდოს.

იკითხეს, 44 შეხვედრა თუ ჩატარდა, ფეხბურთელები ძალების აღდგენას როდის მოასწრებენო. როდის ასწრებენ ინგლისში, გერმანიაში? წამყვან გუნდებს 50-მდე მატჩის გამართვა მოუწევს, ფეხბურთელი ყველაზე კარგად თამაშებით იზრდება.

- ბრძანეთ, რომ ოთხი კომპანია მზად არის, ეროვნულ ჩემპიონატში ფული ჩადოს. რომელ კომპანიებს გულისხმობდით?

- ეს საკითხი 99,9 პროცენტით გადაწყვეტილია, ლაპარაკია მილიონლარიან საპრიზო ფონდზე, მაგრამ ჯერ მათ ვერ დავაკონკრეტებ. ამას გარდა, მიმდინარეობს მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ ფედერაციამ საკუთარ თავზე აიღოს კლუბების ტრანსპორტირების ხარჯების ნაწილი და ისინი დიზელის საწვავით მოამარაგოს. ამას გარდა, ვეძებთ სასტუმროებს, რომლებიც უმაღლესი ლიგის მატჩებამდე გუნდებს შედარებით იაფად მოემსახურებიან.

- რეგლამენტის დარღვევას არც ადრე მოუტანია შედეგი. არ ჯობდა სეზონის დასრულების მერე წარგედგინათ? სახელმწიფოს კარნახი ხომ არ იყო ასეთი სიჩქარის მიზეზი?

- სახელმწიფო არაფერ შუაშია, უბრალოდ, საფეხბურთო მეურნეობას ბევრ ქალაქში მიხედეს. მაგალითად, გორში ახლა კიდევ სამ მოედანს და სტადიონს აკეთებენ, "სოკარი" ორ მოედანს მოაწყობს, გარემონტდება "ლოკომოტივის" სტადიონი. ამ მოედნებს ვინ მოუვლის, გუნდები თუ არ იქნება? ახლა ვეღარ განმეორდება ის, რაც ამ ჩემპიონატში ხდებოდა, პირველი წრის შემდეგ გუნდები უფულოდ რომ რჩებოდნენ. მაგრამ ჯერ არც ვიცით, მიიღებს თუ არა აღმასკომი ამ პროექტს. თუნდაც ლიცენზირების კომიტეტი ყველა გუნდს მისცემს ლიცენზიას? ამიტომ გვაინტერესებდა კლუბების პოზიციების მოსმენა.

- სულ რამდენი ლიცენზირებულია კლუბია?

- ძალიან ცოტა, ბევრს ეროვნული ლიცენზიის მიღებაც უჭირს, მაგრამ მდგომარეობა რადიკალურად უნდა შეიცვალოს.

- ახლა რომელ სტადიონზე კეთილმოწყობა მოედნები?

- სამტრედიაში, ფოთში, ქობულეთში, გორში. ბათუმის "დინამო" უმაღლეს ლიგაში თუ არ გადმოვა, ეს არ ნიშნავს, რომ აჭარაში ფეხბურთის განვითარებაზე არ ვიზრუნოთ.

- რატომ გადაწყდა ჩემპიონატის ჩატარების სისტემის შეცვლა, სახელმწიფოსგან დაფინანსების მყარი გარანტია მიიღეთ?

- უცებ არ მოგვიგონია, ამ პროექტზე ექვს თვეზე მეტია ვმუშაობთ. სახელმწიფო ფეხბურთში დიდ თანხას ხარჯავს და ჩვენი სურვილია, ეს ფული იქ გადანაწილდეს, სადაც საქმე კეთდება. სახელმწიფოს რაც შეეხება, ფეხბურთის განვითარებაზე პრეზიდენტმა ილაპარაკა.

ბოლოს, ბეჭდვითი მედიის წარმომადგენელმა ჩვენი საერთო საფიქრალი გააჟღერა:

- ჩემპიონატის სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით განცხადებას რომ აპირებდით, მხოლოდ ტელევიზიები გააფრთხილეთ. ჩვენი მონოდება იქნება, ნუ გამოტოვებთ ბეჭდვით მედიას, რადგან ქართული ფეხბურთისთვის არავისზე ნაკლებ არ ვზრუნავთ.

- აბსოლუტურად გეთანხმებით, მაგრამ კითხვა მე არ მეხება, ამის თაობაზე ჩვენს პრესსამსახურს მიმართეთ.

ჩემპიონატის პროექტი აღმასკომისკენ მიმავალ გზაში გაიჩხირა

ექვსმა მოწინააღმდეგემ უმრავლესობა დაითანხმა

ქართული ფეხბურთი სანახაობრივი არ არისო - რა სისულელეა! ბოლო დროს ქართული ფეხბურთი ისეთ შოუს დაემსგავსა, ვერც ერთი მომღერლის თუ მსახიობის შოუ რეიტინგით ვერ გაუტოლდება.

ასე იყო გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართულ შეხვედრაზეც, სადაც ეროვნული ჩემპიონატის სისტემის შეცვლაზე კლუბების წარმომდგენლებმა იმსჯელეს.

სანამ უშუალოდ თემას შევეხებოდეთ: ბოლო დროს ბევრი ამბობს, ქართულ ფეხბურთში ყველა შეხვედრა ჩხუბით მთავრდებაო. ქართულ ფეხბურთს გულახდილი ლაპარაკი სჭირდება და არა ყველაფერზე თავის დაქნევა და მიგვაჩნია, რომ ეს მწვავე ლაპარაკი (და არა ჩხუბი) საჭიროც არის, რადგან საფეხბურთო სამყაროს რეალური წარმოდგენები ექმნება პრობლემებზე. თუ ვინმეს ჰგონია, რომ სიმშვიდეს ამოფარებული ზღვაპრობლემები კარგად ყოფნას ნიშნავს, ძალიან ცდება.

... ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** განცხადებას ეროვნული ჩემპიონატის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. კლუბების წარმომადგენლებს თავის მოკატუნება არც უცდიათ.

შეხვედრა იმით დაიწყო, რომ სიჭინავამ დილით გაცნობილ კომენტარებთან დაკავშირებით პოზიცია დააფიქსირა: — დიახ, ჩვენ გვსურს ჩემპიონატის დებულების შეცვლა, მაგრამ ეს რეგლამენტის დარღვევა არ იქნება.

„ზესტაფონის" პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** გუნდების გაზრდის წინააღმდეგ გაილაშქრა:

- მე ფედერაციასთან ჩხუბი და ომი არ მჭირდება, მოვედი იმიტომ, რომ გულახდილად ვილაპარაკო და ჩემი პოზიცია დავაფიქსირო. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ გუნდების გაზრდა შეცდომა იქნება.

თბილისის „დინამოს" მმართველმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმაც** იგივე უფრო დიპლომატიურად თქვა: - ზოგადად გუნდების გაზრდა ურიგო იდეა არ არის, მაგრამ საამისოდ საკმარისი ინფრასტრუქტურა ბევრ გუნდს არ გააჩნია".

ზვიად სიჭინავა: - ეს ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ფეხბურთი უფრო მასობრივი და პოპულარული გახდეს. სანამ გუნდების რაოდენობა გაიზრდება, მანამდე ინფრასტრუქტურაც მოწესრიგდება.

ილია კოკაია: მესმის, რომ გარკვეული იმედები არსებობს, მაგრამ ჯერ ეს დანაპირები შესრულდეს და მერე თუნდაც 20 გუნდით ვითამაშოთ, ვინ იქნება წინააღმდეგი?

ახლა კი საამისო პირობები არ არის. მაგალითად, აქ ხომ არის მარტვილის „მერანის" წარმომადგენელი, მაინტერესებს, თქვენ გაქვთ უმაღლესი ლიგის მატჩების სამასპინძლოდ შესაფერისი სტადიონი და მოედანი?

„მერანის" წარმომადგენელი: - ამ საკითხზე ვმუშაობთ.

ილია კოკაია: - მუშაობა არ არის საკმარისი, ეს ყველაფერი უკვე უნდა გქონდეთ. მოდით, ჯერ გავაკეთოთ მოედნები, გასახდელები, ტრიბუნები და მერე გამოვთქვათ უმაღლესში თამაშის სურვილი.

ზვიად სიჭინავა: - მოედნები გაკეთდება და თორმეტივე გუნდს სპონსორი ეყოლება.

ილია კოკაია: - ჯერ გამოჩდნენ და გადაწყვეტილება მერე მივიღოთ. 12-გუნდიანი ჩემპიონატისთვის 12 ნორმალური სტადიონი და მოედანია საჭირო. თუ უზრუნველყოფილნი იქნებიან, თუნდაც 16-გუნდიანი ჩემპიონატი იყოს.

ზურაბ პოლოლიკაშვილი: - სასურველია, რომ ინფრასტრუქტურა გადაწყვეტილების მიღებამდე მოწესრიგდეს.

უჩა ნებიერიძე, თბილისის „ლოკომოტივის" დირექტორი: - საინტერესოა, ლიცენზიებს როგორ გასცემთ, როდესაც „ლოკომოტივს" საკუთარი ბაზაც აქვს, სპონსორიც ჰყავს და ეროვნული ლიცენზია სტადიონის არქონის გამო არ მოგვცეს. ტრადიციულად, „მიხეილ მესხს" ვქირაობდით და რატომღაც უარი გვითხრეს. ახლა იმათი მიკვირს, ვისაც არაფერი გააჩნია, მაგრამ უმაღლეს ლიგაზე პრეტენზია აქვს.

მალხაზ კაკაურიძე, „ვიტ ჯორჯიას" გენერალური დირექტორი: - იმიტომ არ მოგცეს ლიცენზია, რომ „ლოკომოტივს" უსაფრთხოების ლიცენზია არ გააჩნია.

ზვიად სიჭინავა: - დაგვიჯერეთ, სახელმწიფოსა და სპონსორების მხარდაჭერით მოედნებიც გაკეთდება და სტადიონებიც.

ილია კოკაია: - აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ ვისმინოთ, როგორ ააყვავა ფედერაციამ ქართული ფეხბურთი?

ზვიად სიჭინავა: - როგორც შენ მიიღე „ზესტაფონი", ისე მივიღე მე ფედერაცია და რაღაცებს ვაკეთებთ, ისეც არ არის საქმე.

ილია კოკაია: - ხმას ნუ უწევ. ეს შენი სახლი არ არის.

ზვიად სიჭინავა: - ეს სწორედ ჩემი სახლია და როგორც მინდა, ისე ავუწევ ხმას. აქ საქმეზე სალაპარაკოდ შევიკრიბეთ და არა სხვა რამეზე... აქ 90 პროცენტი ტყუილებს ხართ მიჩვეული.

ილია კოკაია: - ვინ არის მიჩვეული?

ზვიად სიჭინავა: - 90 პროცენტი!

ვითარება დაიძაბა და ტრადიციული გამოსავალი მოიძებნა: დარბაზი მედიისთვის დაიხურა. თუმცა გამჭირვალე და ნახევრად ღია კარიდან ჩანდა, რომ იყო ქართველი მამაკაცების მწვავე, მაგრამ გულღია მსჯელობა პრობლემებზე, რაც რამდენჯერმე ცხარე კამათში გადაიზარდა, მაგრამ არ ყოფილა სკანდალი.

საინტერესო იყო **გაიოზ დარსაძის** პოზიცია: - ჩვენ თუ ვუყურეთ მხოლოდ იმას, ვის აქვს საუკეთესო ინფრასტრუქტურა, ასე უმაღლეს ლიგაში ექვსი გუნდი არ დაგვრჩება. ბატონო ილია, მე მინდა, რომ თქვენ უკეთესი შევსება გაგეზარდოთ, ამისთვის კი მეტი კლუბია საჭირო. 10 გუნდით კარგად მომზადებული გუნდი როგორ გეყოლებათ, როდესაც ყოველ მეოთხე დღეს გინევთ თამაში?

საბოლოოდ ცნობილი გახდა, რომ დღეს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი ეროვნული ჩემპიონატის ახალ პროექტს აღარ განიხილავს. წინააღმდეგ ექვსი გუნდი წავიდა - უმაღლესი ლიგის ლიდერთა ოთხეული ("ზესტაფონი", "დინამო", "ოლიმპი", "ტორპედო") და ორი პირველლიგელი ("გაგრა" და „ლოკომოტივი").

აღმასკომს კი დაევალება, რომ შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც დახვეწილ პროექტს უახლოეს დღეებში ფედერაციისა და კლუბების ხელმძღვანელთა მორიგ შეხვედრაზე წარადგენს.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა



დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეზეთებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

U21

გაბელიამ დაასახელა

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ გაბელიამ** ხორვატიასთან 3 ივნისს დანიშნული მატჩისთვის ნაკრების შემადგენლობა დაასახელა.

მეკარეები: **გიორგი მაკარიძე („ლე მანი“, საფრანგეთი), თორნიკე ზარქუა („დინამო“ თბილისი), გიორგი ნადირაძე („დინამო 2“)**

მცველები: **ივანე კანდელაკი („ოლიმპი“, რუსთავი), ლაშა კალანდაძე („გაგრა“), საბა კვირკველია („რუბინი“,. რუსეთი), ნიკოლოზ აფაქიძე („ბაია“), ლევან კაკუბავა („დინამო“ თბილისი), დავით ხოჭოლავა („სიონი“, ბოლნისი), ნიკოლოზ ჯიშკარიანი („გაგრა“),**

ნახევარმცველები: **ნიკა ძალამიძე („ვიძევი“, პოლონეთი), თორნიკე ოქრიაშვილი („ილიჩევეცი“, უკრაინა), ზაქარია ბეგლარიშვილი („ფლორა“, ესტონეთი), თეიმურაზ შონია („სპარტაკი“ ცხინვალი), გიორგი სალარიძე (უგუნდო), თორნიკე თარხნიშვილი („ტორპედო“, ქუთაისი), ნიკა კვეკვესკირი („დინამო“ თბილისი), ირაკლი ლექვთაძე („დინამო“ თბილისი), ვალერი ყაზაიშვილი („სიონი“, ბოლნისი), გიორგი თექთურმანიძე („დინამო“ თბილისი), ზვიად სიხარულია („ბაია“).**

თავდამსხმელები: **ლევან მჭედლიძე, ირაკლი შეყილაძე (ორივე „ემპოლი“, იტალია), გიორგი ჭანტურია („ვიტესი“, ჰოლანდია), ირაკლი ქობალია („ბაია“), ნიკოლოზ საბანაძე („ტორპედო“, ქუთაისი).**

ოთარ გაბელიას გუნდი 23 მაისს, 13:00 საათზე თბილისში, სასტუმრო „ბომონდ გარდენში“ შეიკრიბება.

მერაბ მამულაშვილი

სკანდალის კვალდაკვალ

ჩვენ არაფერს ვამბობთ, მაგრამ ვამბობთ...

ხუთი საზარელი ამბავი უკომენტაროდ...

როგორც ვივარაუდეთ, საქართველოს ჩემპიონატის გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებული სკანდალი მალევე ჩაცხრა და მავანთა გასახარად და ქართული ფეხბურთისთვის საზიანოდ, საქმეს გაგრძელების პირი აღარ უჩანს. ჩვენი ჩემპიონატის მთავარი თემა უკვე გუნდების რაოდენობის გაზრდაა, ქართული საფეხბურთო ოჯახის ბევრი წევრი კი უკანონო ფულს ძველებურად იშოვის.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მკითხველის ინტერესი შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილოთ. ქვემოთ მოყვანილი ამბები და სქემები ყოფილმა ფეხბურთელმა გვიამბო, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა და ამიტომ ჩვენც ისტორიების "გმირთა" სახელებს ჩვენთვის შევინახავთ, თუმცა დაკვირვებული და საქმეში ჩახედული მკითხველი ისედაც ბევრ რამეს მიხვდება...

ამბავი პირველი

რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი თბილისური კლუბი ინტერტოტოს თასზე არასაფეხბურთო ჯუჯა ქვეყნის წარმომადგენელს გადაეყარა და ორი მატჩის ჯამში მოულოდნელად დამარცხდა. ორივე შეხვედრა ფრედ დასრულდა, მაგრამ მეტოქემ შემდეგი ეტაპის საგზური სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით მოიპოვა.

მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ თამაშების შედეგები განზრახ იყო "დასმული", მაგრამ ვარაუდი ვარაუდად დარჩა.

ჩვენი.წყაროს ცნობით, რუსეთში მდებარე ერთ არცთუ ცნობილ ტოტალიზატორში, რომელსაც ქართველი მეპატრონე ჰყავს, პირველი თამაშის ფრეზე ორმა უცნობმა 40-45 წლის ქართველმა მამაკაცმა 10 ათასი ევრო დადო. ტოტალიზატორის მფლობელს ამ ფაქტისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ, როცა უცნობი თანამემამულეების პროგნოზი გამართლდა, ფაქტს დიდი გულისყურით მოეკიდა, თუმცა ბევრი ვერაფერი გაარკვია.

განმეორებითი მატჩის წინ იმ ორმა ქართველმა კიდევ მიაკითხა ნაცნობ ტოტალიზატორს და ფრეზე კიდევ უფრო დიდი თანხის დადება მოისურვა, მაგრამ უარი მიიღო. სამაგიეროდ, სხვადასხვა რუსულ ტოტალიზატორებში ამავე შეხვედრის ამავე შედეგზე საერთო ჯამში 60 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი დაიდო და პროგნოზი კვლავაც გამართლდა.

ამბავი მეორე

საქართველოს ჩემპიონატში არაერთ ისეთ მწვრთნელს უმუშავია, რომელნიც საფეხბურთო წარმატებების გარდა კულუარებში მექრთამეობითაც იყვნენ ცნობილნი. მათ უკანონო შემოსავლები ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებისა და მათი მშობლებისგან ჭქონდათ. როგორც ხვდებით, ეს თანხა დამწყები მოთამაშეებისთვის საფეხბურთო გზის გაკვალვის სანაცვლოდ იდებოდა.

ერთ-ერთი ცნობილი და ტიტულოვანი ქართველი სპეციალისტის "ტარიფი" ამ "მომსახურებისთვის" 5 ათასი აშშ დოლარი იყო. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ კლუბში მოღვაწეობისას მან დუბლშემადგენლობის ფეხბურთელს სწორედ ეს თანხა გამოართვა და ძირითად გუნდში დაწინაურებას დაპირდა. სხვათა მსგავსად, ამ დაპირებას მასაც უთუოდ შეუსრულებდა, მაგრამ კლუბში მალე სიტუაცია აირია, ხელმძღვანელობა შეიცვალა და ამ მწვრთნელსაც ნასვლამ მოუწია. დაპირება შეუსრულებელი დარჩა, რასაც დიდი გარჩევები მოჰყვა. ფეხბურთელის ოჯახი მწვრთნელისგან ფულის დაბრუნებას ითხოვდა და დიდი დავიდარაბის შემდეგ მწვრთნელმა ფულის შენარჩუნება ფეხბურთელის სხვა გუნდში მონყობით მოახერხა.

ამბავი მესამე

მეორე ვეტერანი მწვრთნელი მექრთამეობაში უფრო ფრთხილი იყო და თავის დაზღვევის მიზნით ფეხბურთელების ოჯახებს მოსალაპარაკებლად თანაშემწეს უგზავნიდა ხოლმე.

ეს ამბავიც ლიხსიქითა კლუბში მოხდა: სეზონის მსვლელობისას გუნდი ძირითადმა მეკარემ დატოვა და კარი მის ახალგაზრდა დუბლიორს ანდეს. როცა საქმე მეორე გოლკიპერის შერჩევაზე მიდგა, მწვრთნელმა დუბლშემადგენლობის ნიჭიერი მეკარის ოჯახს შვილის დასაწინაურებლად სოლიდური თანხა მოსთხოვა. ოჯახი ხელმოკლე არ იყო, მაგრამ მიიჩნია, რომ ბიჭი საკუთარი დამსახურებით და ქრთამის გარეშეც შეძლებდა წინსვლას, მაგრამ მწარედ შეცდა – გუნდის მეკარეთა მწვრთნელი მთავარ მწვრთნელს მის ნიჭიერებაში არწმუნებდა, მაგრამ ახალგაზრდა მეკარე ერთ-ერთი საუკეთესო ქართული კლუბიდან მალე დაითხოვეს და დღემდე პირველ ლიგაში თამაშობს.

ჩვენი ინფორმატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ კლუბის მწვრთნელთა უკეთურობანი კლუბის პრეზიდენტის გვერდის ავლით ხდებოდა.

ამბავი მეოთხე

"საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელთა უმრავლესობა სისტემატურად თამაშობს ტოტალიზატორში, დახლოებით 20-25 პროცენტი "ხელზეც მაზაობს" და ამ ყველაფრის მერე როგორ დავიჯერო, რომ მხოლოდ ის ხუთი ფეხბურთელი კადრულობს ისეთ სიბინძურეებში მონაწილეობას, რისთვისაც ისინი დისაჯნენ. მათი გამოაშკარავება სუფთა პიარი იყო, უზარმაზარ დანაშაულებრივ ხეს ხუთიოდე ფოთოლი გასცვივდა, რითაც აბსოლუტურად არაფერი შეცვლილა. ქართული ფეხბურთი ძალიან ღრმა ჭაობში რჩება", - ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

იგი ტოტალიზატორისგან გაუბედურებულ ყოფილ თანაგუნდელებს იხსენებს, რომელთაგანაც რამდენიმე უკვე ცოცხალი აღარაა, ზოგი უიმედო ნარკომანია, ზოგიც კი გისოსებს მიღმა ზის. ყველაფერი "კუშებისადმი" გადამეტებული სიყვარულით დაიწყო: *"ფეხბურთელებს კომფორტული ცხოვრება უყვართ და ტოტალიზატორი მათთვის უდიდესი საცდურია. ტოტალიზატორთან ურთიერთობის დაწყებიდან ცოტა ხანში ფეხბურთელის სოლიდური ხელფასი უკვე სასაცილოდ გამოიყურება წაგებულ თანხასთან შედარებით. ფეხბურთელი სიტუაციიდან გამოსავლის ძებნას იწყებს და მათ "მშველელად" გაბედავასნაირი ტიპები ევლინებიან, რომლებიც ერთი შეხედვით უწყინარ და იოლად შესასრულებელ საქმეში სოლიდურ გასამრჯელოს სთავაზობენ. ასე რომ, ყველა უბედურება ერთი შეხედვით უვნებელ ტოტალიზატორში შესვლით იწყება. როგოც ვიცი, ეს "ზესტაფონის" ფეხბურთელებს აკრძალული აქვთ და კარგი იქნება, ამ მაგალითს სხვა კლუბებიც თუ მიბაძავენ".*

■ ■ ■

ჩვენი რესპონდენტი კონკრეტულ გამოვლენილ ფაქტებსაც უკეთებს კომენტარს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი ტიპის მანიპულაციების განხორციელება მეკარის გარეშე შეუძლებელია. ბუნებრივია, ეს არ ეხება აუტებისა თუ პენალტების რაოდენობის "დასმას", მაგრამ თამაშის გაყიდვა მეკარესთან შეუთანხმებლად არასდროს ხდება. უმეტეს შემთხვევებში გაყიდული თამაშის შესახებ ყველაფერი იცის მწვრთნელმაც, მაგრამ არის გამონაკლისებიც.

ამბავი მეხუთე

ბოლოს კი შევეცდებით მეტ-ნაკლებად ვრცელი ინფორმაცია მოგაწოდოთ იმ ტოტალიზატორების შესახებ, რომლებიც საქართველოსა და მისი დონის სხვა ჩემპიონტებში დაფიქსირებული პენალტების, ბარათების, კუთხურებისა თუ აუტების რაოდენობებით არიან დაინტერესებულნი.

ამ საქმით ძირითადად წვრილ-წვრილი ტოტალიზატორები არიან დაინტერესებულნი, რომელთა უმრავლესობის სახელის დადგენაც კი ჭირს, ვებგვერდებზე რომ აღარ~~აფერი ვთქვათ, ეაცმ~~ა რომ თქვას, ეს არც სჭირდებათ და თუ რატომ, ამას ქვემოთ მიხვდებით.

ასეთი უკანონო საბუქმეიქერო კანტორები XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ავსტრიაში დაფუძნდა და მათ ჩამოყალიბებაში ქართველთა ხელიც ერია. ავსტრიულმა სამართალდამცავმა ორგანოებმა დანაშაულებრივი სქემა მალევე გაშიფრეს და ახალშექმნილი სარფიანი ბიზნესის დაპატიმრებას გადარჩენილმა

ხეს რომ ხუთიოდე ფოთოლი მოსწყდება, მცენარე არ გაშიშვლდება - ასეა საქმე ჩვენს კორუმპირებულ ფეხბურთშიც...

მესვეურებმა საქმიანობა აზიის ქვეყნებში, ძირითადად სამხრეთ კორეაში განაგრძეს, სადაც დღემდე ლაღად გრძნობენ თავს.

ბოლო დროს საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდა მამაკაცებს "სკაიპის" მეშვეობით ხშირად უკავშირდებიან უცნობი კორეელები და საკუთარი ტოტალიზატორების გარკვეული მომსახურების სანაცვლოდ თანხას სთავაზობენ. კერძოდ, მსურველი, რომელიც საყველპურო ინგლისურს მაინც ფლობს, დაესწრება საქართველოს ჩემპიონატის ამა თუ იმ მატჩს, მოიმარჯვებს კალამსა და ბლოკნოტს, აღნუსხავს სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს, თამაშის დროს მობილური ტელეფონით უპასუხებს აზიიდან შემოსულ ზარებს და იქაურ ბუქმეიქერს ხშირ-ხშირად გადასცემს თამაშის ამა თუ იმ მომენტისთვის დაფიქსირებულ მაჩვენებლებს. როგორც წესი, ერთი მატჩისთვის ამგვარი მომსახურების საფასური 100 აშშ დოლარს შეადგენს. ასე რომ, სულაც არ არის საჭირო სტადიონზე დამალული აზიელის ძებნა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას იქ ვერ ვიპოვით – ამ საქმეს ქართველიც ჩინებულად ართმევს თავს.

ალბათ იკითხავთ, რატომ ენდობიან აზიელები ქართველების მიერ გადაცემულ ინფორმაციას. საქმე ისაა, რომ მათთვის აბსოლუტურად სულ ერთია, სიმართლეს გადასცემს თუ არა ქართველი ინფორმატორი. მეტიც – არც ის ადარდებთ, იგი სტადიონიდან ელაპარაკება თუ ვთქვათ, სახლიდან ან რესტორნიდან.

და აი, რატომ: ამ ტოტალიზატორების მთავარი შემოსავალი ფეხბურთი სულაც არ არის. მათი მესვეურები ფულს უმეტესად ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობით, ასევე პროსტიტუციით შოულობენ, ტოტალიზატორი კი შავი ფულის გასათეთრებლად სჭირდებათ.

როცა თამაშის მსვლელობისას ქართველი ინფორმატორი "ცოცხალის" შედეგებს გადასცემს, მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ერთი ტოტალიზატორის წარმომადგენელი მეორე "მეგობარ" ტოტალიზატორში დებს სოლიდურ თანხას და იქაურ სტატისტიკურ საიტებზე მერეღა ჩნდება ინფორმაცია საქართველოს ჩემპიონატის კონკრეტულ მატჩში ამა თუ იმ წუთისთვის დაფიქსირებულ კუთხურებზე, ბარათებზე, აუტებზე და ა.შ. ანუ თითქოს ჯერ ფსონი დაიდო და შედეგი შემდეგ გახდა ცნობილი, არადა, საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან ინფორმაცია წინასწარაა გადაცემული. აქ "მოგებულ-წაგებული" ტოტალიზატორი სულ ერთია, რადგანაც მათი პატრონები კომპანიონები არიან და ზემოთ ნახსენები შავ-ბნელი ბიზნესიდან მიღებულ გრანდიოზულ საერთო ფულს ამგვარად ათეთრებენ.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მოჭყუება და რეგლამენტის უზენაესობა

ამ სეზონში უკვე მეორე შემთხვევაა, ტრადიციულ რუბრიკაზე („ტურის მიმოხილვა“) უარს შეგნებულად რომ ვამბობ; რაღა თქმა უნდა, ასევე ტრადიციულ „ტურის სიმბოლურ ნაკრებსაც“ არ შემოგთავაზებთ და არც განვლილი ტურის განსაკუთრებულ თუ დასამახსოვრებელ ფაქტებზე ვისაუბრებთ. არადა, მსგავსი პრეცედენტი სულ ახლახან გვქონდა — კერძოდ, XXXII ტურის შემდეგ; თუმცა, მაშინ, სულ სხვა მიზეზის გამო გადავწყვიტეთ, რომ უარი

> **დღემდე, არასდროს მომხდარა, რომ საქართველოს ჩემპიონატის რეგლამენტის უმთავრესზე-უმთავრესი პუნქტი („ჩემპიონატის ჩატარების სისტემა“) - უშუალოდ... ჩემპიონატის მსვლელობისას დარღვეულიყოს!**

გვეთქვა ტურის მიმოხილვასა თუ სიმბოლურ ნაკრებზე. შეგახსენებთ, რომ სწორედ XXXII ტურის მატჩებიდან (30 აპრილს რომ ჩატარდა) ორი დღის მერე შევიტყვეთ ყველამ, ჩვენს ჩემპიონატში ფეხბურთელთა გარკვეული ჯგუფი გარკვეულ მანიპულირებას რომ ახდენდა და „შესაბამისი ანაზღაურების“ სანაცვლოდ პენალტებს, აუტებს, ჯარიმებსა თუ ვინ მოთვლის კიდევ რამდენ რამეს... მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად „ასრულებდა“. ჰოდა, თავის მოტყუება რომ არ გამოგვსვლოდა, სწორედ ამიტომაც ვთქვი უარი ტრადიციულ რუბრიკაზე, — ალბათ, „მცირე მასშტაბის“, მაგრამ მაინც ერთგვარი ბოიკოტივით იყო; ჰო, მაშინაც აღვნიშნე, რომ თურმე მთელი სეზონი თავს ვიტყუებდით, როცა 14 აგვისტოდან (ანუ, ჩემპიონატის სტარტიდან) მოყოლებული, მუდამ ერთსა და იმავეს გავიძახოდით: რომ არნახულად დამაინტრიგებელი და საინტერესო ჩემპიონატი გვაქვს, რომ საპრიზო სამეულის მსგავსად ასევე არნახულად დაძაბულად მიმდინარეობს ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი გუნდების მონაწილეობით ჩატარებული მატჩებიც, რომ ეს ჩემპიონატი განსაკუთრებულად გამორჩეულია სნორედაც რომ დაძაბულობის ხარისხით და ასე შემდეგ. თუმცა, აღმოჩნდა რომ მწარედ ვცდებოდით, მაგრამ ქართველი ფეხბურთელებისა და დღემდე „დაუდგენელი“ იმ უცხოური ტოტალიზატორების ურთიერთობით ეს, მართლაც გამორჩეულად „უცნაური“ სეზონი არ დამთავრებულა; უფრო ზუსტად, ორი დღისწინანდელმა „ნოვაციამ“ ლამის არის ზემონახსენები სკანდალური თემაც „გადაწონოს“: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბატონმა **ზვიად სიჭინავამ** ისეთი პროექტი წარმოადგინა, ფაქტობრივად, ჩემპიონატის ფინიშს... აზრი რომ დაეკარგა!!!

არშემდგარი ნოვაცია

...ამ პროექტის არსი რაშიც მდგომარეობს, ფეხბურთის გულშემატკივრებმა გუშინ შეიტყვეს; თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ყველაფერი ეს ხდება ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის დღეს, როცა ხუთიდან სულ მცირე სამ მატჩს უდიდესი სატურნირო მნიშვნელობა ჰქონდა (მხედველობაში გვაქვს „კოლხეთის“, „სიონისა“ და „სპარტაკის“ მონაწილეობით ჩატარებული შეხვედრები). მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ მოფიქრებულმა პროექტმა იმ სამივე მატჩსაც ყოველგვარი ინტრიგა თუ ინტერესი დაუკარგა და საერთოდაც, დარჩენილ ორივე ტურსაც! ანუ, აქამდე ყველამ ვიცოდით, რომ არსებობდა საქართველოს 2010-2011 წლების XXII ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტი, კერძოდ, პუნქტი 3 (ჩემპიონატის ჩატარების სისტემა), სადაც „გარკვევით“ წერია: **უმაღლეს ლიგაში IX და X ადგილზე გასული გუნდები 2011-2012 წლების XXIII ჩემპიონატში გადაყვანილი იქნება I ლიგაში. ხოლო მე-8 ადგილზე გასული გუნდი უმაღლესი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად ითამაშებს ფლეიოფის თამაშს I ლიგაში III ადგილზე გასულ გუნდთან. მატჩი გაიმართება ნეიტრალურ მოედანზე (I შეხვედრა). თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება ორი 15 წუთიანი ტაიმი. თუ დამატებით ტაიმებში არ გამოვლინდა გამარჯვებული ფიფას წესების შესაბამისად დაინიშნება 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმები“ (სტილი დაცულია — რედ).**



დიახ, ასე ვიცოდით ყველამ სეზონის დაწყებიდან დღემდე (უფრო ზუსტად, 18 მაისამდე), მაგრამ, თურმე, „მწარედ ვცდებოდით“: ახალი პროექტის თანახმად, VIII ადგილოსანსაც მშვიდად ყოფნა შეეძლებოდა (ანუ, „კოლხეთსა“ და „სიონს“ სანერვიულო არაფერი ექნებოდათ), ჯერ კიდევ წინა ტურის შედეგების მიხედვით პირველ ლიგაში „გადაგზავნილ“ სამტრედიასაც“ მშვენიერი შანსი ეძლეოდა უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის და აღარაფერს ვამბობთ „სპარტაკზე“, დებულების თანახმად, აი, ამ ტურის შემდეგ ასევე პირველ ლიგაში დაქვეითებულად რომ უნდა გამოგვეცხადებინა. არა, პლეიოფს ვნახავდით, თანაც, ერთის ნაცვლად... ორს: ახალი და მართლაც ნოვატორული პროექტის თანახმად, უმაღლეს ლიგაში IX ადგილზე გასული გუნდი ერთმატჩიან პლეი ოფში შეხვდებოდა პირველ ლიგაში IV ადგილზე გასულ გუნდს, ხოლო უმაღლესში X ადგილზე გასული გუნდი ასევე ერთმატჩიან ფლეიფში პირველი ლიგის მესამეადგილოსანს დაუპირისპირდებოდა. რაც შეეხება პირველ ლიგაში პირველ და მეორე ადგილებზე გასულ გუნდებს, ისინი ავტომატურად გადმოვლენ უმაღლესში; „ს“-კი იმას მოასწავებს, რომ მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა გაიზრდებოდა და 12-გუნდიანი ჩემპიონატიც გვექნებოდა! კი, ბატონო, ყველა ის სიახლე, რომელიც ქართული ფეხბურთის განვითარებას უნდა წაადგეს, მისასალმებელია და ვინ იცის, იქნებ მომავალი სეზონის ახლებურად ჩატარებამაც ხელი შეუწყოს საქართველოს ჩემპიონატის დონის ამაღლებას. ისე, მომავალი სეზონის პროექტი ურიგო არ უნდა იყოს. პირველ ეტაპზე უმაღლესი ლიგის 12 გუნდი ორ წრედ ითამაშებს; ამავე პერიოდში უნდა დასრულდეს პირველი ლიგის ჩემპიონატის პირველი ეტაპიც — იქაც ორწრიანი ტურნირი იქნება, ოღონდ, 16 გუნდის მონაწილეობით.

აი, მეორე ეტაპი კი, დღევანდელი „გადმოსახედიდან“ მართლაც გარკვეულ ინტრიგას გვპირდება: უმაღლეს ლიგაში პირველი ეტაპის მიხედვით, I-VIII ადგილზე გუნდები ორ წრედ, ოღონდ განახევრებული ქულებით გააგრძელებენ ბრძოლას ჩემპიონობისა თუ ევროპის ლიგის საგზურებისათვის; უმაღლეს ლიგაში პირველი ეტაპის მიხედვით IX-XII ადგილზე გასულ ოთხ გუნდს დაემატება პირველი ლიგის ოთხი საუკეთესო გუნდი და „ახალი“ ტურნირიც დაიწყება. პირობითად „გასავარდნი პლეი ოფი“ რომ შეიძლება დავარქვათ. ანუ, რვა გუნდი ორ წრედ ითამაშებს და ამათგან 4 საუკეთესო უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს, ხოლო V-VIII ადგილზე გასული გუნდები კი პირველ ლიგაში გადავლენ. სხვათა შორის, „გასავარდნ პლეი-ოფში“ მოასპარეზე გუნდები ტურნირს არა განახევრებული ქულებით, არამედ... ნულით დაიწყებენ!

აშკარა დასაჯერებელი

... საქართველოს ჩემპიონატისათვის არც 12-გუნდიანი პირველობაა „უცხო“ და არც ორეტაპიანი და განახევრებულ-ქულებიანი გათამაშებაც; უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობაც არაერთხელ შეცვლილა და, **რაც მთავარია — რეგლამენტიც!** ანუ, როცა ვიცოდით, რომ ამა თუ იმ სეზონში უმაღლეს ლიგაში, ვთქვათ, 12 გუნდს უნდა ეასპარეზა, სხვადასხვა (უფრო ხშირად, პოლიტიკური) პრინციპის გათვალისწინებით, რაოდენობა... ოთხით გაზრდილა! ისეთი ფაქტებიც არაერთხელ ყოფილა, როცა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა შემცირებულა, ოღონდ, ამ შემთხვევაში ამა თუ იმ გუნდის ფინანსური პრობლემების გამო (ლიცენზირების პირობებს ვერ აკმაყოფილებდნენ, ან ფინანსურ გარანტიებს ვერ წარმოადგენდნენ) ხდებოდა ყველაფერი. თუმცა, ყველა ის ცვლილება ხდებოდა უშუალოდ ახალი სეზონის დაწყების წინ (გნებავთ, რომელიმე სეზონის დასრულებიდან თვე-თვენახევარში); ანუ, დღემდე, უფრო ზუსტად, 2011 წლის 18 მაისამდე არასდროს მომხდარა, რომ საქართველოს ჩემპიონატის რეგლამენტის უმთავრეს ზე-უმთავრესი პუნქტი („ჩემპიონატის ჩატარების სისტემა“) — უშუალოდ... ჩემპიონატის მსვლელობისას დარღვეულიყოს! ამით ხომ, ფაქტობრივად, ყველანაირი სპორტული პრინციპი ირღვეოდა: ჩემპიონატის მსვლელობისას, გადამწყვეტი ტური რომ გვეგონა, სწორედ იმ დღეს, დიდი შანსი იყო, რეგლამენტი შეცვლილიყო! ისე, არ დაგვავიწყდეს, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ ერთი ტურია დარჩენილი და ვინ იცის, კიდევ რა სიურპრიზს გვპირდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა? ყოველ შემთხვევაში, „ზესტაფონის“, „დინამოსა“ და „ოლიმპის“ გულშემატკივრები, გარკვეულწილად, „ყველაფრისათვის“ მზად უნდა იყვნენ; ანუ, ხომ შეიძლება, რომ ვინმეს მორიგი „ნოვატორული“ იდეა მოუვიდეს და საფეხბურთო საზოგადოებას „ახალი და ჯერარნახული“ პროექტი შესთავაზოს: მაგალითად, საქართველოს ჩემპიონობა მეოთხე ან მეხუთე ადგილზე გასულმა გუნდებმა ერთმატჩიან პლეი ოფში გაითამაშონ, ხოლო ევროპის ლიგაზე კი „დინამოსა“ და „ოლიმპის“ ნაცვლად, VI და VII ადგილზე გასულმა გუნდებმა იასპარეზონ; ეგ კი არა, თასის ფინალი რომ არის დანიშნული 26 მაისს და „ტორპედო“-„გაგრა“-ს შეხვედრას რომ მართლაც დიდი ინტერესით ველოდებით, შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც რაღაც „სიახლე“ შემოგვთავაზონ! ანუ, არავის გაუკვირდეს, რომ საქართველოს თასის ფინალში „ტორპედოსა“ და „გაგრას“ ნაცვლად... სხვა გუნდებმა იასპარეზონ!..

> **ხომ შეიძლება, რომ ვინმეს მორიგი „ნოვატორული“ იდეა მოუვიდეს და საფეხბურთო საზოგადოებას „ახალი და ჯერარნახული“ პროექტი შესთავაზოს: მაგალითად, საქართველოს ჩემპიონობა მეოთხე ან მეხუთე ადგილზე გასულმა გუნდებმა ერთმატჩიან პლეი ოფში გაითამაშონ, ხოლო ევროპის ლიგაზე კი „დინამოსა“ და „ოლიმპის“ ნაცვლად, VI და VII ადგილზე გასულმა გუნდებმა იასპარეზონ;**

... საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში რეგლამენტი არაერთხელ შეცვლილა და, რაც ყველაზე საწყენია, ასევე არაერთხელ... დარღვეულა! მაგრამ, უშუალოდ სეზონის მსვლელობისას, ზედ გადამწყვეტი ტურის დღეს რომ ყველაფერს „თავდაყირა“ დააყენებ, აი, მსგავსი კი, მართლაც არასდროს მომხდარა! საბედნიეროდ, ქართულ ფეხბურთში, კერძოდ რამდენიმე კლუბში მართლაც არიან ისეთი ადამიანები „ზემოდან“ წამოსულ ნებისმიერ პროექტსა თუ „ნოვაციას“ მაშინათვე „ორი ხელის ანვეთი“ რომ არ მიესალმებიან და ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი პოზიციაც გააჩნიათ. მოკლედ, ის პროექტი კლუბების ხელმძღვანელთა ნაწილმა არ მოიწონა და დღევანდელ აღმასკომზეც ამ საკითხზე არ იმსჯელებენ. სამაგიეროდ, სხვა რამეს მივეჩვიეთ და ბეჭდური მედიის სხვა წარმომადგენლებიც ნურაფერს გავიკვირვებთ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ უკვე მერამდენედ მოახდინა ჩვენი სრული იგნორირება! ფაქტობრივად, ისეთი სიტუაციაა, „წერეთ და იკითხეთო“, — ირბად თუ დიპლომატიურად კი არა, პირდაპირ გვეუბნებიან! ჩვენც კიდევ, წინა წლის აგვისტოდან მოყოლებული, თურმე კი არა, მართლაც თავს ვიტყუებდით, — „არნახულად დამაინტრიგებელ ჩემპიონატს“ რომ „ვაპიარებდით“ და „არნახულ მოტივაციასა თუ დაძაბულობის ხარისხზე“ ვსაუბრობდით...

გია ტუხაშვილი

P.S. ისე, მართლაც საინტერესოა: ბოლოს და ბოლოს, იქნებ აგვიხსნას ვინმემ, ბოლო ტურში „კოლხეთსა“ და „სიონს“ სატურნირო მოტივაცია უნდა ჰქონდეთ, თუ — არა?

● ამბები

მარკ ჰიუზი

ეს ყვითელი ფულჰემი

„ფულჰემს“ მომავალ სეზონში ევროპის ლიგაში თამაში უნდა, მაგრამ ბოლო ხანს იმდენი ყვითელი ბარათი მიიღო, რომ ძალიან საეჭვოა „ფეარ პლეის“ ბილდო მიიღოს. შეგახსენებთ, რომ დასავლეთლონდონელთა გუნდი, რომელსაც დღეს 47 წლის უელსელი **მარკ ჰიუზი** უდგას სათავეში, ორი წლის წინ სწორედ ასე მოხვდა შეჯიბრებაში.

მიმდინარე სეზონში, „სანდერლენდთან“ თამაშამდე (ეს შეხვედრა 30 აპრილს გაიმართა), „ფულჰემის“ ფეხბურთელებს 35 შეხვედრაში 40 ყვითელი ბარათი ჰქონდათ მიღებული და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ „ფეარ პლეის“ გზაც გაიხსნებოდა, მაგრამ ბოლო ორ შეხვედრაში, „ლივერპულსა“ და „ბირმინგემთან“ მსაჯებმა მათ თავს ყვითელი ნაკადი მიუშვეს — ათჯერ გააფრთხილეს.

კლუბის პრესმდივანმა თქვა: *„ეს, უბრალოდ, სამწუხარო უილბლობაა და მეტი არაფერი. ჩვენ, მწვრთნელებს, ფეხბურთელებსა და კლუბის თანამშრომლებს ჯერ არ გადაგვინურავს ევროპის ლიგაში მოხვედრის იმედი“.*

მეორე მხრივ კი, ევროლიგაში მონაწილეობა ფეხბურთელებს დასვენების საშუალებას ართმევს. ასე მაგალითად, „ფულჰემის“ ნორვეგიელ მცველ **ბრედე ჰანგელანდს** შვებულება მხოლოდ ორკვირიანი გამოსდის. საქმე ის გახლავთ, რომ ჰანგელანდს ზაფხულში სანაკრებო თამაშებშიც მოუწევს მონაწილეობა.

ჰანგელანდმა თქვა: *„ცუდი ის არის, რომ თუ ევროლიგაში თამაშის უფლებას მოიპოვებ, სეზონი მეტისმეტად ადრე დაგეწყება და დასვენებას ვერ მოასწრებ. პრემიერლიგის კლუბები წლის განმავლობაში თერთმეტი თვე და ორი კვირა თამაშობენ. შეუძლებელია, გუნდებს კვლავ მოედანზე გასვლა სთხოვო, როდესაც მათ დასვენება ფიზიკურად სჭირდებათ“.*

აღსანიშნავია, რომ „ფულჰემი“ პრემიერლიგის ერთადერთი კლუბია, რომელსაც ამ სეზონში ფეხბურთელი არ გაუგდეს. „ფეარ პლეის“ რეიტინგი ყოველთვიურად ახლდება და მისი შედგენის დროს ითვალისწინებენ ფანების ქცევას, მსაჯებისადმი დამოკიდებულებას და, რასაკვირველია, დისციპლინას მოედანზე.

ბოლოს, აპრილში გამოქვეყნებული რეიტინგის მიხედვით „ფულჰემი“ დასავლეთლონდონელი მეზობლის, „ჩელსის“ შემდეგ იყო, მაგრამ „ჩელსი“ მათი კონკურენტი არ გახლდათ - „ლურჯები“ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამოვლენ. „ფეარ პლეის“ თვალსაზრისით კარგი პოზიცია აქვს „ტოტენჰემ ჰოთსპურსსაც“, მაგრამ როგორც ბოლო ტურებში ირკვევა, ევროლიგაში მოხვედრისთვის არც მას სჭირდება ეს ხერხი — თუ მეხუთე ადგილზე გავა, პირდაპირ, სპორტული პრინციპიდან გამომდინარე, იქ ამოყოფს თავს.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ 2008-09 წლებში „ფულჰემი“ სწორედ „ფეარ პლეის“ გზით მოხვდა შეჯიბრებაში და ფინალამდე მივიდა, სადაც „ატლეტიკოსთან“ ნააგო - 1:2. მაშინ ლონდონელებს **როი ჰოჯსონი** წვრთნიდა.

სიჯი ქამარს მოიჭერს

უცნაური რამ თქვა „მანჩესტერ სიტის“ თავმჯდომარე **ხალდუნ ალ მუბარაქმა** — ზაფხულში დიდძალი ფულის ხარჯვას აღარ ვაპირებთო. არადა, მოგეხსენებათ, ისტლენდელთა არაბი მეპატრონეები სწორედ ფულის დაუნანებელი ხარჯვით იყვნენ ცნობილი. მათ, ფეხბურთელების ყიდვაში, სამ წელიწადში 300 მილიონი ფუნტი დახარჯეს.

მუბარაქის განცხადება, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ „მანჩესტერ სიტი“ სატრანსფერო საქმიანობას წყვეტს, კლუბი ახალ ფეხბურთელებს იყიდის, მაგრამ, როგორც ჩანს, აბუ დაბის მილიარდერთა შორის გავრცელდა აზრი, რომ ძლიერი გუნდის საფუძველი უკვე ჩაყრილია.

„მანჩესტერ სიტის“ საიტზე დადებულ ვიდეოინტერვიუში მუბარაქი ამბობს:

„ჩვენ საოცარი შემადგენლობა გვყავს. „სიტიში“ დიდებული ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებიც თავდადებულებიც არიან. გარდა ამისა, ჩვენმა აღმასრულებელმა დირექტორმა გერი კუკმა ფანტასტიკური სამუშაო გასწია“.

ხალდუნ ალ მუბარაქი

ავრამ გრანტი (მარცხნივ)

მეჯი რა უნდოდა

„ვესტ ჰემის“ ვიცე-თავმჯდომარე ქალმა, **კარენ ბრეიდმ** თქვა, რომ სამსახურიდან გაშვებულ მწვრთნელ **ავრამ გრანტს** ყველა პირობა ჰქონდა, რათა გუნდი პრემიერლიგაში დაეტოვებინა.

„ავრამს სამუშაოდ საუკეთესო პირობები შევუქმენით. არც სულელური სატრანსფერო მიზნები დაგვისახავს და არც ევროშეჯიბრებაში მონაწილეობა გვითხოვია მისთვის. საქმე მაქსიმალურად გავუმარტივეთ და ერთადერთი რამ, პრემიერლიგაში დარჩენა ვთხოვეთ.

გარდა იმისა, რომ პირადად მისი დამატებითი მოთხოვნები დავაკმაყოფილეთ, ვარჯიშების სრულყოფილად ჩასატარებლად, ასისტენტები დავუმატეთ. შევიძინეთ თამაშის ანალიზის ძვირადღირებული სისტემა, გამოვუყავით მძღოლი, მოვუწყეთ ახალი ოფისი... როდესაც საქმეები ცუდად მიდიოდა, ჩვენ მას მხარში ვედექით. იანვარში დემბა ბა, უეინ ბრიჯი და რობი კინი გვაყიდინა. *საამისო თანხები სასწაულით ვიშოვეთ, ნემსის ყუნწში გავძვერით, მაგრამ თანხის რომელიმე მოთამაშის გაყიდვით შოვა არც კი შეგვითავაზებია. ავრამი მართლა კარგი კაცია, ჩვენც ყველა პირობა შევუქმენით, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ვერაფერს გახდა“.*

გრანტმა კი, რომლის ხელშიც ერთი წლის წინ პრემიერლიგიდან „პორტსმუთი“ გავარდა, მეგობრებს უთხრა (რაც ტაბლოიდების ყურს არ გამორჩენია), რომ „ვესტ ჰემის“ შეფები მას მხარში არ ედგნენ. ამ სიტყვების დასტურად 56 წლის სპეციალისტმა ის მოიტანა, რომ იანვარში ისინი ერთბაშად ექვს მწვრთნელთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას — მისი სამსახურიდან გაშვება სურდათ. ამ მწვრთნელებს შორის იყვნენ **სემ ელერდაისი** და **მარტინ ო'ნილი.**

ხელფასი მოიმატებს

„არსენალი“ ჰოლანდიელი თავდამსხმელისთვის, 27 წლის **რობინ ვან პერსისთვის** ხელფასის მომატებას აპირებს. „მეთოფეებს“ განუზრახავთ, ის შემოსავლით კაპიტან **სესკ ფაბრეგასს** გაუტოლონ.

ვან პერსის დღევანდელი კონტრაქტი, რომლის დასრულებამდე კიდევ ორი წელიწადია, მისთვის კვირაში 70 ათასი ფუნტის გადახდას ითვალისწინებს. ფორვარდმა ამ სეზონში, ყველა შეჯიბრებაში ერთად, 21 გოლი შეაგდო და კლუბის თავკაცებს აფიქრებინა, რომ ჯამაგირის გაზრდის ღირსია — ის მომავალი სეზონიდან კვირაში 90 ათას ფუნტს მიიღებს. მისი 21 გოლი იმით გახლავთ დასაფასებელი, რომ ფეხბურთელმა სეზონის განმავლობაში მხოლოდ 25 შეხვედრაში შეძლო მონაწილეობა. ტრავმებმა ჰოლანდიელი გვარიანად გაანვალეს.

რობინ ვან პერსი „არსენალში“ „ფეიენოორდიდან“ 2004 წელს გადავიდა. ჩრდილოლონდონელებმა მის სანაცვლოდ 2,75 მილიონი ფუნტი გადაიხადეს. ფორვარდი „მეთოფეთა“ გუნდს კარგად შეეწყო და დღესაც არსად აპირებს წასვლას.

რაც შეეხება 24 წლის ფაბრეგასს, მას ზაფხულში „არსენალთან“ თავიდან მოუწევს ჭიდაობა. მოგეხსენებათ, „ბარსელონას“ სკოლის აღზრდილს, უკვე მეორე წელიწადია, შინ დაბრუნება სურს.

„არსენალს“ ურთიერთობა აქვს მოსაგვარებელი 23 წლის ფრანგ **სამირ ნასრისთანაც**. სავარაუდოდ, მხარეები ახალ კონტრაქტს გააფორმებენ.

რობინ ვან პერსი

სამი და სამართალი

ალექს ფერგიუსონი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი, სერ **ალექს ფერგიუსონი** ამბობს, რომ ზაფხულში სამ ფეხბურთელს იყიდის. შოტლანდიელს გუნდის კიდევ უფრო გაძლიერება სურს. ერთი ფეხბურთელი, რომელიც ფერგიმ აუცილებლად უნდა შეიძინოს, მეკარეა, რადგან 40 წლის **ედვინ ვან დერ სარი** კარიერას ასრულებს. შეგახსენებთ, რომ სეზონის მსვლელობისას ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა 36 წლის **გარი ნევილმაც**, ხოლო მისი თანატოლი **პოლ სქოულზი** ჯერ ყოყმანობს.

ფერგიუსონმა თქვა: *„რამდენიმე იდეა გვაქვს და ვიმედოვნებ, რომ ხორცსაც შევასხამთ. ხომ ხედავთ, რაიან გიგზი და სქოულზი კარიერის ბოლო წლებს ითვლიან, ნევილი უკვე წავიდა, ვან დერ სარს კი ორი თამაშიღა დარჩა. მათი წასვლის შემდეგ გუნდში სივრცეები დარჩება, რისი უყურადღებოდ დატოვებაც ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ შემადგენლობა ისე უნდა დავაკომპლექტოთ, რომ უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში პრობლემა არ გვქონდეს. მინდა სამი ისეთი ფეხბურთელი ვიყიდო, რომლებიც ჩვენი თამაშის ხარისხს კიდევ უფრო აამაღლებენ“.*

ეს სიტყვები სერ ალექსმა „იუნაიტედის“ მიერ მოწყობილ დაჯილდოვებათა საღამოზე თქვა: გუნდის ფეხბურთელთა გამოკითხვით, გასული სეზონის განმავლობაში მათ შორის საუკეთესო 24 წლის პორტუგალიელი **ნანი** იყო.

ამ საღამოს ფერგიუსონმა „ლივერპულსაც“ გაჰკრა კბილი. საქმე ის გახლავთ, რომ „იუნაიტედის“ ფანებმა შექმნეს პლაკატი „მანჩესტერ იუნაიტედი 19-გზის ჩემპიონია“ და ჩუმად ლივერპულის „ენფილდ როუდზე“ შეიტანეს. ფერგიუსონს სწორედ ამის შესახებ ჰკითხეს, მან კი მიუგო:

„ნეტავ, ეს პლაკატი მე თავად წამეღო ლივერპულში“.

ლეონარდოს ოფიციოზი

ჯერმაინ დეფომ თქვა, რომ „ტოტენჰემიდან“ წასვლაზე ფიქრობს. 28 წლის თავდამსხმელი უკმაყოფილოა, რომ მწვრთნელმა, **ჰარი რედნაპმა** ის შიგადაშიგ მოთამაშე ფეხბურთელად აქცია. ინგლისის ნაკრების ფორვარდმა თქვა:

„გულწრფელად გეტყვით, რომ „ტოტენჰემი“ ძველებურად მიყვარს და გული ყოველ შეხვედრაში ისევე მიცემს, როგორც იმ დღეს, „უაით ჰართ ლეინზე“ პირველად რომ შევდგი ფეხი. მეორე მხრივ, ჩემთვის მთავარი თამაშია და უკმაყოფილო ვარ, როდესაც სათადარიგოთა სკამზე მსვამენ. დიდი სურვილი მაქვს, გუნდს ტიტულების მოპოვებაში დავეხმარო, ჩემპიონთა ლიგაში გავიყვანო და იქაც გული და სული ჩავდო, მაგრამ როდესაც ვხედავ, რომ თავგადაკლული ვარჯიშების შემდეგ შემადგენლობაში მაინც ვერ ვხვდები, ცუდი განწყობა მეუფლება. ამბიციური კაცი გახლავართ და სათადარიგოთა სკამზე ჯდომა შეურაცხყოფასაც კი მაყენებს. ჩემი მიზანია, ყველა შეხვედრაში მოედანზე ვიყო და გოლი გავიტანო“.

ჯერმაინ დეფო „სფურზში“ ჯერ 2004-08 წლებში თამაშობდა, ბოლოს კი 2009-ში დაბრუნდა. გასულ სექტემბერს მას არ გაუმართლა, მუხლი იტკინა და მთელი 10 კვირა მკურნალობას მოუნდა. მართალია, საბოლოოდ სეზონში 32 თამაში მაინც ჩაატარა, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ სასტარტო შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება მაინც ვერ შეძლო. ის ამბობს:

„ძნელია, მაგრამ რა გაეწყობა. ფეხბურთში ასეა, მოთამაშეები მოდიან და მიდიან. მე ამას ვერ შევცვლი“.

ქეროლმა არა

„ლივერპულის“ 22 წლის ვარსკვლავი **ენდი ქეროლი** ამბობს, რომ ფიზიკურად სუსტად არის და დანიაში დანიშნულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ფორვარდი შიშობს, რომ თუ მას დანიაში გამგზავრებას მაინც დააძალებენ, დიდი შანსია შემდეგი სეზონი დაშავებულმა დაიწყოს და ჩააფლავოს კიდეც. მოგეხსენებათ, „ლივერპულმა“ ახალ მწვრთნელთან, **კენი დალგლიშთან** სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და ამიერიდან ჩემპიონობისთვის აპირებს ბრძოლას.

როგორც ინგლისურმა ტაბლოიდებმა შეიტყვეს, ქეროლმა თავისი ეჭვების შესახებ ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების თავკაც **სტიუარტ პირსს** უკვე უთხრა, ფეხბურთელს, რასაკვირველია, მხარს „ლივერპულის“ თავკაცი დალგლიში და ექიმებიც უჭერენ. ისინი ამტკიცებენ, რომ მათმა თავდამსხმელმა მუხლის გაჭიანურებული ტრავმა ზაფხულში საფუძვლიანი დასვენებით უნდა მოირჩინოს.

პირსს წინააღმდეგობას უწევს „არსენალიც“, რომელსაც ასევე არ უნდა, რომ მათი 19 წლის ვარსკვლავი **ჯეკ უილშირი** დანიაში გაემგზავროს.

სამაგიეროდ, როგორც უილშირი, ასევე ქეროლიც ითამაშებენ ინგლისის „დიდი“ ნაკრების შეხვედრაში, რომელიც 4 ივნისს „უემბლიზე“ შვეიცარიის წინააღმდეგ უწევს.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ენდი ქეროლი

უცხოური ფეხბურთი

● ნაპოლი



ედინსონ კავანისთვის მიმდინარე სეზონი ძალიან წარმატებული გამოდგა - „ნაპოლის“ შემადგენლობაში 45 მატჩი ჩაატარა და 33-ჯერ შეარხია მეტოქეთა კარის ბადე. აქედან 26 გოლი სერია A-ში გაიტანა და ბომბარდირთა დავაში მხოლოდ **ანტონიო დი ნატალეს** ჩამორჩება. ურუგვაელი იჯარის წესით ასპარეზობს ნეაპოლურ გუნდში, ისე კი „პალერმოს“ ეკუთვნის და ბუნებრივია, რომ **აურელიო დელ ლაურენტისი** მის გამოსყიდვას აპირებს. იტალიურ სპორტულ პრესაში ურთიერთგამომრიცხავი ცნობები ვრცელდებოდა, თუმცა გუშინ ნეაპოლელმა გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს - აი, რა განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა:

„სიცილიელებთან მიმდინარე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ედინსონ კავანი ჩვენს გუნდში გააგრძელებს ასპარეზობას. ურუგვაელთან ხუთნლიან ხელშეკრულებას მოვაწერთ ხელს, რომლის ძალითაც სეზონში ორ მილიონ ევროს, პლუს თითოეულ გოლზე გარკვეულ ბონუსს მიიღებს. ბედნიერი ვარ, რომ ედინსონთან დაკავშირებით ყველაფერი კარგად მოგვარდა, სეზონის დასრულების შემდეგ, გუნდის გაძლიერებაზე აუცილებლად ვიზრუნებთ“.

ლაშა წიკლაური

● ლიგა 1. სრული ტურის გამოხმაურება

სეზონის უმთავრესი კულინარი

ტურის მატჩი

“ლორიანისა” და “მარსელის” შეხვედრას წინ ზუსტად ისეთი აჟიოტაჟი უძღოდა, როგორიც უძღვის ხოლმე მატჩებს, სადაც სამი ქულის ფასი “სამ ქულაზე მეტია”. ასეთ დროს გუნდები შედეგზე აქცენტის გამო სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სანახაობას. პრაქტიკულად ასეც მოხდა: ზეწოლამ “მარსელზე” დამთრგუნველად იმოქმედა და ის ძალზე შებოჭილი ჩანდა. რაც შეეხება მასპინძელს, მან ღირსეული შთაბეჭდილება დატოვა. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ გამარჯვებას ისინი ალალად იმსახურებდნენ. შედეგად, “ლორიანმა” ზედიზედ მეორე წელია თავისი როლი ითამაშა: შარშან “ლილი” დატოვა ჩემპიონთა ლიგის მიღმა, ახლა კი **დიდიე დეშამის** გუნდს წაართვა ჩემპიონობის პრაქტიკული შანსი.

ტურის გმირი

ჟერვინიომ კარიერაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. მისმა შედეგიანმა დარტყმამ “ძაღლებს” “მარსელთან” 6-ქულიანი ჰანდიკაპი შეუქმნა და იმისთვის, რომ სამხრეთელებმა ტიტული შეინარჩუნონ, უკვე წარმოუდგენელი რამეები უნდა მოხდეს - “ლილმა” ორივე შეხვედრა წააგოს და ამასთან, პლუს რვაბურთიანი ფორა გაანიავოს. ასე რომ, ივუარელს დამსახურებულად შეგვიძლია “ოქროს დარტყმის” ავტორი ვუწოდოთ.

ტურის სიმბოლური ნაკრები

კარასო (ბორდო) – **მარანჟი** (ბორდო), **ვარანი** (ლანსი), **ბიშეკაცი** (ვალანსიენი) – **კაბელია** (არლი), **ბერენჟე** (ნანსი) **ალუ დიარა** (ბორდო), **ჰამუმა** (კაენი) – **გამეირო** (ლორიანი), **ჟერვინიო** (ლილი), **მონტანო** (რენი)

ტურის გუნდი

ამ მხრივ არჩევანი ნამდვილად არ ყოფილა. დე ფაქტო ჩემპიონებს აღნიშნულ “ტიტულს” ვერავინ შეეცილება. მით უფრო, რომ “სოშოსთან” არცთუ იოლ დაპირისპირებაში “ლილმა” შეძლო და თამაში 90 წუთის განმავლობაში აკონტროლა.

ტურის მოვლენები

“მარსელმა” ფრედ ითამაშა და ამით უშუალო კონკურენტს ნაადრევად ზეიმის საფუძველი მისცა. რატომ, ამაზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ფეხბურთია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ 99%-ით რომ ყველაფერი გადაწყვეტილია, ალბათ, ჩვენი მკითხველიც დაგვეთანხმება.

“ლანსის” წვალებას ბოლო მოელო - აქ ლაპარაკი უკვე არ არის 99%-იან შანსზე, **ლასლო ბოლონის** გუნდი ოფიციალურად გავარდა. “მონაკოსთან” ფრე ამ გუნდს ლიგა 2-ის საგზურად დაუჯდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მონდომებით “ლანსს” საქმისთვის ხელი ცოტა ადრე რომ მეეკიდა, აუცილებლად დარჩებოდა, თუმცა ეს უკვე წარსულზე ჰიპოთეტური ანუ აზრსმოკლებული მსჯელობაა.

ტურის გოლი

მარიო ლიჩკა “ლიონთან” ძირითადში არ ყოფილა. 29 წლის ჩეხს სულ რაღაც 5 წუთი ეყო იმისთვის, რომ ულამაზესი გოლი გაეტანა. მეკარე **სტივ ელანამ** გრძელი პასით საკუთარი საჯარიმოდან **უგო ლორისის** სამფლობელომდე უწია, **კრისმა ნოლან რუსთან** ბრძოლა წააგო. ბურთი ლიჩკას მიუვიდა და მან დაუმუშავებლად მარჯვენა ფეხით ყუმბარისებურად დაარტყა. ლორისი კი არა, ამ ბურთს იდეალურ ფორმაში მყოფი **ოლივერ კანი** და **ჯანლუიჯი ბუფონიც** კი ვერ აიღებდნენ.

რახან ყველაზე ლამაზ ბურთზე ვთქვით ორიოდე სიტყვა, აქვე აღვნიშნოთ არა ასეთი ეფექტური, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი გოლი, რომელიც ლანსელმა **რაფაელ ვარანმა** “მონაკოს” გაუტანა. 18 წლის ცენტრალურმა მცველმა თავის გამოჩენა მსაჯის მიერ კომპენსირებულ მე-4 წუთზე მოახერხა და თავის გუნდს ქულა მოუტანა. მართალია, ამით გუნდს ბევრი ვერაფერი შემატა (“ლანსი” მაინც გავარდა), მაგრამ თავად სერიოზული განაცხადი გააკეთა, რომ მომავალ წელსაც ლიგა 1-ში ითამაშოს. თინეიჯერი ფეხბურთელისთვის ეს სადებიუტო სეზონში 21 შეხვედრაში გატანილი მეორე გოლი გამოდგა (პირველი მან სულ ახლახან, 34-ე ტურში “კაენს” შეუგდო). აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გოლის გარდა ვარანმა ამ მატჩში ხარიხას ორჯერ გაარტყა ბურთი. კუნთმაგარ სტოპერს (191 სმ, 76 კგ) ქვედა ლიგაში სათამაშოდ ალბათ არავინ გაიმეტებს. დიდი შანსია, მისი კონტრაქტი რომელიმე ამბიციურმა გუნდმა გამოისყიდოს.

ტურის შეწყვეტილი სერია

“არლი” - ფრანგული ფეხბურთის ტკივილი. რა უნდა ითქვას გუნდზე, რომელსაც მე-2 ტურის შემდეგ მე-20 ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია? გუნდზე, რომელმაც პირველი ქულა მე-9 ტურში აიღო და პირველი მოგება მხოლოდ მე-12 ტურში იზეიმა? რა უნდა ითქვას და... კარგი არაფერი. ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა, მე-12 ტურიდან მოყოლებული “არლს” 23-მატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდა და ის “ტულუზთან” შეწყდა. შეწყდა, რადგან ცნობილია, რომ ბუნებაში ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული.

36-ე ტურმა მოგების დავიწყებული გემო გაახსენა “რენსაც”, ვისაც 9-მატჩიანი წარუმატებელი სერია ჰქონდა. ამ გამარჯვების შემდეგ უკვე შეიძლება ითქვას, რომ **ფრედერიკ ანტონეტის** გუნდმა მომავალი სეზონისთვის ევროპის ლიგის საგზური დაიბევა.

ტურის ფრაზა

“როგორც კულინარიაში ხდება ხოლმე, ჩვენი საქმეც ზუსტად ასეა. კარგი სურნელი ტრიალებს, საჭმელი თითქმის უკვე მზადაა მისართმევად, მაგრამ ცოტა მოცდა კიდევ გვმართებს, რომ ყელი ჩავიტკბარუნოთ,” - განა ძნელი მისახვედრია, ვინ იქნებოდა ამ ფრაზის ავტორი? ჰო, რა თქმა უნდა, ეს რუდი გარსიაა, წლევანდელი სეზონის უმთავრესი კულინარი.

ლევან გიგილაშვილი

● კარიერის დასასრული



ივან დე ლა პენია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლიანი დასასრული

ივან დე ლა პენია: კმარა!

გუშინ [illegible] ლის“ ნახევარმცველმა **ივან დ[illegible]ამ** მედია შეჰყარა და ფეხბურთიდას სასვლა საჯაროდ გამოაცხადა. 35 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც ერთ დროს მსოფლიოს ერთ-ერთ უნიჭიერეს გამთამაშებლად მიიჩნევდნენ, განაცხადა, რომ მრავალრიცხოვანმა და ქრონიკულმა ტრავმებმა აიძულეს მას ეს ნაბიჯი გადაედგა.

„მადლობა ყველას - გუნდს, ფეხბურთელებს, გულშემატკივრებს, მე მათ მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი. საოცრად ლამაზი დრო გავატარე ბავშვობიდან ფეხბურთში. აქ შევიძინე ყველაზე კარგი მეგობრები. ყველაფერი ფანტასტიკური ჩემს ცხოვრებაში ფეხბურთს უკავშირდება. არ მავიწყდება, რამხელა სიყვარულით მიმიღეს გულშემატკივრებმა, მას შემდეგ, რაც პრიმერადივი ზიონში გამოვჩნდი“, - განაცხადა დე ლა პენიამ პრესკონფერენციაზე და ბავშვივით ატირდა.

დე ლა პენია შაბათს „სევილიასთან“ მატჩში უკანასკნელად გავა მოედანზე და ბარსელონურ პუბლიკას გამოეთხოვება: *„არავის უნდა ფეხბურთთან განშორება, მას მერე, რაც ამ საოცარ სამყაროში შეაბიჯებს. მეც მინდოდა, კიდევ დიდხანს მეთამაშა, მაგრამ ეს შეუძლებელია. გულს სურს მოედანზე გასვლა, მაგრამ ორგანიზმი ჯიუტად მეუბნება: კმარა“.*

„მართალია, ჩემი თავი ვერ წარმოიდგენია მწვრთნელის ამპლუაში და ეს არც მოხდება, მაგრამ ფეხბურთთანაც მიჭირს განშორება. არ ვიცი მომავალში რითი დავკავდები, მაგრამ ჩემს ოჯახს რომ მეტ დროს დავუთმობ, ცხადია“, - განაცხადა დე ლა პენიამ.

„პატარა ბუდამ“ ამ სეზონში სულ 30 წუთი ითამაშა „ესპანიოლის“ შემადგენლობაში. დე ლა პენია კანტაბრიაში დაიბადა. ის „ბარსელონას“ აღზრდილია და საფეხბურთო სამყაროში გამოზომილი პასით და საჯარიმო დარტყმების უბადლო შესრულებით იყო ცნობილი. 1995 წელს 19 წლის „პატარა ბუდას“ **იოჰან კრუიფის** გუნდში ჰქონდა დებიუტი. ის „ვალიადოლიდთან“ მატჩში შეცვლაზე შევიდა და გოლი გაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ დებიუტანტმა სეზონში 7 გოლი გაიტანა და მას ყველა ხოსეპ გვარდიოლას შემცვლელად მიიჩნევდა, კრუიფმა აქცენტის გაკეთება სხვა ფეხბურთელებზე გადაწყვიტა. კლუბში **ბობი რობსონის** მოსვლასთან ერთად დე ლა პენიას მეორე შანსი მიეცა და მან ეს შანსი კარგად გამოიყენა, **რონალდოსთან** ბრწყინვალე დუეტი აანყო. მაგრამ **ლუის ვან გაალის** მოსვლით, „პატარა ბუდამ“ კვლავ დაკარგა მწვრთნელის ნდობა „ბარსაში“.

ამის შემდეგ დაიწყო მისი უიღბლობები, დე ლა პენიამ ვერ გაამართლა „ლაციოში“ და ის მარსელის „ოლიმპიკში“ გაანათხოვრეს. ვერც იქ იყოჩაღა და დროებით „ბარსას“ დაუბრუნდა. 2002 წელს მან მძიმე გადაწყვეტილება მიიღო, „ბარსას“ მოსისხლე მტერ „ესპანიოლში“ გადაბარგდა, სადაც გაატარა კიდეც კარიერის საუკეთესო წლები. 2007 წლიდან კი დაიწყო გაუთავებელი პრობლემები ტრავმებთან დაკავშირებით, „პატარა ბუდა“ უმეტეს დროს კლუბის ლაზარეთში ატარებდა. მას ესპანეთის ნაკრებში 5 მატჩი აქვს გამართული.

დე ლა პენიას მოგებული აქვს: ევროპის თასების მფლობელთა თასი (1997), უეფა-ს სუპერთასი (1997), ესპანეთის ჩემპიონატი (1998), ესპანეთის თასი (1997), ესპანეთის სუპერთასი (1996) - „ბარსელონაში“; თასების მფლობელთა თასი (1999), იტალიის სუპერთასი (1998) - „ლაციოში“; ესპანეთის თასი (2006) - „ესპანიოლში“. „დონ ბალონმა“ ის 1995-96 წლების სეზონის ლა ლიგის საუკეთესო დებიუტანტად დაასახელა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ტრანსფერი

ჰამითი რეალელია

ეს უკვე ოფიციალური ინფორმაციაა - მადრიდის „რეალმა“ ხელშეკრულება **ჰამით ალთინტოპს** გაუფორმა. *„რეალმა“ მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელ ჰამით ალთინტოპთან 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა“*, - ვკითხულობთ „სამეფო კლუბის“ საიტზე. 28 წლის ნახევარმცველმა „ბაიერნში“ 4 სეზონი გაატარა. თურქს ივნისში ეწურება გერმანულ კლუბთან კონტრაქტი. ასე რომ, „რეალს“ მისი შეძენა არაფერი უჯდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● მოსალოდნელი ტრანსფერი

დორტმუნდმა პოდოლსკი მოიკითხა

ლუკას პოდოლსკი

გერმანიის ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია“ „კიოლნისა“ და გერმანიის ნაკრების ლიდერით, **ლუკას პოდოლსკით** დაინტერესდა. „კიოლნერ ექსპრესის“ ინფორმაციით, „ბორუსიას“ სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** პოდოლსკის შეხვდა და „დორტმუნდში“ გადასვლა შესთავაზა.

„ორი აზრი არ არსებობს, პოდოლსკი სპორტული თვალსაზრისით მაგრად გაგვაძლიერებდა. სხვას ვერაფერს გეტყვით,“ - ეს BVB-ს კაპიტანს, **რომან ვაიდენფელერის** სიტყვებია. 25 წლის ლუკასი „კიოლნში“ 2009 წლის ზაფხულში, „ბაიერნიდან“ დაბრუნდა, ამ სეზონში 32 მატჩში 13 გოლის გატანა მოახერხა და „თხებთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული.

გოტფრიდ ლენცი

ინტერვიუ ანტონიო დი ნატალე

ჯოჯო: დადგა დრო, სხვებსაც ვასწავლო

გასულ ზაფხულს ანტონიო დი ნატალემ ტურინის „იუვენტუსისგან“ მიიღო შეთავაზება და ყველასათვის გასაკვირად, უდინეში დარჩენა გადაწყვიტა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ტოტო არა მარტო პირადული, პროფესიული თვალსაზრისითაც მოგებული დარჩებოდა. დიახ, სეზონის მიწურულია და „უდინეზეს“ შესანიშნავი შანსი აქვს ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს, „იუვე“ კი ლამის ცხრილის შუაგულშია გაჭედილი და კიდევ მინიმუმ ერთი წელი ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში ასპარეზობა არ უწერია. დი ნატალე უკვე 33 წლისაა, თუმცა თამაშს არათუ უკლო, უფრო და უფრო უკეთ გამოიყურება. თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, მიმდინარე სეზონში ბომბარდირის სტატუსს არავის დაუთმობს. ტოტოს 28 გოლი აქვს გატანილი და უახლოეს მდევარ ედინსონ კავანის ორი ბურთით უსწრებს. ანტონიო დი ნატალეს საინტერესო ინტერვიუს მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

- გასულ ზაფხულს „იუვენტუსში“ დასვლის შანსი გქონდათ, რატომ დარჩით „უდინეზეში“?

- 20 წლის რომ ვყოფილიყავი, ალბათ სხვა გადაწყვეტილებას მივიღებდი, მაგრამ 33 წლის ასაკში სულ სხვა პრიორიტეტები აქვს ადამიანს. უდინეში საოცარი ვი, „უდინეზეს“ ვერ ექნებოდა ამდენი ქულა, ასე რომ, არც მთლად მასეა საქმე... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, ისე კი ჩემი არჩევანი მართლაც ყოველმხრივ სწორი გამოდგა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „უდინეზე“ დღეს ჯობია „იუვენტუსს“ და სრულიად დამსახურებულად იბრძვის ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის. გაცილებით რთულ ვითარებაში ვიყავით, როდესაც ვთქვი, რომ სწორედ ჩვენ ვიმსახურებდით ლიგაში გასვლას და მადლობა ღმერთს, ბოლო ტურის წინ ყველაფერი თავის ადგილზეა.

- რა შეცვალა ფრანჩესკო გვიდოლინმა გუნდში და რამდენად დიდია მისი დამსახურება მიმდინარე სეზონის წარმატებებში?

- სამი წლის განმავლობაში გუნდს პასკუალე მარინო წვრთნიდა და მთლიანობაში, ძალიან დიდი და კარგი სამუშაო გასწია. „უდინეზე“ ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდა, რომელსაც ნებისმიერი რანგის მეტოქესთან შეეძლო ტოლ-სწორად თამაში. თუმცა, დაახლოებით ერთნაირი სეზონების შემდეგ, რა დასამალია და, მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები შეგვექმნა. ამ დროს მოვიდა გვიდოლინი და ყველაფერი სასიკეთოდ შეცვალა. მისი მთავარი ღირსება სამართლიანობაა, ერთნაირად ეპყრობა ანტონიო დი ნატალესა და რიგით ახალგაზრდა ადამიანების გარემოცვაში ვარ, მათთან ურთიერთობა კი ჩემთვის შეუფასებელია. ამასთან, „უდინეზე“ ამბიციური გუნდია, სერიოზული მიზნებით და დიდხანს არ მიფიქრია, ისე მოვაწერე ხელი ახალ ხელშეკრულებას. საბედნიეროდ, შედეგებიც ისეთი გვაქვს, ერთხელაც არ მინანია, რომ ასე მოვიქეცი.

- დღეს რას ეტყოდით ჯუზეპე მაროტას, რომელმაც პირადად შემოგთავაზათ „იუვეში' გადასვლა...

- კიდევ ერთხელ ვეტყოდი მადლობას იმისთვის, რომ ასეთ დიდ კლუბში გადასვლა შემომთავაზა. „იუვენტუსი“ იტალიური ფეხბურთის ფლაგმანია, გუნდი, რომელმაც ყველაზე მეტჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. მისი მადლიერი ვარ, მაგრამ შეთავაზებაზე დღესაც უარს ვიტყოდი, რადგან უდინეში ნამდვილად მაქვს ყველაფერი, რაც სრულყოფილად ცხოვრების საშუალებას მაძლევს. ასე რომ, მე პატარა ზებრების ერთგული ვარ.

- თქვენი გადაწყვეტილება ყოველმხრივ სწორი გამოდგა, რადგან „უდინეზე“ ჩემპიონთა ლიგის საგზურთან ძალიან ახლოს არის, „იუვემ“ კი სეზონი ჩააგდო...

- „იუვენტუსში“ რომ გადავსულიყავ-



ფეხბურთელს პრიმავერადან. სწორედ ამით შეძლო ატმოსფეროს გაჯანსაღება და გუნდის ერთ მუშტად შეკვრა.

- გვიდოლინს ეყო გამბედაობა ეღიარებინა, რომ სეზონის სტარტზე შეცდომა დაუშვა, როდესაც რამდენიმე შეხვედრაში გარემარბად გაგამწესათ...

- გვიდოლინს გარკვეული დრო დასჭირდა იმისთვის, რომ ფეხბურთელების შესაძლებლობებში მაქსიმალურად გარკვეულიყო და დასკვნები გამოეტანა. თავიდან მარცხენა გარემარბად გამამწესა, რაც ძალიან არ მომეწონა და ამის შესახებ ვუთხარი კიდეც. თუმცა არ იფიქროთ, ჩვენ შორის რაიმე გაუგებრობა მომხდარიყოს, საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. უბრალოდ ავუხსენი, რომ ასაკი აღარ მაძლევდა საშუალებას ფლანგზე გაუჩერებლად მერბინა და ნახევარდაცვას დავხმარებოდი. ყველაზე უკეთ ცენტრფორვარდის პოზიციაზე ვგრძნობ თავს, ეს ის ამპლუაა, სადაც ნაკლებად იღლები და გადამწყვეტ მომენტში საკმარისი ძალა გაქვს. როდესაც ამის შესახებ გვიდოლინთან ვისაუბრე, ფორვარდის პოზიციაზე ფლორო ფლორესს და დენისს სურდათ ასპარეზობა - მათ მიმართ დიდი პატივისცემით ვარ განწყობილი, მაგრამ ვფიქრობ, რომ არჩევანის ჩემზე შეჩერებით გვიდოლინმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

- ანუ, თქვენში ფორვარდისთვის დამახასიათებელმა ეგოიზმმა გაიღვიძა. ალექსის სანჩესთან თუ გაქვთ ამ საკითხზე ნალაპარაკები, ალბათ მასაც სურს წინა ხაზზე თამაში...

- ხშირად ორი გამოკვეთილი ფორვარდით ვთამაშობთ და ასეთ შემთხვევაში ჩემი მეწყვილე სწორედ სანჩესია, თუმცა, თუ გვიდოლინმა მხოლოდ მე წამნია წინ, მაშინ ურუგვაელს სიღრმიდან ასპარეზობა ევალება. ალექსისი საოცარი ფეხბურთელია და დიდი მწვერვალების დაპყრობა შეუძლია, თუმცა ხშირად ზედმეტად ერთობა თამაშისას და იმის მაგივრად, რომ კარში დაარტყას, ფინტების კასკადს აწყობს. ერთხელ მაგრადაც ვუყვირე, არავის სჭირდება შენი ფინტი, მთავარი ტაბლოა და გოლები-თქო - უნდა გენახათ მისი სახე, გაუკვირდა, რადგან ზოგადად ასე არ ვიქცევი. თუმცა, ხანდახან საჭიროა შეუძახო თანაგუნდელს, რომ ხარ-ვეზი გამოასწოროს. თანაც ვგრძნობ, რომ დადგა დრო, სხვებსაც ვასწავლო.

- როგორ ხედავთ მის მომავალს?

- კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ საოცარი შესაძლებლობების ფეხბურთელია და მომავალში მწვერვალების დაპყრობა ძალუძს. სერია A ყველაზე რთული ჩემთლაც გაოცებული ვიყავი - ეს ის დრო გახლდათ, სკუდეტოსთვის მებრძოლ გუნდთა შორის რომ გავერიეთ და მილანურ გრანდებს ჩავუდექით კუდში.

- კიდევ რამდენ ხანს აპირებთ ფეხბურთის თამაშს?

- „უდინეზესთან“ სამწლიანი ხელშეკრულება მაკავშირებს, ამოვწურავ ბოლომდე და კარიერასაც დავასრულებ. სამი წელი ჯერ წინ მაქვს და ვეცდები, კიდევ ბევრი სარგებელი მოვუტანო ჩემს გუნდს. მსურს კარიერის დასრულების შემდეგაც უდინეში დავრჩე საცხოვრებლად და ამისთვის სერიოზული საფუძველი ჩავყარე - ერთ-ეთი ბავშვთა საფეხბურთო სკოლა შევიძინე და ვეცდები, ჩემი გამოცდილება პატარებს გავუზიარო.

- ხშირად ამბობთ, რომ ნამდვილი ნეაპოლელი ხართ, არადა, ერთხელაც არ მოგირგიათ „ნაპოლის“ ამუნიცია...

- „ნაპოლიში“ გადასვლასთან ყველაზე ახლოს სამი წლის წინ ვიყავი, მაგრამ მაშინ უარი განვაცხადე და იმავე მოტივებით, რაც „იუვენტუსის“ შემთხვევაში. თუნდაც აქედან გამომდინარე იქნებოდა არასწორი, რომ ტურინელთა წინადადებას დავთანხმებულიყავი, როდესაც მშობლიური ქალაქის გუნდს უარი შევუთვალე. „ნაპოლის“ ბავშობიდან ვგულშემატკივრობდი, მაგრამ ისე მოხდა, რომ ახალგაზრდულ ასაკში ამ გუნდში ასპარეზობის შანსი არ მომეცა, შემდეგ კი...

- სამაგიეროდ, ეროვნულ ნაკრებში გაქვთ არაერთი თამაში ჩატარებული, თუმცა ისეთი წარმატებით ვერ დაიკვეხნით, როგორც საკლუბო დონეზე.

- ყველაზე დიდი ემოციები მაშინ განვიცადე, როდესაც პირველად შევდგი ფეხი კოვერჩიანოს სანვრთნელ ბაზაზე და კედელზე „სკუადრა აძურას“ სხვადასხვა დროის ფოტოები ვიხილე. უცებ მივხვდი, რომ ამ დიადი ისტორიის ნაწილი ვიყავი და სიამაყის გრძნობამ შემიპყრო. მსოფლიოს ჩემპიონატზე კრახი განვიცადეთ, რისი ახსნაც მიჭირს, აი 2008 წლის ევროფორუმზე კი, ჩემი აზრით, ძალიან კარგი ნაკრები გვყავდა. მხოლოდ თერთმეტმეტრიანების სერიაში წავაგეთ მომავალ ჩემპიონებთან და თამაშსაც თუ გავიხსენებთ, მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ესპანელებმა შემდეგ მუნდიალიც მოიგეს და დღემდე საუკეთესოები არიან პლანეტაზე. ძალიან მინდა კიდევ მომეცეს ნაკრებში ასპარეზობის საშუალება და ზედმეტი თავდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ბოლო ორ სეზონში ხუთი ათეული გოლის გამტანი ფორვარდი ამას იმსახურებს.

ლაშა ნიკლაური

კვირის ჟურნალი

სიურპრიზი ბარსას

სერ ალექს ფერგიუსონი ამბობს, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის მას მეტოქე „ბარსელონასათვის“ „სიურპრიზი“ აქვს მომზადებული. ამის შესახებ „დეილი მეილის“ კორესპონდენტი თავად ლეგენდარულ სქოთს გაესაუბარა: „მე არ დავიწყებ იმაზე საუბარს, თუ რამდენად ძლიერია ჩვენი მეტოქე - ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. მიუხედავად ამისა, არც ჩემი გუნდია ნაკლები: სე ზონის დასაწყისში ჩვენ სრულ კრახს გვინინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, როგორც ხედავთ, დღესდღეობით ის კრიტიკოსები შეცდომის აღიარების ნაცვლად, ჩალაგამოვლებულები ხსედან და ხმას არ იღებენ. გეხსომებათ: მე „ჩელსისთან“ გასამართი სამივე მატჩის წინ განვაცხადე, რომ მათთვის „სიურპრიზები“ მაქვს მომზადებული და როგორც თავად დაინახეთ, „ლურჯებმა“ ეს ჩემი „საჩუქარი“ მიიღეს - ახლა „ბარსელონას“ ჯერია! მე ვიცი, როგორც უნდა დავამარცხო ხოსეპ გვარდიოლას სუპერშემადგენლობა - ერთი შეხედვით ეს რთულია, მაგრამ დაველოდოთ 28 მაისს“, - თქვა ფერგიუსონმა.

რთული გადაწყვეტილება

ტრავმიანობის გამო ბევრი გაუცდა, ზოგჯერ არ ათამაშებდნენ, ზოგჯერ განაცხადშიც არ შეყავდათ, მაგრამ ის მაინც „მილანის“ ლეგენდად რჩება - ლაპარაკია ლეგენდარულ, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონ 31 წლის ნახევარმცველ **ანდრეა პირლოზე.** მოგეხსენებათ, იტალიურ პრესაში არ წყდება სპეკულაციები ანდრეას შესაძლო გადასვლაზე „იუვენტუსში“. ამის შესახებ თავად ფეხბურთელი მოკლედ, მაგრამ ასე ამბობს: „ამჟამად ძალზე რთული გადაწყვეტილების წინაშე ვდგავარ - აქ ათი დაუვიწყარი წელი მაქვს გატარებული“. შეგახსენებთ: პირლომ „როსონერის“ რიგებში 284 გამართულ მატჩში 32-ჯერ გამოიჩინა თავი, წელს კი ზემონახსენები ტრავმიანობის გამო, **მასიმილიანო ალეგრის** ტაქტიკური სქემიდან ამოვარდა. ამასობაში, „მილანის“ კიდევ ორმა ლეგენდა **ფილიპო ინძაგიმ** და **ალესანდრო ნესტამ** კლუბთან ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

რაული ესპანეთის ნაკრებში ბრუნდება?

ესპანეთის ეროვნული ნაკრების თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ** განაცხადა, რომ შესაძლოა, მან ლეგენდარული **რაულ გონსალეს ბლანკო** ნაკრებში დააბრუნოს - იუწყება გამოცემა „მარკა“. შეგახსენებთ, რომ რაულს ევრო 2008-ზე და მუნდიალ 2010-ზე არ უთამაშია და შესაბამისად, უტიტულოდ დარჩა. ეგ კი არა, მისი ბოლო შეხვედრა 2006 წლის სექტემბრით თარიღდება: ამ დღეს ესპანელები 3:2 დამარცხდნენ ჩრდილოეთ ირლანდიასთან ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე. „რასაკვირველია, მე არ ვარ წინააღმდეგი მისი დაბრუნებისა, - ამბობს დელ ბოსკე - იგი გუნდური მოთამაშეა, რაც „შალკეში“ თამაშისას დაამტკიცა. ის სხვებისთვის მაგალითია“.

ჯვირის სიმბოლური ნაკრები

(4-4-2): **ჯანლუიჯი გუფონი** (იუვენტუსი) - **პეპე** (რეალი), **მატს ჰუმელსი** (დორტმუნდი), **მარტინ კასერესი** (სევილია), **მაურისიო ისლა** (უდინეზე) - **რაფაელ ვან დერ ვაარტი** (ტოტენჰემი), **სებასტიან ჯიოვინკო** (პარმა), **ანხელ ლაფიტა** (სარაგოსა), **არტურო ვიდალი** (ლევერკუზენი) - **მარიო გომესი** (ბაიერნი), რობინიო (მილანი).

ჯვირის ჯერიოზი და გოლი

კვირის ჯერიოზი ისაა, რომ „ბაიერნისა“ და „შტუტგარტის“ (1:1) შეხვედრაში მიუნხენელთა ნახევარმცველმა **არიენ რობენმა** ბრწყინვალე პასით ცარიელ კარს შეატოვა ფორვარდი **მიროსლავ კლოზე**, რომელმაც 2 მეტრიდან (!) ვერ მოახერხა კარის დალაშქვრა. კვირის გოლი კი - **რაფაელ ვან დერ ვაარტის** გოლია „ლივერპულის“ კარში. მან ბრწყინვალე დარტყმით შორეულ კუთხეში გაუტანა პეპე რეინას.

გიორგი ფულარიანი

უცხოური ფეხბურთი

● გალათასარაი

პიტერ კენიონი, დიდიე დროგბა, ფათიჰ თერიმი: მათ „გალათასარაიში“ ელიან

გალათასარაი თავიდან იბადება!

თერიმი, დროგბა, კენიონი...

კიდევ ვინ არის საჭირო თურქული გრანდის ძველ სიმაღლეზე დასაბრუნებლად?

გახსოვთ, როგორ ბობოქრობდა „გალათასარაი“ ერთ დროს ევროპაში? არა, ჩემპიონთა ლიგა არ მოუგია, მაგრამ უეფას თასი კი მოიგო და ისიც გეხსომებათ, რომ სტამბულში ამ გუნდის წინააღმდეგ წარმატების მიღწევა ევროპის ნებისმიერ გრანდს ძალიან უჭირდა. „გალა“ დიდი ხანია, ასეთი გუნდი აღარ არის, ამ სეზონში კი მორიგი კრახიც განიცადა: თურქეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურია დარჩენილი, „გალათასარაი“ კი მე-9 ადგილზეა. მაგრამ ამიერიდან, თურქეთის ისტორიულ გრანდში ახალი ცხოვრება იწყება.

ყველაფერი რამდენიმე დღის წინ, პრეზიდენტის შეცვლით დაიწყო: **უნალ აისალის** სახით „გალას“ ახალი ბოსი ჰყავს, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნები უდიდესი უპირატესობით მოიგო. ეს უკანასკნელი კი დიდი ფულის პატრონია, ახალი იდეები აქვს და გულშემატკივრებს ძალიან მაგარ რაღაცებს ჰპირდება. აისალმა არჩევნების პირველ წრეში 1 905 ხმა მიიღო და პრეზიდენტი გახდა, რაშიც ეჭვი არავის ეპარებოდა. მის კონკურენტებს, **თურგაი ქირანსა** და **მეჰმეთ ჰელვაჩის** შანსი არ ჰქონდათ. 1905 „გალათასარაის“ დაარსების წელია, რაც უკვე იყო სიმბოლური ნიშანი, მაგრამ აისალმა კიდევ 1083 ხმაც მიიღო, რითაც არჩევნები „გალათასარაისთვის“ სარეკორდო შედეგით მოიგო. *„ეს ნდობის ნიშანია, მე კი უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ. წარმატება, წარმატება და წარმატება – ეს არის ჩემი მიზანი. „გალათასარაი“ ევროპის ელიტაში უნდა დავაბრუნო,“* - თქვა აისალმა არჩევნების შემდეგ.

ახალი პრეზიდენტის თქმით, ის ბოლო წლებში თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, რადგან დაუშვებელია, რომ „გალათასარაი“ თურქეთის ჩემპიონობისთვის არ იბრძოდეს და მით უმეტეს, სუპერლიგიდან გავარდნის საფრთხე ემუქრებოდეს. აისალის თქმით, ეს არის გუნდი, რომელიც მინიმუმ ისე უნდა თამაშობდეს, როგორც 2000 წელს თამაშობდა, როცა უეფას თასი მოიგო.

გადაწყვეტილია: თერიმი მოდის!

პრეზიდენტის პირველი მიზანი ახალი მწვრთნელის დანიშვნა იყო. მის სიაში ბევრი სახელოვანი კანდიდატის გვარი ფიგურირებდა, მაგრამ აისალმა არჩევანი ყველაზე ცნობილ თურქ სპეციალისტზე, **ფათიჰ თერიმზე** შეაჩერა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ „იმპერატორი“ „გალაში“ მესამედ დაბრუნდება. შეგახსენებთ, რომ თერიმი „გალათასარაის“ პირველად 1996-დან 2000 წლამდე, მეორედ კი 2002-დან 2004 წლამდე წვრთნიდა. რომ არა თერიმი, „გალას“ თავკაცი ალბათ **მარტინ იოლი** გახდებოდა, რომელთანაც კლუბის წინა შეფებს შეთანხმება მიღწეული ჰქონდათ, მაგრამ გაპრეზიდენტების შემდეგ აისალმა თქვა, მწვრთნელი ის უნდა იყოს, ვინც აქაურ ატმოსფეროს კარგად იცნობსო და უპირატესობა „იმპერატორს“ მიანიჭა.

ჯენიონიც მზადაა

ფაქტობრივად გადაწყვეტილია ისიც, რომ კლუბის მართვა ახალი სტრუქტურით მოხდება, რომელსაც სათავეში „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ჩელსის“ ყოფილი ბოსი, **პიტერ კენიონი** ჩაუდგება. ამ უკანასკნელის ბედს „გალას“ 2008 წელსაც უკავშირებდნენ, მაგრამ მაშინ შეთანხმება არ შედგა.

„ჩვენი მიზანია, კლუბს ჰქონდეს თანამედროვე სტრუქტურა, ისეთი, როგორიც ევროპის გრანდებს აქვთ, - აცხადებს აისალი, - *ცხადია, „გალათასარაი“ პირველ რიგში სპორტული გუნდია, მაგრამ ეს კონცერნიცაა, რომელიც პროფესიონალებმა პროფესიონალურად უნდა მართონ.“*

დროგბა და ჯალსტრიომიც?

ახალი პრეზიდენტი ქომაგებს ძვირადღირებული, სახელოვანი ფეხბურთელების ყიდვასაც ჰპირდება. *„მინიმუმ ოთხი-ხუთი ვარსკვლავი უნდა ვიყიდოთ, რადგან გვინდა, რომ გაისად თურქეთის ჩემპიონები გავხდეთ,“* - ამბობს აისალი. ჩვენი თურქი კოლეგების ინფორმაციით, „გალათასარაიში“ გადასვლის ნომერ პირველი კანდიდატი „ჩელსის“ კოტ დ'ივუარელი გოლეადორი **დიდიე დროგბაა**. ამ უკანასკნელის ყიდვის სურვილს თვითონ აისალიც ადასტურებს. პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ „ბაიერნის“ თურქ ნახევარმცველ ჰამით ალთინთოფსაც უმიზნებს (თუკი ის „რეალში“ არ გადავა) და სხვა სასურველი მოთამაშეების გვარებიც ჩამოთვალა: **იოჰან ელმანდერი** (ბოლტონი) და **კიმ კალსტრიომი** (ლიონი).

ამავე დროს, აისალის თქმით, „გალათასარაის“ აქტუალური შემადგენლობის მინიმუმ ერთი მესამედი დატოვებს. მას აღარ სჭირდება ისეთი მოთამაშეები, როგორებიც **არიან ჰარი კიუელი, ლუკას ნეილი, ემილიანო ინსუა** და **რობინსონ საპატა**, რადგან მათ „გალათასარაიში“ იმედები ვერ გაამართლეს.

ეს ყველაფერი კარგია და საინტერესო, მაგრამ „გალათასარაის“ ძალიან დიდი ვალებიც აქვს. მაგალითად, ამ თვის ბოლოს კლუბმა 50-მილიონიანი კრედიტი ბოლომდე უნდა დაფაროს. თუმცა აისალს ეს არ აშინებს – ჩვენ ბევრი ვალი გვაქვს, მაგრამ ყველაფერს მოვაგვარებთო.

ერთადერთი, რაც მას არ მოსწონს, ისაა, რომ **რომან აბრამოვიჩს** ადარებენ და მასთან აიგიგებენ: *„რომანი და მე ერთმანეთისგან ძალიან განვსხვავდებით. მან „ჩელსი“ იყიდა და მისი ინტერესი ფინანსური წარმატებაა. მე კი პირველ რიგში კლუბის წარმატებაზე ვფიქრობ. „გალათასარაი“ ჩემი საკუთრება არ არის და მთელი ჩემი კაპიტალის დაბანდებას ნაღდად არ ვაპირებ. და სხვათა შორის, აბრამოვიჩი ჩემზე გაცილებით სიმპათიურია...“*

● მოსაზრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანი: სად გაქრა ბაიერნის ფილოსოფია?

ოლის აზრით, ნოიერში 18 მილიონის გადახდა არ შეიძლება

„ბაიერნის“ ყოფილმა კაპიტანმა, დღეს უკვე 41 წლის ლეგენდარულმა მეკარემ, **ოლივერ კანმა** მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელები გააკრიტიკა. ოლის მიაჩნია, რომ „შალკესა“ და გერმანიის ნაკრების კიპერ **მანუელ ნოიერში** 18 მილიონი ევროს გადახდა არ შეიძლება. გარდა ამისა, კანი ფიქრობს, რომ **იუპ ჰაინკესის** მთავარ მწვრთნელად დანიშვნაც შეცდომაა და არც ზოგადად „ბაიერნის“ დღევანდელი ფილოსოფია მოსწონს. „ტიტანის“ კრიტიკა ერთ წინადადებაში რომ მოვაქციოთ, ასეთ მოსაზრებას მივიღებთ: ოლი ფიქრობს, რომ „ბაიერნს“ არ აქვს ჩამოყალიბებული კონცეფცია და დეტალური გეგმა.

როგორც იცით, „ბაიერნმა“ „შალკეს“ ნოიერის სანაცვლოდ 18 მილიონი ევრო შესთავაზა და გარკვეული დროისა და წარმატებების შემდეგ, გელზენკირხენული კლუბი კიდევ 7 მილიონსაც მიიღებს (აქედან 4 მილიონს გარანტირებულად). ოლი ფიქრობს, რომ მეკარეში, რომელსაც გაისად „შალკესთან“ კონტრაქტი ისედაც უმთავრდება და მის გაგრძელებას არ აპირებს, ამდენი ფულის გადახდა არ არის ჭკვიანური და გამართლებული საქციელი.

„მართალია, „ბაიერნი“ ნოიერის სახით ძალიან კარგ, დღეს-დღეობით მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს ყიდულობს, მაგრამ 18+7 მილიონი ევრო ზედმეტად ბევრია. მანუელს „შალკესთან“ კონტრაქტი გაისად უმთავრდება და ერთი წლის შემდეგ სულაც უფასო იქნება. შესაბამისად, ასეთ დროს მიუნხენური გრანდის შეფებს მეტი ჭკუის გამოჩენა მართებთ. მენეჯმენტის თვალსაზრისით, ეს დიდი შეცდომაა. ამხელა თანხის გადახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, ნოიერს „შალკესთან“ ხელშეკრულება კიდევ სამი წლით რომ აკავშირებდეს,“ - აცხადებს კანი „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

გარდა ამისა, ოლის აზრით, 66 წლის **ჰაინკესის** მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დანიშვნა სწრაფად და დაუფიქრებლად მიღებული გადაწყვეტილებაა. კანი: *„იუპის კომპეტენციაში ეჭვი ნამდვილად არ მეპარება. ჰაინკესი ძალიან კარგად იცნობს „ბაიერნის“ ატმოსფეროს და ფეხბურთელებსაც. მისი მონვევა ალოგიკური ნამდვილად არ არის, რომ არა ერთი ფაქტორი. მე მაინც მგონია, რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა გადაწყვეტილება ნაჩქარევად მიიღეს. ჰაინკესის დანიშვნა საკმაოდ კომიკურია იმის გამო, რომ ეს სპეციალისტი „ბაიერნს“ ორი წლის წინაც თავკაცობდა, ოღონდ მაშინ დროებითი მწვრთნელი იყო. არა მგონია, „ბაიერნის“ შეფები დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ ჰაინკესი „ბაიერნში“ ისეთ ერას შექმნის, როგორიც მაგალითად ოტმარ ჰიტცფელდმა შექმნა. და თუ არ სჯერათ, რომ „დონ იუპი“ ამ პოსტზე 6-7 წელი დარჩება, რატომ ნიშნავენ?“*



ოლივერ კანი

ოლის ყველაზე მეტად ის ფაქტი აღელვებს, რომ „ბაიერნში“ იმ ფილოსოფიას ვეღარ ხედავს, რაც რეკორდმაისტერს მისი თამაშის დროს ჰქონდა: *„სად არის ნაღდი საფეხბურთო იდეა, ის ფილოსოფია, რომელიც მიუნხენურ გრანდს ყოველთვის ჰქონდა? რა კრიტერიუმებით არჩევენ ხელმძღვანელები მოთამაშეებს? ითვალისწინებენ თუ არა ბოსები იმას, რომ ფეხბურთეები ერთმანეთს უნდა ავსებდნენ? „ბარსელონას“ მაგალითი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ძვირადღირებული ფეხბურთელების შეძენა წარმატებისთვის საკმარისი არ არის. კატალონიელებმა უარი თქვეს ათობით მილიონების ხარჯვაზე და მოთამაშეებს იმის მიხედვით არჩევენ, თუ რამდენად მიესადაგებიან ისინი გუნდის ფილოსოფიას. მე კი რეკორდმაისტერში ასეთ სტრატეგიას ვერ ვხედავ. სხვათა შორის, იგივე უნდა ვთქვა მადრიდის „რეალზეც“, სადაც ასევე არ ჩანს ჩამოყალიბებული კონცეფცია.“*

ინტერვიუში კანი **იენს ლემანის** თემასაც შეეხო. ეს უკანასკნელი მწვრთნელობას აპირებს და ლიცენზიაზე განაცხადი უკვე შეიტანა. კითხვაზე, რამდენად კარგი მწვრთნელი იქნება ლემანი, კანმა ასე უპასუხა: *„ჩვენ ერთად ძალიან კარგ სამწვრთნელო გუნდს შევქმნიდით. ოღონდ, მე მთავარი მწვრთნელი უნდა ვიყო, ის კი ჩემი პირველი ასისტენტი...“*

● შალკე

შალკე „გაზპრომთან“ ახალ კონტრაქტს აფორმებს

კიდევ 80 000 000 გაზპრომისგან!

რა უნდოდათ შალკეს ბოსებს პუტინთან? რა თქმა უნდა, ფული!

პრინციპში, ეს სეზონი „შალკესთვის“ მაინც ძალიან წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. მართალია, **ლევან ყენიას** გუნდმა ბუნდესლიგაში ძალიან ცუდად იასპარეზა და სეზონის მიწურულამდე ელიტაში ადგილის შენარჩუნებაც კი არ ჰქონდა განაღდებული (არადა, „შალკე“ შარშან ვიცე-ჩემპიონი გახდა), სამაგიეროდ, გელზენკირხენელები გერმანიის თასის ფინალში გავიდნენ, სადაც შაბათს მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელ „დუისბურგს“ ეთამაშებიან და რაც ყველაზე მთავარია, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ითამაშეს.

ამ სენსაციურმა წარმატებამ „შალკეს“ ბევრი ფული აშოვნინა, ფული კი, გელზენკირხენელებს ძალიან სჭირდებოდათ, რადგან აგერ უკვე ორი წელია, ვალებში იხრჩობიან. ამ თვალსაზრისით მთავარ წარმატებას გუნდმა გუშინ მიაღწია, როცა გადაწყდა, რომ გენერალური სპონსორი, რუსული ნავთობ-გიგანტი „გაზპრომი“ „შალკესთან“ ახალ კონტრაქტს აფორმებს. ძველ ხელშეკრულებას ვადა 2012 წელს ეწურებოდა, ახალი კონტრაქტის მიხედვით კი, „გაზპრომი“ „შალკეს“ გენერალური სპონსორი 2017 წლამდე იქნება. რუსულ გიგანტს თანამშრომლობის გაგრძელებაზე გელზენკირხენული კლუბის შეფები, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონიესი** და ფინანსური დირექტორი **პეტერ პეტერსი** შეუთანხმდნენ.

„ბილდის“ ინფორმაციით, „გაზპრომი“ „შალკეს“ 2017 წლამდე, ყოველწლიურად 16 მილიონ ევროს გადაურიცხავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტიონიესმა და პეტერსმა 80-მილიონიან კონტრაქტს გამოჰკრეს ხელი. და ეს ყველაფერი არ არის: ამ თანხას ხომ სხვადასხვა წარმატებებისთვის გათვალისწინებული პრემიები დაემატება და დიდი შანსია, რომ „გაზპრომისგან“ საერთო შემოსავალმა 100 მილიონსაც გადააჭარბოს. ცნობისათვის, რუსები „შალკეს“ აქამდე ყოველწლიურად მხოლოდ 12.5 მილიონ ევროს უხდიდნენ.

ტიონიესი და პეტერსი მოსკოვში ორშაბათს გაფრინდენ, სამშაბათს კი „გაზპრომის“ შეფ **ალექსეი მილერთან** გამართეს მოლაპარაკებები. საღამოს, „შალკეს“ შეფები თვით რუსეთის პრემიერმინისტრმა ვლადიმირ პუტინმაც მიიღო...

„თანამშრომლობით ორივე მხარე ძალიან კმაყოფილია. „გაზპრომი“ საფეხბურთო გერმანიაში დღეს ყველაზე ცნობილი სპონსორია. ძალიან გამიკვირდა და გამიხარდა ის, რომ თურმე ვლადიმირ პუტინმა „შალკეს“ შესახებ ძალიან ბევრი რამ იცის,“ - აცხადებს ტიონიესი.

„შალკესა“ და „გაზპრომს“ შორის ახალი კონტრაქტი ოფიციალურად ორ კვირაში გაფორმდება და თუ გელზენკირხენული კლუბი ჯერმანიის თასს მოიგებს და ევროპის ლიგის საგზურს მოიპოვებს, რუსები ხელშეკრულებას კიდევ უფრო გაუმჯობესებული კონდიციებით გააფორმებენ. სხვათა შორის, „გაზპრომს“ სანკტ პეტერბურგის „ზენიტისთვის“ ახალი სუპერ-სტადიონის აშენება უნდა და „ბილდის“ ინფორმაციით, პუტინს „შალკეს“ შეფებისთვის დახმარება უთხოვია – გელზენკირხენის „ფელტინს არენა აუფ შალკე“ ხომ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონია და რუსებსაც სწორედ ასეთის აშენება სურთ.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ევროპის ლიგა. ფინალის გამოძახილი



ნაცის გმირი

ეშინოდეს ჩემპიონთა ლიგას: პორტუ მოდის!

როგორც არ უნდა დასრულებულიყო დუბლინური ფინალი, პორტუგალიაში მაინც დღესასწაული გაიმართებოდა, ოთხშაბათის 90 წუთს უნდა დაედგინა, სად მოეწყობოდა ფიესტა - ქვეყნის „ჩრდილოეთის დედაქალაქ“ ოპორტოში თუ მისგან აღმოსავლეთით მდებარე და ორჯერ უფრო პატარა ბრაგაში. ფავორიტმა „პორტუმ“ ივარგა, 1:0 მოიგო და შინ თასით ხელდამშვენებული წავიდა.

გამარჯვებულმა **ანდრე ვილას-ბოასმა** *აღიარა, რომ ირლანდიური ფინალი მოსაწყენი გამოვიდა: „ფინალით არცთუ კმაყოფილი ვარ, ვერ გამოვიდა ისეთი ფეხბურთი, როგორსაც გულშემატკივრები ელოდნენ, ნამდვილად შეიძლებოდა ხალხს უკეთესი თამაში ენახა. თუმცა ეს არ არის უჩვეულო ფინალური მატჩებისათვის. ორივე გუნდი დაძაბული იყო, რის გამოც კომბინაციური ფეხბურთი არ გამოგვდიოდა. ეს კი პორტუგალიური ფეხბურთისთვის დამახასიათებელი არ არის. მაგრამ ჩვენ შევძელით მთავარი, გადამწყვეტი გოლი გავიტანეთ მეტოქის კარში და ევროპის ლიგა მოვიგეთ. ვერ ვაჩვენეთ ჩვენი თამაში, რაშიც მეტოქის წვლილიცაა. ისე კი, ძალიან გახარებულები და ბედნიერები ვართ, ბრწყინვალე სეზონს ახლა ერთი, ფინალური გამარჯვებაღა აკლია - პორტუგალიის თასიც უნდა მოვიგოთ“.*

მისმა ოპონენტმა **დომინგუშ პასიენსიამ**, *რომელიც ამ თამაშით გამოეთხოვა „ბრაგას“, მარცხში ესპანელ არბიტრს ადანაშაულებს: „ძალიან იმედგაცრუებული ვარ, ბიჭებიც ასე არიან. თამაშმა დაგვანახვა, რომ „პორტუს“ ჩვენზე სულაც არ ჰქონდა ის უპირატესობა, რასაც ყველა მატჩამდე ვარაუდობდა. 44-ე წუთზე მეტოქემ ჩვენივე შეცდომის წყალობით გაიტანა გოლი. მეორე ტაიმში „ბრაგას“ ჰქონდა უპირატესობა და ძალიან სამწუხაროა, რომ მოსორომ გატანა ვერ შეძლო. მას, რომ ის შანსი გამოეყენებინა, სიუჟეტი სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო 72-ე წუთზე, როცა მსაჯს უნდა გაეგდო სეპუნარუ, მაგრამ ესპანელმა არბიტრმა ეს არ გააკეთა. მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ „პორტუ“ დაუმსახურებლად გახდა ჩემპიონი“.*

მწვრთნელს კაპიტანიც ეთანხმება, **ვანდინიო** *აცხადებს, რომ* **კარბალიო** *სუსტი არბიტრია და ის ევროპის ლიგის ფინალში არ უნდა დაენიშნათ. აი, კლუბის პრეზიდენტი* **ანტონიუ სალვადორი** *კი ამაყია: „ძალიან მეამაყება ჩემი გუნდის და ბიჭების. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ აქ ტყუილად არ ჩამოვედით. ვიბრძოლეთ ბოლომდე გასამარჯვებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა. პორტუგალიას და მთელ მსოფლიოს ჩვენი მაღალი დონე და პროფესიონალი ზმი ვაჩვენეთ“.*

„პორტუს“ პრეზიდენტმა **პინტუ და კოშტამ**, *რომელიც გუნდის ფანებში ძალზე პოპულარულია, დუბლინშივე დადო პირობა, რომ კლუბი ლიდერებს არ გაყიდის: „მომავალ სეზონში ყველა მნიშვნელოვან ფეხბურთელს შევინარჩუნებთ, ამის პირობას ახლავე ვიძლევი, თუმცა ნამდვილად არ მჩვევია წინასწარ მოგებები შეგპირდეთ და ამას არც ამ საყოველთაო სიხარულის ჟამს შეგპირდებით. ერთი ვიცი, რომ გუნდი მომავალშიც კარგ ფეხბურთს ითამაშებს, რადგან ეს „პორტუს“ დევიზია. ამბობენ, ვილას-ბოასი გრანდებს სურთო, ჩვენ ეს არ გვაწუხებს - თავად ვართ ევროგრანდი და იმიტომ“.* *მატჩის გმირმა* **რადამელ ფალკაომ** *თქვა, რომ „პორტუ“ ტიტულებზეა დაგეშილი და ამაზე გაჩერებას არ აპირებს: „ფეხბურთელები ერთ მუშტად ვართ შეკრულნი, ჩვენი მიზანია - ბევრი ტიტული. ძალიან მიხარია, რომ გამარჯვების გოლი გავიტანე, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი კლუბის წარმატებაა. ყველანი კმაყოფილები ვართ, რადგან სეზონის დასაწყისში სწორედ ამას ვნატრობდით“.* *მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ ბევრი ექსპერტი ფინალის საუკეთესო ფეხბურთელად ფალკაოს პარტნიორ* **ჰალკს** *მიიჩნევს: „ეს საღამო უკვე ისტორიაა. მოვა დრო, როცა მე ამ წარმატების შესახებ ჩემს შვილს სიამაყით მოვუყვები. მომავალში კი ჩემპიონთა ლიგაზე ვფიქრობთ, ევროპის ლიგის ტიტულზე უკეთესი ხომ მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის მოგებაა“.*

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

რას წერს პორტუგალიური პრესა

„ო ჟოგო“ აღნიშნავს, რომ ფინალი ვერ გამოდგა თვალსასაერო, თუმცა „პორტუს“ გამარჯვება ლოგიკური იყო. ამ ტურნირში ვილას-ბოასის გუნდმა უმაღლესი კლასის ფეხბურთი აჩვენა და ღირსეული გამარჯვებულიც გახდა. „ო ჟოგოს“ სათაური კი, არც მეტი არც ნაკლები, ასეთია: „ნაციის გმირი“. გამოცემა ამტკიცებს, რომ „პორტუ“ გაისად ჩემპიონთა ლიგაშიც წარმატებული იქნება.

ახალი განსაკუთრებული?

ანდრე ვილას-ბოასი თითქმის 10 წლის განმავლობაში **ჟოზე მოურინიოს** თანაშემწე იყო. ახლა კი მას ისეთი მიღწევა აქვს, რითაც ვერც თავად „განსაკუთრებული“ და ვერც სერ **ალექს ფერგიუსონი** დაიკვეხნის - ვილას-ბოასი ევროთასების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა სპეციალისტია, რომელმაც ტიტული მოიგო. პორტუგალიელმა ეს 33 წლის ასაკში მოახერხა.

ვილას-ბოასი „პორტუში“ პირველ სეზონს ასრულებს და წინ კიდევ სათასო ფინალი ელის, მაგრამ მან უკვე შეძლო:

- **კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი დაუმარცხებელი სერია (ყველა შეჯიბრებაში) გამოაცხო - 36. წინა რეკორდი, რა თქმა უნდა, მოურინიოს ეკუთვნოდა - 33 თამაში წაუგებლად;**
- **ევროთასებზე პორტუგალიური კლუბების მოგებათა რეკორდი დაამყარა სეზონში - 14;**
- **ლიგასაგრეშში ქულების რეკორდულ მაჩვენებელს მოუყარა თავი - 84 ქულა;**
- **პორტუგალიის ჩემპიონატის ისტორიაში ყველაზე დიდი მოგებათა სერია გამოაცხო - 16;**
- **ლიგის ისტორიაში ყველაზე დიდი სხვაობით მოუგო მეორეადგილოსანს - „ბენფიკა“ 21 ქულით ჩამოიტოვა;**
- **„ბენფიკას“ შემდეგ მეორე პორტუგალიური გუნდი გახადა „პორტუ“, რომელსაც სეზონში არ წაუგია.**

და ეს ყველაფერი მან 9 თვის განმავლობაში მოასწრო! მწვრთნელს კლუბში საფეხბურთო სტილის შესაცვლელად დაუძახეს და უთხრეს, რომ ახალი ფეხბურთელები არ იქნებოდნენ. „პორტუდან“ **რაულ მეირელში** და **ბრუნო ალვეში** წავიდნენ, ერთადერთი შენამატი კი **ჟოაო მოუტინიოა**. რაც შეეხება თამაშის სტილს, ყველაზე მეტად სპეციალისტებს სწორედ ეგ მოსწონთ, რომ „პორტუ“ როგორც წესი, მეტოქეებს კი არ ამარცხებს, არამედ ანადგურებს. სეზონში ამ კლუბს გოლების უკეთესი შეფარდება აქვს, ვიდრე „ბარსელონას“ - 47 შეხვედრაში „პორტუმ“ 114 გოლი გაიტანა და მხოლოდ 32 გაუშვა! ეს ფანტასტიკაა...

სტატისტიკა

გოლები

17	რადამ. ფალკაო	პორტუ
11	ჯუზეპე როსი	ვილიარ.
6	ტომაშ ნეცინდი	ცსკა

საგოლე პასები

6	რომან ერიომენკო	დინამო კ.
5	არტურ ბოკა	შტუტგარ.
4	ჯეიმს როდრიგესი	პორტუ

ყარისაკენ დარტყმა (ხუსტი)

25	ფალკაო	პორტუ
24	როსი	ვილიარ.
24	ჰალკი	პორტუ

ყარში დარტყმა (არაზუსტი)

21	ჰალკი	პორტუ
19	ფალკაო	პორტუ
18	კარდოსო	ბენფიკა

თამაშგარე

16	პოშტიგა	სპორტინგი
15	კუიტი	ლივერპული
15	მილევსკი	დინამო კ.

გაფრთხილება

5	ხაჩერიდი	დინამო კ.
4	პასტორე	პალერმო
4	კაკა	ბრაგა

გაძევება

2	პასტორე	პალერმო

ჯარიმა

32	როდიონოვი	ბატე
29	გუარინი	პორტუ
27	პოპოვი	დინამო კ.

მასზე დაჯარიმდნენ

46	მილევსკი	დინამო კ.
38	ალანი	ბრაგა
32	ჰალკი	პორტუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ოლიმპიური კომიტეტი. ახალი ოფისის პრეზენტაცია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

პრინცი - თბილისში, ხაბარელი - დირექტორად

18 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ახალმოსახლეობას იზეიმებს - თბილისის ძველ უბანში, მაჩაბლის ქუჩის 11 ნომერში, ისტორიულ შენობაში დაიდებს ბინას, რომელსაც ქალაქში უფრო „სახალხო დამცველის ოფისად" იცნობენ. ჯერჯერობით იქ გამალებული რემონტია - სეოკ-ის ხელმძღვანელობის სურვილით, იქაურობა სუპერთანამედროვე ოფისად უნდა გადაიქცეს, სადაც უცხოელი სტუმრების მიყვანა არ შეგრცხვება. მომსვლელი კი იცოცხლეთ, ბლომად იქნება. თან, ფრიად ჩინმაღალი რანგისა და საპატიონი. როგორც იცით, თბილისი 2015 წელს ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს, მისი საორგანიზაციო კომიტეტი კი სწორედ ამ მისამართზე განთავსდება. მოსამზადებელ ეტაპზე ევროპელ სტუმარს რა დალევს, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულად თვალსაჩინო ფიგურა სექტემბერში, ამ ოფისის საზეიმო გახსნაზე გვესტუმრება - საქართველოს პრეზიდენტის მონვევით მონაკოს პრინცი **ალბერი** ჩამოვა. ახალგაზრდობაში ის თვითონ იყო სპორტსმენი, ამჟამად კი თავისი ქვეყნის ეოკ-ის პრეზიდენტია.

გუშინ მაჩაბლის ქუჩაზე ახალი ოფისის პრეზენტაცია გაიმართა, თუმცა მას მეორე, არანაკლები დატვირთვაც ჰქონდა - საზოგადოებას ფესტივალის სპორტული დირექტორიც წარუდგინეს, ოლიმპიური ჩემპიონი **შოთა ხაბარელი**. დასახელდა კიდევ ერთი კონკრეტული პიროვნება - საორგანიზაციო საკითხებში პროექტების მენეჯერი **გიორგი ხაჩიძე**. ხაბარელი ფესტივალისთვის მზადებას სპორტული კუთხით ანუ გუნდების მომზადების თვალსაზრისით გაუწევს, ხაჩიძის სფერო კი ორგანიზაციული საკითხების ეფექტურად მოგვარებით შემოიფარგლება. ღია ცის ქვეშ გამართულ პრესკონფერენციას სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** უძღვებოდა. მასთან ერთად იქვე იყვნენ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **რევაზ ჩომახიძე** და გენერალური მდივანი **არჩილ გეგენავა**, შეხვედრას კი იმ 9 სპორტული ფედერაციის წარმომადგენელიც ესწრებოდა, რომელიც ფესტივალის პროგრამაშია შეტანილი.

გამომსვლელებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი, რაოდენ მნიშვნელოვანია ფესტივალისთვის მომზადება. გუნდები, რომლებსაც ახლა ჩამოვაყალიბებთ და მოვამზადებთ, მერე ხომ არ დაიშლება, ისევ ისე გააგრძელებენ გამოსვლას და ბევრად უფრო დიდი ტურნირებისთვის მოემზადებიანო, ითქვა. *„მონაკოს პრინც ალბერის ჩამოსვლა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია - ის ხომ სოკ-ის წევრიცაა და ამ ფესტივალის მასპინძლობისთვის გამართულ არჩევნებშიც ჩვენ გვიჭერდა მხარს. ვფიქრობ, ამ ოფისში გადმოსვლაც დიდად წაადგება ქართულ ოლიმპიურ მოძრაობას. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალის სპორტულ დირექტორად შოთა ხაბარელი დაინიშნა, რომელიც ჯერ ცნობილი სპორტსმენი იყო, მერე - ასევე წარმატებული მწვრთნელი. ვიმედოვნებ, ის კარგად გაუწევს კოორდინაციას ჩვენი გუნდების მომზადების პროცესს და ამ ფესტივალზე ღირსეულად გამოვალთ"* - განაცხადა ნაცვლიშვილმა. *„ჩემი სურვილი იქნება ძალიან მჭიდრო ურთიერთობა იმ ფედერაციებისა და გუნდების მთავარ მწვრთნელებთან, რომლებიც ფესტივალზე უნდა გამოვიდნენ. არ არსებობს გადაუჭრელი პრობლემა, მით უფრო, წინ მთელი ოთხი წელიწადია, რაც ნამდვილად არაა მცირე დრო და მჯერა, შევძლებთ ფესტივალისთვის ღირსეულად მომზადებას"* - თქვა ხაბარელმა.

● მშვილდოსნობა. სომხეთის ტურნირი

ადრევე დავასრულეთ

სომხურ ეჩმიაძინში გრძელდება ევროპის ახალგაზრდული თასი მშვილდოსნობაში, სადაც ჩვენგან მხოლოდ ჭაბუკთა ნაკრები გამოდის. გუშინ პლეი ოფები გაიმართა პირად პირველობაში, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენთვის დაწყებისთანავე დამთავრდა - ხუთივე ჩვენებური პირველივე შეხვედრაში დამარცხდა. ისინი პირველ წრეში ისვენებდნენ, მეორეში კი ერთმანეთის მიყოლებით წააგეს: **თორნიკე რიჟამაძემ** - უკრაინელ **ვალენტინ კუცთან, ლაშა ფხაკაძემ** - სლოვენიელ **კლემენ სტრაჰართან, თორნიკე ელოშვილმა** - პოლონელ **პაველ მარზეჩოთან, ირაკლი ქვლივიძემ** - გერმანელ **მაქსიმიან ვერკმიულერთან, თეონა კუტალაძემ** - ფრანგ **მადისონ შეპერსთან**. ამათგან რიჟამაძე, ფხაკაძე და კუტალაძე მშრალად დამარცხდნენ - 0:6 ანუ სამივე სეტი წააგეს, ელოშვილმა და ქვლივიძემ კი გვარიანად იბრძოლეს. ქვლივიძემ სულაც ბოლო ხელი დათმო 2:2-ზე ანუ შემდეგ ეტაპამდე ერთი მოგება დააკლდა. აქ თავიდან გერმანელი დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ შერკინება ქულა-ქულაში მიდიოდა, ვიდრე ჩვენებურისთვის საბედისწერო მეხუთე სეტის დრო არ დადგა. მისგან განსხვავებით, ანგარიში მხოლოდ ერთხელ გაათანაბრა ელოშვილმა, როცა პოლონელს მეორე სეტი მოუგო.

ახლა ეჩმიაძინში ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ ბიჭების გუნდური პლეი ოფი დარჩა, რომელიც დღეს გაიმართება და მასპინძლებს ვხვდებით.

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

● სამბო. ჰრესკონფერენცია

უპასუხო კითხვები სამბისტების ევროპრესკონფერენციაზე

კუზანაშვილი: რეკორდსმენი ქართველთა შორის

რატომ არ ეთმობათ მართვის სადავეები?

სოფიაში ჩატარებულ ევროპის 30-ე ჩემპიონატზე ქართველმა სამბისტებმა 6 მედალი მოიპოვეს - 1 ოქრო, 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაო. კონტინენტის წლევანდელი ჩემპიონი **უშანგი კუზანაშვილია** (57), ვიცე-ჩემპიონის ტიტული **კახა მამულაშვილმა** (74) და **მინდია ბოდაველმა** (90) მოიპოვეს, მესამე პრიზიორები კი **ბექა იმერლიშვილი** (68), **ნიკოლოზ კუცია** (82) და **მირიან პავლიაშვილი** (100) გახდნენ, გუნდურ ჩათვლაში კი მესამეზე გავედით.

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გამართა ნაკრების ხელმძღვანელობამ. გუნდის თავკაცმა **ოლეგ იაძემ** დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ასპარეზობას, რომელსაც პასუხისმგებლობით მოეკიდა ადგილობრივი ხელისუფლება, სოფიის საუკეთესო სპორტკომპლექსმა „უნივერსიადამ" უმასპინძლა. ერთი უსიამოვნო ტენდენციისგან არც ეს ჩემპიონატი ყოფილა დაზღვეული. მონაწილეთა კლების პროცესი კვლავაც გაგრძელდა და ამჯერად მხოლოდ 21 ნაკრები გამოდიოდა. იაძის თქმით, ამას ყველა ქვეყანა შეუშფოთებია, კლების მიზეზად კი რუსთა მიდგომა დაასახელა, რომლებიც მართლაც ცუდად უფათურებენ ხელს სამბოში. აქაოდა, სპორტის რუსული სახეობაა, ისინი მესაკუთრესავით იქცევიან და ყველაფერს თავისი ინტერესებით ჭრიან. რუსებს თურმე ყველაზე მეტად გუნდურ პირველობაში დამარცხების საფრთხე აშინებთ და ამიტომ არ ეთმობათ მართვის სადავეები. ეტყობა, მათი ასეთი მიდგომა ყველას ამოუვიდა ყელში და სამართლიანობის პრინციპის დაცვაზე, სახეობის შემდგომ განვითარებაზე ჩემპიონატის დაწყებამდე გამართულ აღმასკომზე სერიოზული მსჯელობა ყოფილა.

ჩვენი მოჭიდავეების გამოსვლაზე იაძემ ჩვეულებრივად ამომწურავად ისაუბრა და არც იუმორი დაუკლია. მაგალითად, კუზანაშვილზე, რომელიც პირველად ჭიდაობდა ახალ წონაში, განაცხადა: ისეთი სტილის მოჭიდავეა, რომც დაკარგოს ქულები, მაინც იმედიანად ვარ, ვიცი, აუცილებლად გააბათილებს ჩამორჩენას, რადგან არ უჭირს ქულების მოპოვება, თუმცა ამჯერად ნამეტანი მოუვიდა - სამივე შეხვედრა თითოქულიანი სხვაობით მოიგო და იმდენი მანერვიულა, ლამის შაქარი დამმართაო. აღსანიშნავია, რომ ეს კუზანაშვილის მეოთხე ევროჩემპიონობაა და ამ მხრივ რეკორდსმენი გახდა ქართველებში.

მწვრთნელის შეფასებები

ვიცე-ჩემპიონთაგან განსაკუთრებული სინანული მამულაშვილის წაგებაზე გამოთქვა, რადგან ფინალამდე ბევრად უფრო ძლიერ ფალავნებს მოუგო. მათ შორის, რუს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ **ალექსეი შაროვს**, ვისთანაც ადრე რამდენჯერმე წაუგია, და უკრაინელ **დმიტრო ბაბიჩუკს**, ვისთანაც შარშან ევროპის ფინალი დათმო. მაშინ შემჩნევით დამარცხდა მასთან, ახლა კი სუფთად მოუგო - 13:0. მამულაშვილმა ფინალი ბელარუს **სტეფან პოპოვთან** წააგო, ვისაც ადრე სისტემატურად ამარცხებდა. იაძე მიიჩნევს, რომ მას ფინალის შიში აქვს და ამიტომ აგებს გადამწყვეტ ეტაპს. არ ვიცი, ამ დროს 1000-ლარიან ხელფასზე ფიქრობს თუ რა ემართება, მაგრამ ვატყობ, საჭიდაოდ განწყობა უჭირსო, თქვა მწვრთნელმა. რაც შეეხება ბოდაველს, ის ბელარუს **ანდრეი კაზუსიონაკთან** დამარცხდა, რომელიც სამბოსა თუ ძიუდოში ამ წონის ერთ-ერთი ლიდერია. ეს წაგება იაძემაც მეტოქის საჭიდაო სტილის შეუსწავლელობით ახსნა და თურმე სპორტსმენიც ასე ფიქრობს. ორივე დარწმუნებულია, რომ მსოფლიოზე რევანში შედგება.

მწვრთნელმა ქების სიტყვები არ დაიშურა ახალგაზრდა კუციას მიმართ, ხოლო მისი მარცხი მომავალ ვიცე-ჩემპიონთან, ბელარუს **ალექსეი სტეფანკოვთან** მსაჯებს დაუბრალა. **კუციამ** მინსკში გამართული ევროპის შარშანდელი პირველობაც ბელარუსთან წააგო, თუმცა მაშინ არბიტრთა მიკერძოების გამო იქაური ფედერაციის პრეზიდენტს ბოდიშიც კი მოუხდია. იაძეს საყვედური არც პავლიაშვილზე უთქვამს იმის მიუხედავად, რომ ხშირად აკრიტიკებს მას. ამ კაცმა იმდენი კი დაიმახსოვრა, ძიუდოისტებზე წინ დავაყენო და ტურნირებზე წავიყვანო, სხვა თუ არაფერი, მისი მოგვერდები და ლამაზი ჭიდაობა ღირს ამადო, განაცხადა და თან დასძინა, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში რუმინელ **იოან ნედელკუს** სამჯერ ჩაუტარა მოგვერდი და დარბაზის ოვაცია დაიმახსოვრაო.

იმერლიშვილის ევროპაზე წასვლა იმთავითვე საკამათო იყო, რადგან აქ პრეტენზიას ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **ლევან ნახუცრიშვილიც** აცხადებდა. საბოლოოდ საქმე იმერლიშვილის სასარგებლოდ იმან გადაწყვიტა, რომ მოსამზადებელ ეტაპზე მოიგო სამი უძლიერესი შეჯიბრება - არმავირში, მოსკოვსა და ასტანაში, ნახუცრიშვილმა კი მხოლოდ ყაზახეთში იჭიდავა და იქაც წააგო. თან ჯერ კიდევ სტკივა შარშან ნატკენი ხელი. იაძე იმერლიშვილის ჭიდაობით უკმაყოფილო არაა, მაგრამ მსოფლიოზე მაინც ნახუცრიშვილის წაყვანას გეგმავს.

გია გალდავა (მარცხნივ) და ოლეგ იაძე

ასევე გარიგება ყოფილა 62 კილოგრამშიც **დავით სვიმონიშვილსა** და **ნესტორ ხერგიანს** შორის - რაკი სვიმონიშვილი სოფიაში დამარცხდა, იაძემ გადაჭრით განაცხადა, რომ მსოფლიოს ხერგიანი იჭიდავებს. თუმცა ამ შემთხვევაში საქმე შედარებით მარტივადაა, რადგან სვიმონიშვილმა წააგო და მწვრთნელთა მოწონება ვერ დაიმსახურა, იმერლიშვილს კი ურიგოდ არ უჭიდავია. სვიმონიშვილს იაძე თურმე ჯერ კიდევ ვარჯიშებზე ატყობდა, მთლად სასურველ ფორმაში რომ ვერ იყო.

მწვრთნელს წაგებისთვის არ გაუკრიტიკებია დებიუტანტი **დიმიტრი მულაძე** (52), რადგან ორივე შეხვედრა მინიმალური სხვაობით დათმო. აღნიშნა მისი შრომისმოყვარეობა და თქვა, კარგია, მეტოქეს არაფერს რომ არ უთმობს, მაგრამ თვითონაც უნდა აართვას ქულებიო.

გია გალდავამ სათქმელი თქვა

სამბოს პოპულარიზაციასთან დაკავშირებით სპორტის მინისტრის მოადგილე **გია გალდავამ** გაიხსენა რამდენიმე წლის წინანდელი ამბავი, როცა თურმე სამბოს საერთაშორისო ფედერაციას გაერთიანება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ შესთავაზა და სანაცვლოდ ოლიმპიადის პროგრამაში ორი წონითი კატეგორიის შეტანასაც დაჰპირდა ჭიდაობის ხარჯზე, მაგრამ რატომღაც სამბისტებს თავი შეუკავებიათ. იაძემ სპორტსმენთათვის უცხოურ ტურნირებზე განკუთვნილი ყოველდღიური სახარჯო ფულის განაწილების პრინციპის შეცვლაც ითხოვა. მისი თქმით, მოჭიდავეებს ეს ფული მალევე შემოეხარჯათ და მერე ჯიბის ფულის გარეშე, უჭმელ-უსმელნი დარჩნენ. ამიტომ მათთვის გადაცემას, მე ჩავიბარებ და გამოვუზოგავო, რაზეც პასუხად გალდავამ მიუგო, მაგის უფლებას კანონი არ გვაძლევს, თუმცა უფრო მოქნილი სისტემის შემუშავება კი შეიძლებაო. გალდავამ იქვე ერთი დამახასიათებელი მაგალითიც მოიყვანა - თურმე, მავანი ფედერაციის ხელმძღვანელი, ახლო წარსულში თავადაც მოქმედი სპორტსმენი, ამ ფულს თვითონ იღებდა, სპორტსმენებმა კი ამ თანხის შესახებ არაფერი იცოდნენ! არ გამოვრიცხავთ, ასეთი ფაქტები სხვაგანაც ხდება. სამწუხაროდ, გალდავამ კონკრეტული გვარი არ დაასახელა, თუმცა ვფიქრობთ, ასეთები საჯაროდ უნდა ამხილონ და მაშინ იმავეს სხვები ვერ გაბედავენ.

იაძემ ორი, ქართული რეალობისთვის ასევე დამახასიათებელი მანკიერებაც წარმოაჩინა. თურმე სამინისტროში ან სხვა უწყებებში მავანი გამგებლები და სხვა რანგის ჩინოვნიკები რეკავენ და ამა თუ იმ სპორტსმენის ნაკრებში დაყენებას ითხოვენ! ესეც აუცილებლად აღსაკვეთი ტენდენციაა, იმ გამგებლებსა თუ სხვა რიგის სახელმწიფო მოხელეებს კი ვიღაცამ უნდა აუხსნას, რომ მათი მოვალეობა კანონის განუხრელი დაცვაა და არა მისი დარღვევა; რომ თანამდებობა კანონზე და სამართლიანობაზე გადახტომის ნებას არ აძლევთ... იაძემ ყურადღება იმაზეც გაამახვილა, რომ წლეულს ილიას უნივერსიტეტში (მოგეხსენებათ, მას შეუთავსეს სპორტის გაუქმებული აკადემიის ფუნქცია) სამბოს მწვრთნელობაზე აბიტურიენტთა მიღება საერთოდ არ ყოფილა. მოგვიანებით განმარტეს, რომ ამ მდგომარეობაში თურმე კიდევ რამდენიმე სახეობა აღმოჩნდა, მაგრამ გალდავას თქმით, ამაზე კონსულტაციები უკვე გაიარეს და გაისად პრობლემა მოიხსნება. უნივერსიტეტი ავტონომიური ერთეულია, მაგრამ მაინც ჩნდება კითხვა - უთანხმებენ კი ასეთ გადაწყვეტილებებს განათლების ან სპორტის სამინისტროს?

გვერდი მოამზადა
ირაკლი თავაძემ

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ჩოქბჯენი; 5. ჩიხლაძე; 7. გუცაევი; 9. ლავირება; 10. "ამერი"; 12. რავა; 13. დიდოსტატი; 15. აკვრა; 17. ჯირითი; 20. არენდა; 21. ჰუკი; 23. ვალეი; 24. საიდა; 25. გურული; 26. კედელაშვილი; 27. დათო ... ; 28. სირაძე.

შვეულად: 1. ჩოგანი; 2. ქეცბაია; 3. ჯგერენაია; 4. შხარა; 5. ჩევარდოვი; 6. ამბოკაძე; 8. ილიადისი; 11. კიხონი; 12. რეკორდსმენი; 14. სეტი; 16. რანჟირება; 17. ჯავახაძე; 18. რალი; 19. თაიგული; 22. "კოლხეთი".

● ᲙᲚᲐᲭᲑᲣᲠᲗᲘ. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲢᲣᲠᲘ



თითო მოგება-წაგება ჩეხეთსა და პოლონეთში

ᲙᲚᲐᲭᲑᲣᲠᲗᲘᲡ მსოფლიო ტურის ეტაპმა აზიიდან ევროპაში გადმოინაცვლა. ჩინეთში გამართული ორი ეტაპის შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო პლაჟბურთელებს პოლონეთი და ჩეხეთი მასპინძლობს. პრაღაში, სადაც ვაჟთა ტურნირი იმართება FIVB-ის ოფიციალური ტექნიკური სუპერვაიზერი, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან ახვლედიანია.**

ქართული წყვილი **გეორ-გია,** რომელიც მე-16 ნომრადაა განთესილი, ასპარეზობაში ძირითადი ბადედან ჩაერთო. პირველი შეხვედრა ჩვენმა ფრენბურთელებმა მე-16 ნომრად განთესილ ფრანგულ დუეტ **კეს-კისთან** ორ სეტში წააგეს - 24:26, 16:21. მერე კი, 32-ე ნომრად განთესილ კანადურ წყვილ **ჰართი-შახნერს** მოუგეს - 2:1 (21:11, 11:21, 15:10).

გეორ-გია დღეს მე-18 ნომრად განთესილ იტალიელ ძმებს **ირგნოსოებს** შეხვდება. ჩვენს ფრენბურთელებს წაგების უფლება აღარ აქვთ.

პოლონურ მიშლოვიცეში კი ქალების შეჯიბრებაში, **საქა-რთველომ,** რომელიც ტურნირზე მე-17 ნომრადაა განთესილი პირველ შეხვედრაში მე-16 ნომერი შვეიცარიული დუეტი **კუნი-ცმუკერი** ორ სეტში დაამარცხა. მეორე მატჩში კი მეტოქე ბევრად უფრო ძლიერი, ტურნირის ფავორიტი, პირველ ნომრად განთესილი ბრაზილიური დუეტი **ტალიტა-ანტონელი** იყო. ჩვენმა ფრენბურთელებმა პირველი სეტი მოიგეს - 21:19, მაგრამ მერე ზედიზედ ორი წააგეს - 17:21, 12:15.

საქა-რთველო დღეს მე-18 ნომრად განთესილ კანადურ წყვილ **ლიზარდ-მარტინს** დაუპირისპირდება.

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲬᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

● ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲐᲓᲐ 2011

საუკეთესოებს - გზა ჩინეთისკენ

ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ სპორტის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი **ნიკა ამაშუკელი**) ინიციატივით საქართველოს უნივერსიადის პროგრამაში წლეულს პირველად შეიტანეს კრივი. შეჯიბრება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში გაიმართა. რინგზე 11 უმაღლესი სასწავლებლის 30-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ **ადილ ასლანოვი** (56 კგ., სტუ), **ალეკო ვახტანგიშვილი** (60, გორის უნივერსიტეტი), **ბაკურ გოგოჭური** (64, თავართქილაძის უნივერსიტეტი), **ელიზბარ ჯოლოგუა** (69, იბერია), **რაჟდენ ანიაშვილი** (75, გორის უნივერსიტეტი), **ჯაბა ხოსიტაშვილი** (81, ახალციხის უნივერსიტეტი), **გია კუხალაშვილი** (+91, თავართქილაძის უნივერსიტეტი).

გუნდურ ჩათვლაში 2 ოქროს, 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლით პირველი ადგილი გორის უნივერსიტეტმა დაიკავა. მეორე ადგილზე თავართქილაძის უნივერსიტეტი გავიდა (2 ოქრო, 1 ბრინჯაო), მესამე ადგილი „იბერიას“ (1 ოქრო, 1 ვერცხლი) ერგო.

შეჯიბრებას დაესწრო სპორტის მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი,** რომელმაც ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველოს უნივერსიადის შედეგებით დაკომპლექტდება ქვეყნის ნაკრები, რომელიც წლეულს ჩინეთში მსოფლიოს უნივერსიადაში იასპარეზებს.

ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

● ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚ-ᲠᲝᲛᲐᲣᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

კარგად დავიწყეთ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ გუშინ დაიწყო მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ ლევონ ჯულფალაკიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებში, რომელშიც საქართველოს ნაკრები შესუსტებულ-ექსპერიმენტული შემადგენლობით გამოდის. ვინაიდან ლიდერთა ნაწილი თანატოლთა ევროპის პირველობისთვის, ნაწილი კი გივი კარტოზიას სახელობის „ოქროს დიდი პრიზისთვის“ ემზადება, ამიტომ მწვრთნელებმა სომხეთში სათადარიგოები გააგზავნეს. ამის მიუხედავად, ჩვენები მაინც წარმატებით ჩაებნენ შეჯიბრებაში - ორი ოქრო, ერთი ვერცხლი და ორიც ბრინჯაო მოიპოვეს. გუშინ შეჯიბრება ოთხ წონით კატეგორიაში გაიმართა, თუმცა ორში - 50-სა და 74-ში მონაწილე არ გვყოლია, დანარჩენებიდან ერთში კი სულაც ქართული ფინალი გაიმართა. ეს 96-ში მოხდა, სადაც საჩემპიონო ორთაბრძოლაში ერთმანეთს წყალტუბოელი ბიძაშვილები - **იაკობ** და **ირაკლი ქაჯაიები** შეხვდნენ, გამარჯვება კი იაკობმა მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს პირველობაზე იაკობი მესამეზე გავიდა, ირაკლი კი ასევე ვიცე-ჩემპიონი გახდა.

დანარჩენი სამი მედალი ჩვენმა ახალგაზრდებმა 60 კილოგრამში მოიპოვეს - აქ ჩემპიონი **გოგიტა გოგიბერაშვილი** გახდა, რომელმაც მანამდე თანაგუნდელი **ფირუზ წულუკიძე** დაამარცხა. მოგვიანებით წულუკიძე და **დავით თურქიშვილი,** რომელიც ნაკრებში არ მოიაზრება, მესამეზე გავიდნენ.

დღეს ასპარეზობა დარჩენილ წონებში გაგრძელდება. საინტერესოა, რომ მონაწილე არც მძიმე წონაში გვყავს, თუმცა შესაძლოა, აქ ისევ ქაჯაიებმა იჭიდაონ! ეს მასპინძელთა თხოვნაა, რასაც საფუძვლად, ჩანს, მონაწილეთა სიმცირე უდევს. ჩვეულებრივ, მძიმე წონაში ბევრი ხალხი არასოდეს გროვდება და ალბათ, ახლაც ასეა.

ᲘᲠᲐᲚᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

● ᲡᲣᲛᲝ. ᲜᲐᲪᲕᲣ ᲑᲐᲨᲝ

ტოჩინოშინი გაააჩერეს, გაგამარუ იბრძვის

ᲒᲣᲨᲘᲜ ტოკიოს ბაშოზე **ლევან გორგაძის** (**ტოჩინოშინი**) საჩემპიონო შანსებს ცივი წყალი გადაასხეს - ჩვენებური კომუსუბი **კაკურიუსთან** დამარცხდა და 10-2 ბალანსით მე-2 ადგილს ესტონელ გოლიათ **ბარუტოსთან** და ბრაზილიელ დებიუტანტ **კაისეისთან** იყოფს.

ზედიზედ 6 გამარჯვების შემდეგ ტოჩინოშინს მეტოქედ სენიაკუს რანგის სუმოისტი დაუნიშნეს. მონღოლმა კაკურიუმ ქართველი ოშიდაშით დაამარცხა და ამით ჩემპიონობის თეორიული შანსი შეინარჩუნა. ასეთი შანსი (ოდნავ უკეთესიც) ტოჩინოშინსაც აქვს, თუმცა დიდი მონღოლი **ჰაკუჰო** არაფრის დამთმობი არ ჩანს - ის უკვე 12-0 ბალანსით იწონებს თავს, მას შემდეგ, რაც ოსი **არანი** წააქცია. როგორც ჩანს, ჰაკუჰოს კვლავ ვერავინ გაუწევს კონკურენციას.

დღეს ტოჩინოშინი ბარუტოს შეხვდება, მისთვის ერთობ უხერხულ მეტოქეს - წარმოიდგინეთ, მათი შვიდივე დაპირისპირება ესტონელის გამარჯვებით დასრულდა.

24 წლის **გაგამარუ** (**თეიმურაზ ჯუღელი**) გააფთრებით იბრძვის დადებითი ბალანსის მისაღწევად. ახლა მან საამისოდ დარჩენილი ორთაბრძოლები უნდა მოიგოს. გუშინ გაგამარუმ მონღოლ **ასასეკირიუს** იორიკირით აჯობა. 5-7 ბალანსის მქონე ქართველს დღეს მე-8 მაეგაშირა **შოტენრო** გაეჯიბრება. მონღოლთან ჩვენებურს უარყოფითი ბალანსი აქვს - 2:3. ძურიოს დივიზიონში მე-4 გამარჯვება მოიპოვა **კოკაიმ** (**ლევან ცაგურია**).

XII ᲓᲦᲔ

ᲛᲐᲙᲣᲣᲩᲘ: ჰაკუჰო-არანი (უვატენაგე), ჰარუმაფუჯი-კოტოშოგიკუ (ცუკიოტოში), ბარუტოკაიო (იორიკირი), კისენოსატო-ოკინოუმი (იორიკირი), ტოიონოშიმა-ტოჩიოძანი (ჰიკიოტში), კაკურიუ-**ტოჩინოშინი** (ოშიდაში), გოეიდო-კაისეი (შიტატეჰინერი), კიტატაიკი-ჰომაშო (ოშიდაში), ამინიშიკი-იოშიკაძე (ოშიტაოში), კიოკუტენჰო-ტაკეკაძე (კიმეტაოში), ტოჩინოვაკა-ვაკანოსატო (ოშიდაში), მიაბიამა-ტამავაში (უვატენაგე), ტოკიტენკუ-შოტენრო (ნიმაიგერი), **გაგამარუ**-ასასეკირიუ (იორიკირი), ტოსაიუტაკა-ტოიოჰიბიკი (სუკუუნაგე), ვაკაკოიუ-კიმურაიამა (კატასუკაში), დაიდო-ტოჩინონადა (ოშიდაში), ტაკამისაკარი-აკისეიამა (იორიკირი); **ᲫᲣᲠᲘᲝ**: **კოკაი**-ჰოჩიამა (ცუკიოტოში).

ᲡᲐᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲛᲝᲜᲐᲪᲕᲔᲚᲝᲑᲐ

12-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა).

10-2: ბარუტო (ოძეკი), **ტოჩინოშინი** (მაეგაშირა 6), კაისეი (მ 16).

9-3: კაკურიუ (კომუსუბი), ტოსაიუტაკა (მ 9).

8-4: კოტოშოგიკუ (სეკივაკე), გოეიდო (მ 1).

... 5-7: **გაგამარუ** (მ 14).

XIII ᲓᲦᲔ

ᲛᲜᲘᲨᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ - ᲛᲐᲙᲣᲣᲩᲘ: ჰაკუჰო-ჰარუმაფუჯი, კაიო-არანი, ბარუტო-**ტოჩინოშინი**, კოტოშოგიკუ-კისენოსატო, კაკურიუ-კაისეი, ტოიონოშიმა-ამინიშიკი, იოშიკაძე-გოეიდო, ჰომაშო-ტოჩიოძანი, კიტატაიკი-ვაკანოსატო, **გაგამარუ**-შოტენრო; **ᲫᲣᲠᲘᲝ**: **კოკაი**-მასუნოიამა.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

● ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ

მეცხრამეტედ ქურმუხობაზე

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ჰერეთში - კახის რაიონში, რომელიც დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა, სახალხო თუ საეკლესიო დღესასწაულები ისე არ ჩაივლის, რომ ისინი ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის (პრეზიდენტი **დიმიტრი დუნდუა**) ინიციატივით სპორტულმა ღონისძიებებმა არ დაამშვენოს. ნლეულს ქურმუხობაზე ასეთი ზეიმი მეცხრამეტედ მოეწყო. განსაკუთრებით ბევრმა მაყურებელმა ნახერხმოყრილი სარბიელის გარშემო მოიყარა თავი. ქომაგთა შორის იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩასული სტუმრები, რომლებიც ფალავნებმა ქართული ჭიდაობის ელვისებური ფანდებით მოხიბლეს. საინტერესოა, რომ ამ დღეს მოასპარეზეთა შორის იყო ძიუდოში ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ევროპის ორგზის ჩემპიონი და რვაგზის ბრინჯაოს მედალოსანი **ნესტორ ხერგიანი.** მან 70 კილოგრამ წონითი კატეგორიის ფინალში მასპინძელი **საიბ სამადოვი** დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. სახელოვან მამას არც პატარა **ირაკლი**

ხერგიანი ჩამორჩა - მეტიც, ორ წონაში (36 და 40 კგ) იასპარეზა და ყველას სძლია: ფინალებში დედულეთელებს - კახის რაიონის წარმომადგენლებს - **ლაშა ნადირაშვილსა** და **ფამილ ბაჯიევს** აჯობა.

დანარჩენ წონებში პირველ ადგილებზე გავიდნენ **ელდარ თაგოშვილი** (32 კგ. ალათემური), **ლუკა ბაჩაღაშვილი** (45, კახი), **ნურედინ ჰუსეინოვი** (50, ბაქო), **მალხაზ ბერიკაშვილი** (55, ყვარელი), **ნურედინ ბაგირზადე** (მინგეჩაური), **აკაკი თანანაშვილი** (65, საგარეჯო), **პაატა შურღაია** (80, თბილისი). ქართულ ჭიდაობაში სულ 100-ზე მეტმა მონაწილემ მოიყარა თავი. მკლავჭიდელთა პაექრობებში კი 70 სპორტსმენი მონანილეობდა ოთხ წონით კატეგორიაში. აქ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ **ზაზა ფოლადაშვილი** (60, კახი), **თეადად სულეიმანოვი** (70, კახი), **მახარე ტარტარაშვილი** (80, ალათემური) და **გიორგი ხუციშვილი** (აბსოლუტური, თბილისი).

128-კილოგრამიანი საჯილდაო ქვის აწევაში 32 გოლიათი ეცილებოდა ერთმანეთს. საპრიზო ადგილები აქ ასე განანილდა: 1. **ანსურ რასულოვი,** 2. **მერაბ ფოლადაშვილი,** 3. **არსიკო პაპიაშვილი** (სამივე-კახის რაიონი).

სამივე სახეობაში გამარჯვებულები და პრიზიორები ამ ღონისძიების სულისჩამდგმელმა დიმიტრი დუნდუამ და კახის რაიონის ხელმძღვანელებმა დააჯილდოვეს.

ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტოები

● ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

კალაშნიკოვასთვის როლან გაროსი დასრულდა

ᲝᲥᲡᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲨᲜᲘᲙᲝᲕᲐᲡᲗᲕᲘᲡ (180) დასასრული „როლან გაროსის“ საკვალიფიკაციო ბადეში ასპარეზობა. ჩვენებურმა მეორე წრეში კანადელ **სტეფანი დუბუასთან** (146) ორ სეტში წააგო - 4:6, 6:7 (5). მატჩი მე-15 კორტზე საათსა და 20 წუთს გაგრძელდა. მართალია, კალაშნიკოვამ დუბუას 2 ეისი ჩაუგდო და 8-დან 4 ბრეიქპოინტი გაახერხა, მაგრამ საბოლოო წარმატებას უფრო გამოცდილმა ჩოგბურთელმა მიაღწია და ძირითადი ბადისთვის ბრძოლასაც ის გააგრძელებს. „დიდი სლემის“ ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მე-2 ეტაპზე მარცხი 40 ქულას იძლევა, თუმცა შარშან კალაშნიკოვამ უკეთ იასპარეზა - მე-3 წრეში გავიდა და 50 ქულა მიიღო. ასე რომ, ჩვენებური რეიტინგში ოდნავ დაქვეითდება წინსვლის ნაცვლად. შეგახსენებთ, რომ ძირითად ბადეში **ანა ტატიშვილი** (107) იასპარეზებს.

იზმირის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) პირველ ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (285) მეორე წრეც გაიარა, მან თურქ **მელის სეზერს** მოუგო - 7:6 (3), 6:1. მეოთხედფინალში ჩვენებურის მეტოქე მე-7 ნომრად განთესილი ბრიტანელი **ტარა მურია** (346). წყვილთა ბადეში შაფათავასა და **თათია მიქაძის** (306) დუეტი ნახევარფინალშია, სადაც რუმინელი **ბუზარნესკუსა** და ხორვატი **მრდეზას** დუეტს ხვდება.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲝᲥᲝᲚᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

ᲝᲛᲐᲠᲘ ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲐᲐ, ᲛᲔᲠᲐᲑᲘ - ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მერაბ ბოქოლიშვილი (მარჯვნივ)

ᲓᲝᲡᲘᲔ

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲝᲥᲝᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

დაიბადა: 27.02.1992
სიმაღლე: 198 სმ
პოზიცია: უკანახაზელი

საქართველოს ნაკრებში ამერიკელები მაინცდამაინც უკანა ხაზის გასაძლიერებლად რატომ ჩამოჰყავთ? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ გუნდს ამ როლში სჭირდება დახმარება. აქედან გამომდინარე, დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ახალგაზრდა ქართველი უკანახაზელების პროგრამასს. სადღეისოდ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებში არაერთი გამორჩეული კალათბურთელია. მათ შორისაა **მერაბ ბოქოლიშვილი,** რომელიც იტალიურ „აველინოში“ ირიცხება, დუბლშემადგენლობის ლიდერია, სერია A-ს გუნდში კი 13-ჯერ მოხვდა განაცხადში. მართალია, იტალიის ჩემპიონატში ჯერ არ უთამაშია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მწვრთნელი არასათანადო მზადყოფნაში მყოფ კალათბურთელს განაცხადში არ ჩაწერს.

მერაბს აველონოში სწორედ მაშინ დავუკავშირდით, როცა ლომბარდიაში „კანტუ“-“ვარეზეს“ მატჩის ბოლო პერიოდი დაიწყო. საუბარი **მანუჩარ მარკოიშვილის** გუნდით დავიწყეთ.

- „კანტუ“ შთამბეჭდავ სეზონს ატარებს. წესით, ნახევარფინალში „მილანს“ უნდა მოუგოს. ფინალში კი თუ „აველინოს“ დაუპირისპირდება, ძალიან გამეხარდება. „კანტუს“ წარმატება მთავარი მწვრთნელის დამსახურებაა, რომელიც რეგულარული ეტაპის საუკეთესო სპეციალისტად დაასახელეს. „კანტუში“ გამოკვეთილი ლიდერი არ არის, ყველას თავისი ფუნქცია აქვს და ამიტომაც აჯობეს ყველას, გარდა „მონტეპასკისა“.

- საინტერესო იქნება „აველინოს“ ასეთივე დახასიათება.

- ჩვენს გუნდში ლიდერი მას მერე გამოიკვეთა, რაც ორმა კალათბურთელმა ტრავმა მიიღო (ტროტმანმა და დინმა). ლიდერობა ომარ ტომასმა იკისრა და გუნდიც უკეთ ათამაშდა. მეორე წრეში „აველინოს“ შეჩერება ბევრს უჭირს - „მონტეპასკიც“ დაამარცხა. ომარ ტომასს კი რეგულარულის MVP-ს ჯილდო ერგო.

- ტომასს სლოვენიის პასპორტი აქვს. ამ ქვეყნის ნაკრები ევრობასკეტზე საქართველოს დაუპირისპირდება...

- ომარ ტომასმა სლოვენიის პასპორტი ორი წლის წინათ მიიღო, თუმცა ჯერ არ გამოუძახიათ. თავად ამბობს - თუ სლოვენიის ნაკრებში მიმიწვევენ, სიამოვნებით ვითამაშებო. წარმატებული სეზონის შემდეგ შეიძლება დაუძახონ.

- ბელგიელ დიმიტრი ლაუერსზე რა შეიძლება ითქვას?

- კარგი მოთამაშეა, თუმცა მასზე თამაში არ ეწყობა. დიმიტრისთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

- კიდევ ვისთან ხარ ახლოს? დასვენების ჟამს დროს ერთად ატარებთ?

- ტომასთან, ჯონსონთან... ბოლო ორი თვეა, როცა „აველინო“ ისვენებს, მის ახალგაზრდულ გუნდთან ერთად მიწევს თამაში და ფაქტობრივად, თავისუფალი დღე არ მაქვს. აველინო პატარა ქალაქია. მასთან ყველაზე ახლოს ნეაპოლია, ერთი საათის სავალ გზაზეა, თუმცა ბოლო დროს ვერც იქ ვახერხებ ჩასვლას.

- „აველინოს“ მეოთხედფინალში „ბენეტონი“ ხვდება...

- ბოლო დროს ჩვენი გუნდი კარგ ფორმაშია, რაც წარმატების იმედს მაძლევს. შემდეგ ეტაპზე, ალბათ „მონტეპასკი“ შეგვხვდება, თუმცა ძალიან მინდა ვიქტორ სანიკიძის „ვირტუსმა“ სიენელები მეოთხედფინალიდან გამოაგდოს. იდეალური ვარიანტი იქნება ნახევარფინალში სანიკიძის „ვირტუსთან“ შეხვედრა, ფინალში - მარკოიშვილის „კანტუსთან“.

- რეგულარული ეტაპის ბოლო მატჩში განაცხადში არ იყავი...

- წელი მაწუხებდა. ვიმკურნალე და ახლა თავს კარგად ვგრძნობ.

- „აველინოს“ 19-წლამდელებმა იტალიის ახალგაზრდულ ჩემპიონატში როგორ იასპარეზეთ?

- ბოლო 10 წელინადში საუკეთესო შედეგი ვუჩვენეთ - ფინალურ სტადიაზე მოვხვდით. იქ ორი რვაგუნდიანი ჯგუფი შეიქმნა და 14-14 თამაში ჩავატარეთ. ჩემპიონატის ფავორიტებთან მოგვინია ასპარეზობამ („რომა“, „სიენა“...) და პლეი ოფში ვერ გავედით.

- ფინალურ ეტაპზე როგორ ითამაშე?

- საშუალოდ 28 ქულა მქონდა...

- მიმდინარე სეზონში სერია A-ს გუნდში ვარჯიშმა რა შეგმატა?

- პირველ რიგში, ფიზიკური კონდიციები გავიუმჯობესე. პლეი ოფებამდე ჯონსონთან ერთად ყოველ დილას ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი. ამასთან, დიდი გამოცდილება შევიძინე „აველინოს“ ლიდერებთან ჭიდილში. ვარჯიშებზე მათი მეურვეობა მიწევს.

- ბოლოს ნაკრებზე გკითხავ. ახალგაზრდულში თუ თავს გამოიჩენ...

- ეროვნულ გუნდში მოხვედრით ბედნიერი ვიქნები. მაგრამ, მესმის, რომ ჯერ 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად უნდა ვითამაშო B დივიზიონის მატჩები. სწორედ იქ ნაჩვენებ შედეგზე იქნება დამოკიდებული ეროვნულში მიწვევის საკითხი.

- 20-წლამდელებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის რა შანსი გაქვთ?

- მარკოიშვილი-სანიკიძე-ცინცაძის დროინდელი ახალგაზრდული ნაკრების შემდეგ საუკეთესო შემადგენლობა წლეულს შეიკრიბება: დვალიშვილი, ბაქრაძე, შენგელია, ჩიკვილაძე, სანაძე, თენიეშვილი... თუმცა, წარმატება მხოლოდ შემადგენლობას არ მოაქვს, ერთ მუშტად უნდა შეიკრათ. ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვების შანსი ნამდვილად გვაქვს.

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ

ᲛᲝᲜᲢᲔᲞᲐᲡᲙᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ჩემპიონატის მეოთხედფინალში **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსი“ სიენაში „მონტეპასკის“ დაუპირისპირდა. სადღეისოდ სიენელები იტალიის ჩემპიონატის მთავარი პრეტენდენტები არიან, ხოლო „ვირტუსს“ კარგი დროება არ უდგას - რეგულარული ეტაპის ბოლოს ზედიზედ წაგებული რამდენიმე მატჩის შედეგად მერვე ადგილამდე დაქვეითდა. ამ გარემოებების მიუხედავად, მცირე იმედი მაინც იყო, რომ „ვირტუსი“ „მონტეპასკის“ ბოლომდე გაუძალიანდებოდა... მაგრამ პირველ მატჩში ეს ვერ მოახერხა - სიენელებმა გამარჯვებულის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს (58:30). საფინალო ანგარიში: 94:55.

სანიკიძე სასტარტო შემადგენლობაში იყო, 27 წუთი ითამაშა, 4 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა. ერთადერთი ბოლონიელი, რომელმაც 10-ქულიანი ზღვარი გადალახა, **კელვინ რივერსი** იყო (15).

„მონტეპასკის“ რიგებში ყველაზე მეტი **კშიშტოფ ლავრინოვიჩმა** ჩააგდო: 16 ქულის მოსაგროვებლად 19 წუთიც ეყო.

სერიის მომდევნო შეხვედრა 21 მაისს ისევ სიენაში გაიმართება.

■ ■ ■

გუშინვე **მერაბ ბოქოლიშვილის** „აველინომ“ „ბენეტონს“ უმასპინძლა და 78:82 წააგო. ახალგაზრდა ქართველი განაცხადში არ იყო. სერიაში ტრევიზოელები დანინაურდნენ - 1:0.

■ ■ ■

იტალიის მეორე ლიგაში მეოთხედფინალური სერიის მესამე მატჩი ჩაატარა **ნიკა მეტრეველის** „რიმინიმ“ - სტუმრად „პრიმა ვეროლისთან“ 63:71 დამარცხდა. მწვრთნელს მეტრეველი მოედანზე არ შეუყვანია.

ᲡᲔᲠᲘᲐᲡ ᲘᲒᲔᲑᲡ „ᲠᲘᲛᲘᲜᲘ“ - 2:1

გვერდი მოამზადა
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 20-ᲬᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ

1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ-ᲗᲡᲣ 71:81

24:18, 16:24, 12:11, 19:28

სოხუმი: ჩერქეზიშვილი (8ქ, 3პ, 6ჩ), თავართქილაძე (7ქ, 6პ), მაჩალაძე (5ქ, 10მ, 4ჩ), როგავა, მეხრიშვილი, სულაბერიძე (3ქ, 5მ), სანაძე (24ქ, 6მ, 4ჩ, 2დ), კორძაძე (24ქ, 6მ), ძიძიმილი

თსუ: ს. ლეჟავა (15ქ, 6მ), ახალაია (3ქ), ორმოცაძე (5პ), ბექაური (17ქ, 12მ, 3ჩ), ზ. მაისურაძე (5მ), დეკანოიძე (24ქ, 17მ), ჩქარეული (22ქ, 7მ, 5პ), სანაია

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ-ᲡᲢᲣ 66:77

16:24, 16:23, 15:9, 19:21

ქუთაისი: ცაგარეიშვილი (2ქ), გრძელიძე (3პ), ჯინჭარაძე (6ქ), ბერძენაძე (2ქ), მესხი (7ქ), ტუკვაძე (4ქ, 8მ), ცირეკიძე (17ქ, 11მ), ლომინაშვილი (16ქ, 8მ), ქორიძე (12ქ, 7მ, 7პ)

სტუ: ტეტელაშვილი (3ქ), გურაბანიძე, ჩიკვილაძე (28ქ, 7პ, 3ჩ), ლომოური (14ქ, 6მ, 3ჩ), ჭოხონელიძე (4ქ, 5მ, 3პ, 2დ), ლაშქარაძე (3ქ), დვალიშვილი (25ქ, 21მ, 3ჩ, 3დ), მაღრაძე

ᲓᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲩᲘᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ, ᲡᲐᲜᲐᲫᲔ, ᲑᲔᲥᲐᲣᲠᲘ... ეს კალათბურთელები წლევანდელ სუპერლიგაში გამორჩეულები იყვნენ. თავად განსაჯეთ, რამდენად საინტერესოა მათი მონაწილეობით 20-წლამდელთა ჩემპიონატის ხილვა. ნახევარფინალში თანაბრად ძლიერი ოთხი გუნდი გავიდა და იშვიათი მოვლენის მომსწრენი ვართ - ფავორიტის გამოყოფა შეუძლებელია.

ნახევარფინალური სერიის პირველი მატჩების მეოთხედებს გადახედეთ და თავადაც დარწმუნდებით, რაოდენ თანაბარ ბრძოლაში წარიმართა შეხვედრები.

თბილისში თსუ-მ ბოლო პერიოდში გამოგლიჯა გამარჯვება „სოხუმს“. სტუდენტთა რიგებში **დავით დეკანოიძე** (24 ქულა, 17 მოხსნა), ბექა ბექაური (17 ქულა, 12 მოხსნა) და **ვახტანგ ჩქარეული** (22 ქულა) გამოირჩნენ. მატჩის ბომბარდირობა კი სოხუმელებმა **დუდა სანაძემ** და **დავით კორძაძემ** გაიყვეს - 24-24 ქულა.

ქუთაისში სტუ-ს გამთამაშებელი **გივი ბაქრაძე** არ გაჰყვა (სუპერლიგის ფინალებისთვის „არმიაში“ ემზადება), თუმცა სტუდენტებმა მის გარეშეც გაიმარჯვეს - 77:66. გემახსოვრებათ, სწორედ ამ ლამაზი ანგარიშით დაამარცხა საქართველოს ნაკრებმა ბოსნია, 1995 წელს.

ქუთაისური შეხვედრის სნაიპერი ბექა ჩიკვილაძე გახდა - 28 ქულას მოუყარა თავი, ხოლო მისმა თანაგუნდელმა აკაკი დვალიშვილმა ეფექტური ორმაგი დუბლი გაიფორმა - 25 ქულა, 21 მოხსნა.

სერიის განმეორებითი შეხვედრები დღეს სპორტის სასახლეში გაიმართება.

ავთო ლომინაშვილი VS ბექა ჩიკვილაძე

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲝ ᲛᲘᲓᲘ-ᲛᲝᲓᲘ

ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲪ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲐᲨᲘ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ნაკრების ფორვარდმა **ნიკა ცქიტიშვილმა** სეზონი მარტის ბოლოს დაასრულა - ესპანურ „ლაგუნ აროსთან“ კონტრაქტი გაწყვიტა და თქვა - სეზონის ბოლომდე არსად ვითამაშებ, დავისვენებო. იგი ამჟამად თბილისშია და ინდივიდუალურად ემზადება.

ორიოდე კვირის წინ ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ სკიტას დარბაზში მივაკითხეთ და ინტერვიუც შემოგთავაზეთ, რომლის ბოლოს რესპონდენტმა აღნიშნა:

- მენეჯერმა მითხრა, კარგი ამბები მაქვსო, მაგრამ არ დაუკონკრეტებია რომელ კლუბზეა ლაპარაკი.

რადგან 2010-11 წლების სეზონი ჯერ არ დასრულებულა, ტრანსფერზე ლაპარაკიც ადრეა. თუმცა ქართველი ფორვარდით დაინტერესებული გუნდების დასახელებას წინ არაფერი უდგას.

ჰოდა, ვაკონკრეტებთ: ბოლონიის „ვირტუსი“, გუნდი სადაც **ვიქტორ სანიკიძე** თამაშობს. გუშინ „ვირტუსის“ საპლეიოფო შანსებზე ფან-კლუბის ერთ-ერთ წევრს ვესაუბრე. სწორედ მან მითხრა - როგორც გავიგე, გაისად სანიკიძის გარდა „ვირტუსში“ კიდევ ერთი ქართველის, ნიკოლოზ ცქიტიშვილის დამატება სურთო. იტალიელს სკიტას შესახებ ესპანური ამბებიც დაწვრილებით სცოდნია...

„ვირტუსი“ ურიგო ვარიანტი ნამდვილად არ არის, მაგრამ ბევრი რამაა საკითხავი. ჯერ ისიც არ გარკვეულა, დარჩება თუ არა სანიკიძე „ვირტუსში“, რომელთან კონტრაქტის მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება.

● შვიდკაცა რაგბი

საქართველოს ნაკრები

ქალებიც და ვაჟებიც ამსტერდამში

საქართველოს ქალთა და ვაჟთა შვიდკაცა რაგბის ნაკრებები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. ორივე გუნდი გუშინ ჰოლანდიაში, ამსტერდამის შვიდკაცა რაგბის საერთაშორისო ტურნირზე საასპარეზოდ გაემგზავრა.

ამსტერდამში უკვე დიდი ხანია ეს შეჯიბრება ტრადიციული ტურნირია. ვაჟთა შორის აქ 63 გუნდი იასპარეზებს, რომლებიც 16 ჯგუფში არიან განაწილებულნი. წილისყრის შედეგად **კახა ალანიას** სამწყსოს მეტოქეებად H ჯგუფში შეხვდნენ „გოლდენ მონკისი“, „ჰიზინსთემი“ და „დარლინგტონი.“

საქართველოს ქალთა ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს. გუნდს ევროპის ჩემპიონატისთვის საფრანგეთიდან მობრუნებული ვეტერანი ქართველი მორაგბე **პალიკო ჯიმშელაძე** მოამზადებს. ჩვენი ქალთა გუნდი ამსტერდამში პირველად ითამაშებს. ტურნირში ქალთა 24 გუნდი იასპარეზებს.

საქართველოს ნაკრები D ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეობას „სამურაი“, „ნიდერლანდს დეველოპმენი“ და ნორვეგიის ნაკრები გაუწევს. ამსტერდამის შემდეგ, ჩვენი შვიდკაცა ნაკრებები რომის საერთაშორისო ტურნირში ითამაშებენ.

საქართველოს ქალთა ნაკრები

შორენა გამსახურდია, ანა პოლოსიანი, ბელა გოგსაძე, მარეხ მაისურაძე, ნათია გიორგაძე, ნინო ელოშვილი, ნათია ცინცქილაძე, ეკატერინე ბალარჯიშვილი, ნანა კაშია, ქრისტინე შალამბერიძე, ანა ანდღულაძე, ელეონორა გიგილაშვილი.

საქართველოს ვაჟთა ნაკრები

შალვა მახარაშვილი (ყოჩები), ივანე დავითაშვილი, მერაბ შარიქაძე, გიორგი ქოპილაშვილი (სამივე-აკადემია), ვახტანგ კავთიძე, გიორგი კობერიძე, ალექსანდრე ტუჩაშვილი, ირაკლი ღვინჯილია, დავით ჩიტიძე (ხუთივე-ლოკომოტივი), დიმიტრი კალანდაძე (ჯიქები), რატი ნუცუბიძე (არმია), ზაქარია ზირაქაშვილი (ხარები)

ვაჟთა ტურნირი

H ჯგუფი

საქართველო, გოლდენ მონკის, ჰიზინსთემი და დარლინგტონი.

ქალთა ტურნირი

D ჯგუფი

საქართველო, სამურაი, ნიდერლანდს დეველოპმენი და ნორვეგია.

● სკანდალები

კოცნა მუშტით

რაგბიში, ამ თამაშის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირია ჩხუბი და შეხლა-შემოხლა. ქართველი მორაგბეებიდან ჩხუბისთავად და შეუპოვარ, უკომპრომისო მოთამაშედ, საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს“ მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** მიიჩნევა. საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩებში მეტოქეებთან ჩხუბისთვის მას რამდენჯერმე დისკვალიფიკაცია მისცეს, რის გამოც ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე მატჩი გაუცდა.

მაგრამ გორგოძე გამონაკლისი არ გახლავთ. მართალია, ის საკმაოდ ხშირად ჩხუბობს, მაგრამ ბინძურად არასდროს უთამაშია და არც არასდროს ყოფილა მუშტი-კრივის ინიციატორი. რასაც ვერაფრით ვიტყვით საკმაოდ ბევრ, არანაკლებ ცნობილ მორაგბეებზე.

უხეში, ბინძური თამაშით ცნობილი იყო ინგლისის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი მარტინ ჯონსონი, რომელმაც ინგლისის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში „სარასენზის“ შერკინების კვაჭ **რობ რასელს** ტრავმა მიაყენა. მაშინ ჯონსონმა ოფიციალურად, საჯაროდ მოიხადა ბოდიში და მხოლოდ სამკვირიანი დიკვალიფიკაცია აკმარეს.

კიდევ ერთი ცნობილი, საკმაოდ უცნაური მორაგბე კანადელი **ჯიმი კუდმორია**. მას ბინძური თამაში სისხლში აქვს გამჯდარი. ის ფრანგული „კლერმონის“ ღირსებას იცავს და ამ გუნდის მეტოქეები ოცნებობენ, რომ ჯიმი ძირითად შემადგენლობაში იყოს. ამით ისინი ხეირს ნახულობენ, კუდმორი ან ხშირად ჯარიმდება ანაც ერთ ისეთს მოიმოქმედებს, რომ გუნდს კაცნაკლულს დატოვებს.

ყველაზე ცნობილი სამარცხვინო ფაქტი 2001 წელს „ვორათაზისა“ და „ბრიტანელი ლომების“ დაპირისპირებისას მოხდა. ავსტრალიელმა ფულბეკმა **დანკან მაკრიმ** სტუმართა გუნდის მგეზავი **რონან ოგარა** ნაქცეული მოიხელთა და სახეში იმდენი ურტყა, სანამ სისხლი არ ადინა. ცხადია, არბიტრმა ავსტრალიელ მორაგბეს წითელი ბარათი უჩვენა. მაკრის ამ ინციდენტის გამო შვიდკვირიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

ეს წყვილი ერთმანეთს სამი წლის შემდეგ ისევ შეხვდა მოედანზე „ჰაინეკენის ფასის“ გათამაშების ერთ-ერთ მატჩში.

„მისი ფანახვაც არ მსურს. არ მგონია ბოდიში მომიხადოს, მაგრამ თუ მოვა და ხელს გამომიწვდის, საწინააღმდეგო არაფერი მექნება“ - თქვა მაშინ ოგარამ. მაკრის ბოდიში არ მოუხდია.

● მეტოქეები

პომეებმა მზადება მინი-ბანაკებით დაიწყეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე ინგლისის ეროვნული გუნდი, მსოფლიო რაგბის უდიდესი ფორუმისთვის მზადებას უკვე შეუდგა. „პომების“ მთავარმა მწვრთნელმა **მარტინ ჯონსონმა** გუშინ „თვიქნემზე“ მინი-ბანაკი მოწყო.

ინგლისელთა თავკაცმა ის მცირეოდენი მოთამაშე მიიწვია, ვისმა გუნდებმაც ასპარეზობა უკვე დაასრულეს. ესენია „სეილ შარქსის“ ლიდერები **ენდრიუ შერიდანი** და **ჩარლი ჰოჯსონი,** „ლიდისის“ სამხრეთაფრიკული წარმოშობის მესამეხაზელი **ენდრიუ ფური,** „ვოსფსის“ უკანახაზელები **საიმონ შონდი** და **ჯო სიმპსონი.**

ბანაკის დანიშნულება, მძიმე და დამღლელი სეზონის შემდეგ მოთამაშეებისთვის ძალების აღდგენის საშუალების მიცემაა. ნაკრების ძირითადი საწვრთნელი შეკრების დაწყებამდე ჯონსონი კიდევ რამდენიმე ასეთ ბანაკს მოაწყობს.

„ჩვენი მიზანია, ბიჭები პერიოდულად პატარა ჯგუფებად მოვიწვიოთ, ვესაუბროთ, განვუმარტოთ ჩვენი მიზნები და მზადების პოლიტიკა. მოთამაშეთა უმრავლესობამ თავიანთ კლუბებში ასპარეზობა უკვე დაასრულა. ბევრ მათგანს ტრავმის გამო დიდი დრო გაუცდა. აქედან გამომდინარე, გვინდა გავერკვიოთ, რა მდგომარეობაში იმყოფებიან ისინი ამჟამად, რა არის საჭირო, რომ სათანადო ფიზიკურ კონდიციებს მიაღწიონ. ვფიქრობ, ასეთი მინი-ბანაკების მოწყობა სამომავლოდ დიდად შეგვიწყობს ხელს მუშაობაში“ - თქვა მარტინ ჯონსონმა.

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს თასის დაწყებამდე სამ ტესტ-მატჩს გამართავს. „პომები“ 6 აგვისტოს „თვიქნემზე“ უელსის ნაკრებს დაუპირისპირდებიან, ერთი კვირის შემდეგ კი დუბლინში ირლანდიელებს ესტუმრებიან. 27 აგვისტოს კი კარდიფში, მეტოქე ისევ უელსის ნაკრები იქნება.

„ბორჯღალოსნები“ ინგლისის ნაკრებთან ჯგუფური ტურნირის მეორე ტურის მატჩში, 18 სექტემბერს დანიდინში დაუპირისპირდებიან.

პომების ბანაკი

● ზე რაგბი

სიპრიანი ბრიტანეთში ბრუნდება?

ინგლისური კლუბის „ბასის“ წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ რეალურად განიხილავენ ზე რაგბის გათამაშების დებიუტანტ „მელბურნ რებლზში“ მოასპარეზე მგეზავის, **დენი სიპრიანის** უკან, სამშობლოში დაბრუნებას.

სიპრიანიმ ავსტრალიურ კლუბთან ხელშეკრულება შარშან დეკემბერში, ორი პლუს ორი სისტემით გააფორმა. ინგლისელი კი, „მელბურნ რებლზში“ მხოლოდ ერთი სეზონია, რაც თამაშობს, თუმცა უკვე გუნდის ხელმძღვანელობასთან სერიოზული პრობლემები აქვს.

როგორც ჩანს, დენი თავისას არც ავსტრალიაში იშლის და გუნდის განაწესს ხშირად არღვევს. „რებლზის“ თავკაცმა **როდ მაკქუინმა** ის რამდენჯერმე სიტყვიერად გააფრთხილა, მერე, როცა სიპრიანიზე არაფერმა იმოქმედა, ფაქტობრივად, გუნდიდან მოკვეთა. ჭირვეული მორაგბე უკვე მესამე ტურია განაცხადში ვერ ხვდება და მიუხედავად იმისა, რომ მელბურნელები თამაშს თამაშზე აგებენ, მაკქუინი მის შემადგენლობაში დაბრუნებას არ აპირებს.

რაც შეეხება „ბასის“, გუნდი დატოვა მგეზავმა **ბუჩ ჯეიმზმა** და ამიტომ, იძულებულნი არიან მისი სრულფასოვანი შემცვლელი სასწრაფოდ მოძებნონ.

„ჩვენ მართლაც დავუკავშირდით დენი სიპრიანის მენეჯერს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის სასურველი მოთამაშეების სიაში პირველი ნომერია. სიპრიანი ნამდვილად უნიჭიერესი მორაგბეა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რა მოხდა ავსტრალიაში, რატომ აღარ ათამაშებენ. ასე რომ, სანამ რამეს გადაწყვეტთ, დიდი ფიქრი და განსჯა გვმართებს“ - თქვა „ბასის“ აღმასრულებელმა დირექტორმა **ნიკ ბლოფელდმა.**

მაკქოუ კარგერის ნაკვალევზე

რიჩი მაკქოუ

ახალი ზელანდიისა და ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზის“ კაპიტანმა, 2010 წელს მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ აღიარებულმა **რიჩი მაკქოუმ** შესაძლოა „ოლ ბლექსის“ მგეზავ **დენ კარტერს** მიბაძოს და ახალი ზელანდიის რაგბის კავშირთან ხელშეკრულება გაახანგრძლივოს.

„კონტრაქტ ზე ხელი ჯერ არ მომიწერია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ უახლოეს დღეებში ამას გავაკეთებ. მოლაპარაკება ჯერ კიდევ მიმდინარეობს და რამდენიმე პატარა დეტალია დასაზუსტებელი. ცხადია, ახალი კონტრაქტის გაფორმებისთვის რამდენიმე მიზეზი არსებობს, მაგრამ მთავარი მაინც ნაკრების შავი კვართია, რომელსაც ევროპაში გადაბარგების შემთხვევაში ვერაფრით მოვირგებდი“. - თქვა ახალი ზელანდიის ნაკრების 30 წლის კაპიტანმა.

კუდმორი ნაკრებში ბრუნდება

საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „კლერმონის“ შერკინების ბურჯის **დავით ზირაქაშვილის** თანაგუნდელი, მეორეხაზელი **ჯიმი კუდმორი** ეროვნულ ნაკრებში ბრუნდება. სკანდალურად ცნობილ კანადელს ეროვნულ გუნდში 2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ აღარ უთამაშია. მან შარშან საქართველოს ნაკრებთან „ნეკერჩხლის ფოთლების“ შემადგენლობაში თამაშის შანსი უდისციპლინობის გამო გაუშვა. ჯიმიმ საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში მეტოქეს განზრახ ბინძურად ეთამაშა და ამისთვის ერთთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

კუდმორი კანადის ნაკრებში, ივნისში გასამართი „ჩერჩილის თასის“ გათამაშებაში საასპარეზოდ რჩმეს.

კანადის ნაკრები

შერკინება: პეტ რიორდანი, რაიან ჰამილთონი, სკოტ ფრანკლინი, იუბერ ბუდენსი, ანდრეი ტიდმანი, ჯეისონ მარშალი, ტომ დოლეზელი, ჰოსტონ ტეილორი, ბრაიან ერიკსენი, ჯიმი კუდმორი, შონ მაიკლ სტივენი, ჯეკ სინკლერი, ჩონსი ოტული, აარონ კარპენტერი.

უკანა ხაზი: შონ ვაითი, ედ ფერხერსტი, ნათან ჰარაიამა, ანდერ მონრო, რაიან სმიტი, კონორ ტრეინორი, ფილ მაკკენზი, ჯასტინ მენსა-კოკერი, კირან ჰერნი, ჯეიმზ პრიჩარდი.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

● ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

ჯონ გარდე

კონტადორი გადარჩა

ჯირო დ'იტალიას მე-11 ეტაპი ყველაზე დაძაბული და სანახაობრივი აღმოჩნდა. შეტევები, გამოდევნება, ლიდერის მაისურის შეცვლის საფრთხე და მოულოდნელი დასასრული ჩაეტია ტორტორეტოდან კასტელფიდარდომდე 142 კილომეტრში.

დისტანციის პირველი მესამედის განმავლობაში პელოტონი არ დაშლილა. პირველად სიტუაცია „აურია" **დავიდ მილარმა**, რომელმაც ლიდერობა ვერ შეინარჩუნა, მაგრამ გამოაცოცხლა ათამდე ველომრბოლი, მათ შორის თავისივე გუნდის ლიდერი **კრისტოფ ლე მეველი**. ფრანგი საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილს იკავებდა და წარმატებული რბოლის შემთხვევაში შეეძლო ლიდერის ვარდისფერი მაისურა წაერთმია ესპანელი **ალბერტო კონტადორისთვის**.

ლიდერის გუნდი „საქსობანკი" დიდი ხანი არ რეაგირებდა ამ შეტევაზე, კონტადორი კი იმდენად უზრუნველად იღიმებოდა პელოტონში, თითქოს ეს გაქცევა მას მხოლოდ ხელს აძლევდა. მაგრამ როგორც კი გაქცეულებმა ჰანდიკაპი ორ წუთამდე გაზარდეს, **ბიარნე რიისის** გუნდი გააქტიურდა და თავად ვარდისფერი მაისურის მფლობელი ჩაუდგა ამ პროცესს სათავეში.

სანამ ლიდერები და „საქსობანკი" ურთიერთობას არკვევდნენ, დაწინაურებულებს ესპანელი **დანიელ მორენო** გამოეყო და მარტო გაუდგა ფინიშისკენ გზას. წინ კიდევ 25 კილომეტრი იყო და ეს გაქცევა ავანტიურას უფრო ჰგავდა.

ბევრმა სცადა ესპანელის დაწევა, მაგრამ ყოველ მთაზე მორენო სკამიდან დგებოდა და შეტევებს იოლად იგერიებდა. ერთადერთი, ვინც მის ტემპს აჰყვა, ლიტველი **იგნატას კონოვალოვასი** იყო. მისმა და მორენოს დუეტმა ნაყოფიერად იმუშავა, რისი წყალობითაც სხვა გაქცეულები განწირულები აღმოჩდნენ, მათ შორის ლე მეველი, რომელიც აღარ აცხადებდა პრეტენზიას ვარდისფერ მაისურზე.

სამაგიეროდ, პელოტონი გააქტიურდა და ბოლო აღმართზე მთის სპეციალისტებმა ისე მოუმატეს ტემპს, რომ მალე დაინახეს მორენოსა და კონოვალოვასის ზურგები. უფრო მჩატე ესპანელმა მეწყვილე მიატოვა და ფინიშამდე მარტო მისვლა გადაწყვიტა. მხოლოდ 150 მეტრით ადრე „დაიჭირეს" მორენო. ფრანგმა **ჯონ გარდემ** შესანიშნავი საფინიშო სპურტი განახორციელა და მას უკვე ვეღარავინ დაეწია.

ასეთი დაძაბული ეტაპის მიუხედავად, გენერალურ კლასიფიკაციაში არაფერი შეცვლილა. და არც შეიცვლება პარასკევამდე, როცა მორიგი სამთო ეტაპი გაიმართება.

XI ეტაპი

1. **ჯონ გარდე** (საფ, „აუ2რ"); 2. **ხოაკინ როდრიგესი** (ესპ, „კატიუშა") - იგივე დრო; 3. **ჯოვანი ვისკონტი** (იტა, „ფარნეზე") - იგივე დრო; 4. **ხოსე სერპა** (კოლ, „ანდრონი ჯოკატოლი") - იგივე დრო; 5. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, „საქსობანკი") - იგივე დრო; 6. რომან კროიციგერი (ჩეხ, „ასტანა") - იგივე დრო.

საერთო ჩათვლა

1. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, „საქსობანკი") - 33:03.51; 2. **კონსტანტინ სივცოვი** (ბელრ, „ჰაიროუდი") - +0.59; 3. **კრისტოფ ლე მეველი** (საფ, „გარმინი") - +1.19; 4. **ვინჩენცო ნიბალი** (იტა, „ლიკვიგასი") - +1.21; 5. **მიკელე სკარპონი** (იტა, „ლამპრე") - +1.28; 6. **დავიდ არეიო** (ესპ, „მოვისტარი") - +1.37...

● ჰოკეი

რუსი მოძალადე

პატიმრობა ემუქრება „ფილადელფია ფლაიერზის" რუს ფორვარდს **ნიკოლაი ჟერდიოვს**. მან რესტორანში ჩხუბის შემდეგ საკუთარ მეუღლეს შეურაცხყოფა მიაყენა, მოკვლით დაემუქრა მას და ბოლოს მანქანა დაუმსხვრია.

ნიკოლაი ჟერდიოვი

კონფლიქტი მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში დაიწყო. ჩხუბის შემდეგ ქალმა შენობა დატოვა და საკუთარი მანქანით გაქცევა სცადა, მაგრამ პარკინგიდან დროულად გასვლა ვერ შეძლო და თავზე განრისხებული ქმარი დაადგა. თუმცა ფორვარდმა ჩაკეტილი კარის გაღება ვერ შეძლო. ჟერდიოვი ცოლს უშვერი სიტყვებით ლანძღავდა, შემდეგ კი რკინის კეტი იპოვა და მანქანას დასცხო. ქალმა მაინც სცადა გაქცევა და იმავე დღეს პოლიციაში იჩივლა.

დაზარალებულმა განაცხადა, რომ მეუღლე ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდა, გარდა ამისა, სერიოზული ზიანი მიაყენა მას „ბენტლის". საგარაუდოდ, „ფილადელფიას" ფორვარდს „სხვისი ქონების შეგნებულად დაზიანების" მუხლით გაასამართლებენ. გარდა ამისა, მილიცია მუშაობს სიკვდილის მუქარის ვერსიაზე, თუმცა სამართალდამცავები დარწმუნებულნი არიან, რომ ჰოკეისტს ამ მუხლით არ დასჯიან, რადგან ჟერდიოვს არ ჰქონდა თავისი მეორე ნახევრის მოკვლის მიზეზი.

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

მაიამი გაუვალი იყო

აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალის მეორე მატჩში „მაიამიმ" სტუმრად დაამარცხა „ჩიკაგო" და საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა. ეს გამარჯვება მატჩის ბოლოს „ჰიტის" ბრწყინვალე დაცვამ განაპირობა - მეოთხე მეოთხედში „ხარებმა" მხოლოდ 10 ქულა დააგროვეს.

წინა მატჩში სამარცხვინო წაგების შემდეგ „მაიამი" დროულად მოეგო გონს და დაცვითი თამაშის ნამდვილი გაკვეთილი ჩაუტარა მეტოქეს. სტუმრებმა მხოლოდ 75 ქულა გაუშვეს, აქედან 29 მეორე ტაიმში, ტყორცნების 34.1 პროცენტი ჩააგდებინეს და 20-დან მხოლოდ სამი სამქულიანი გამოაყენებინეს მეტოქეს. ფლორიდელმა სუპერვარსკვლავებმა ყველაფერი დადეს მოედანზე, რათა დაევიწყებინათ გულშემატკივრებისთვის წინა შეხვედრა.

პირველ მატჩში **ლუოლ დენგთან** წაგებული დუელის შემდეგ **ლებრონ ჯეიმსმა** სრულად იძია შური ბრიტანელზე. იმ შეხვედრაში „მეფემ" მხოლოდ 15 ქულა დააგროვა, თანაც საშინელი პროცენტით ისროლა, ახლა კი 21-დან 12 ტყორცნა მოათავსა კალათში, თავად დენგს კი 15-დან მხოლოდ ხუთი ჩააგდებინა - ზუსტად იმდენი, რამდენიც პირველ მატჩში თავად ჩააგდო.

დუეინ უეიდმაც მოახდინა საკუთარი თავის რეაბილიტაცია, რაც შეეხება „დიდი ტრიოს" მესამე წევრს - **კრის ბოშს**, წინა მატჩთან შედარებით მან მკვეთრად უკლო - პირველ შეხვედრაში 30 ქულა ჰქონდა, ახლა მხოლოდ - ათი. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ფორვარდი ჩრდილში იმის გამო მოექცა, რომ მისმა პარტნიორებმა გაილაღეს და არა იმიტომ, რომ ბევრი სროლა ააცილა. ბოშმა ამ მატჩში რვაჯერ ისროლა და ოთხჯერ ზუსტად. სარგებლიანობის კოეფიციენტის მიხედვით კი საუკეთესო იყო ორივე გუნდის რიგებში - „+22". აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დაცვაში ბოში ძალიან საიმედო და სასარგებლო იყო.

შესანიშნავად გამოიყურებოდა ბოშის შემცვლელი **უდონის ჰასლემი**. ეს უნივერსალი ფორვარდი, როგორც იქნა, სრულად გამოჯანმრთელდა და 23 წუთში 13 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი და თითო ჩაჭრა-დაფარება მიითვალა.

„ხარების" რიგებში კი ვინმეს გამოყოფა რთულია. დენგზე უკვე გითხარით, **ჟოაკიმ ნოა** ცუდი იყო, **კარლოს ბუზერი** - საშინელი, სეზონის MVP-ს **დერიკ როუზს** კი ამჯერად თამაში არ წაუვიდა. 21 ქულა, 8 შედეგიანი პასი და 6 მოხსნა ერთი შეხედვით კარგი სტატისტიკაა, მაგრამ საშინელი შედეგია 23 ტყორცნიდან მხოლოდ შვიდი ჩაგდება. ეს რეალიზაციის 30.4 პროცენტი გახლავთ. საერთოდაც, მასპინძლების სასტარტო ხუთეული ერთიანად მოექცა ჩრდილში - სარგებლიანობის კოეფიციენტი -45-ს უდრიდა. პოზიტიური კუთხით მხოლოდ „ჩიკაგოს" სათადარიგოების - **გიბსონის, ბრიუერისა** და **აშიქის** გამოყოფა შეიძლება.

სხვათა შორის, „ჩიკაგოს" მარცხი იმ მომენტიდან დაიწყო, როცა მოედანი თურქმა ცენტრმა დატოვა. ევროპელმა ახალბედამ ნიკაპი იმ დროს დაიზიანა, როცა ტაბლოზე საყაიმო ანგარიში იყო - 73:73. სათამაშო რჩებოდა დაახლოებით ოთხ-ნახევარი წუთი და დროის დარჩენილი მონაკვეთი ფლორიდელებმა 12:2 მოიგეს. ის, რომ ბოლო ოთხ „ჩიკაგომ" მხოლოდ ორი ქულა დააგროვა, ადგილობრივი პუბლიკისთვის ნამდვილი შოკი აღმოჩნდა. ახლა უკვე „ხარებს" სჭირდებათ ფსიქოლოგიური შოკიდან გამოსვლა. წინ ორი მატჩია მაიამიში.

აღმოსავლეთი

ჩიკაგო-მაიამი	75:85

26:19, 20:29, 19:23, 10:14

ჩ: როუზი (21+8 პასი+6 მოხსნა), დენგი (13+5 მოხსნა), ნოა (9+8 მოხსნა), გიბსონი (8+3 დაფარება), ბუზერი (7+8 მოხსნა+2 დაფარება), ბრიუერი (7), ბოგანსი (5), კორვერი (3), უოტსონი (2), აშიქი.

მ: ჯეიმსი (29+10 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), უეიდი (24+9 მოხსნა+2 დაფარება), ჰაესლემი (13+5 მოხსნა), ბოში (10+8 მოხსნა), ბიბი (5+4 პასი), მაგლოირი (2), მილერი (2+7 მოხსნა), ენტონი, ჰოვარდი, ჯონსი, ჩელმერსი.

სერია: 1-1

ლებრონი მატჩის გმირი იყო

● ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

ზვიგენების ნოკდაუნი

პირველ მატჩში ღირსეულად ნაგების შემდეგ „სან ხოსემ" აშკარად ჩააგდო „ვანკუვერთან" სერიის მეორე შეხვედრა. სტუმრებმა პერიოდნახევარი გაძლეს, როცა კანადელთა უპირატესობა მინიმალური იყო. ამის შემდეგ რაც მოხდა, ეს „ზვიგენებისთვის" სრული კატასტროფა აღმოჩნდა.

მატჩში ანგარიშის გახსნა სტუმრებმა მოახერხეს - **ლოგან კუტურმა** დასაჯა მეტოქე უხეშობისთვის და რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა.

ალენ ვინიოს შეგირდებმა პირველი პერიოდის შუაში გაათანაბრეს ანგარიში. ამჯერად ზედმეტი მოთამაშე **დანიელ სედინმა** გაითამაშა, რომელმაც **დენი ჰამჰუისისა** და თავისი ძმის - **ჰენრიკის** გათამაშებული კომბინაცია დაასრულა. ჰამჰუისი და ჰენრიკ სედინი საუკეთესონი იყვნენ შედეგიანი პასების რაოდენობით.

ზუსტად ერთ წუთში მასპინძელთა გუნდი წინ გასვლას ზეიმობდა. **კრისტიან ერჰოფმა** უხერხული სიტუაციიდან უზუსტესი პასი შიაწოდა **რაფი ტორესს**, რომელსაც ისღა დარჩენოდა, უბრალოდ ყვანჯი დაეხვედრებინა შაიბისთვის. თუმცა პირველ შესვენებაზე „ვანკუვერი" მაინც ვერ გავიდა ლიდერის რანგში - ამის გაკეთების საშუალება **პატრიკ მარლომ** არ მისცა. „სან ხოსემ" ამჯერადაც შესანიშნავად გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა.

ამის შემდეგ ყველაზე საინტერესო დაიწყო. მეორე პერიოდის პირველ ათ წუთში „შარქსმა" გაუძლო „კენაქსის" შტურმს, მაგრამ თანდათანობით „სან ხოსეს" სათამაშო მექანიზმი მოიშალა.

თავდაპირველად საქმეს **კევინ ბიეკსამ** მიხედა, რომელმაც „გრრდი ჰოუს ჰეთ-თრიკი" გაიფორმა: კანადელმა შაიბა გაიტანა, საგოლე პასი შეასრულა და **პატრიკ მარლოსთან** იჩხუბა - მეტოქე ფორვარდი ყოველგვარი გართულების გარეშე გააკრა ყინულს.

„შარქსის" მეკარე **ანტი ნიემი** უსაქმოდ ერთი წუთითაც არ ყოფილა და ხანდახან ისეთ „სეივებს" გვთავაზობდა, რომ აღფრთოვანებაში მოჰყავდა მაყურებელი. სწორედ ფინელი გოლკიპერის ოსტატობამ არ მისცა „ვანკუვერს" იმის საშუალება, რომ უკვე მეორე პერიოდში მოამთავრებინა საქმე.

მესამე 20-წუთიულში კი ნიემიმაც ვეღარ გაძლო. „სან ხოსეს" შემადგენლობაში ზედიზედ ორი გაძევება კალიფორნიელებს ორ გაშვებულ გოლად დაუჯდათ. თავიდან **კრისტოფერ ჰინგინსმა** გაიტანა, შემდეგ კი დანიელ სედინმა გაიფორმა დუბლი. სტუმრების განადგურება **აარონ რომმა** და **მეისონ რეიმონდმა** დაასრულეს. სტუმრებში პრესტიჟის მესამე შაიბა **ბენ იგერმა** შეაგდო, რომელიც ამ მატჩში ხუთჯერ გააძევეს მოედნიდან.

რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა სერიოზული ფორა მიიღო სან ხოსეში გასამართი ორი მატჩის წინ. თუ იქ ერთს მაინც მოიგებენ, სერიის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იქნება.

დასავლეთი

ვანკუვერი-სან ხოსე	7:3

2:2, 1:0, 4:1

გოლები: 0:1 კუტური-7 (ჰიტლი-6, ი. უაიტი-7), 1:1 დ. სედინი-7 (ჰ. სედინი-10, ჰამჰუისი-3), 2:1 ტორესი-2 (ერჰოფი-9, ჰანსენი-3), 2:2 მარლო-5 (ჯ. ტორნტონი-11, დ. ბოილი-11), 3:2 ბიეკსა-3 (ჰიგინსი-2, ჰამჰუისი-4), 4:2 ჰიგინსი-4 (რეიმონდი-5, ბიეკსა-4), 5:2 დ. სედინი-8 (ჰ. სედინი-11, ედლერი-5), 6:2 რომი-1 (ბაროუზი-6, ჰ. სედინი-12), 7:2 რეიმონდი-2 (ჰიგინსი-3, ჰამჰუისი-5), 7:3 იგერი-1 (პაველსკი-3, ვლასიჩი-2).

სერია: 2-0

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ვანკუვერი ყველაფერში უკეთესი იყო

● კრივი. ინტერვიუ ვიტალი კლიჩკოსთან

ჰამბურგში გრძელი ენა დამოკლდება

ვიტალი და ვლადიმერი

ბრიტანელ დევიდ ჰეისთან საჩემპიონო ბრძოლამდე ექვსი კვირით ადრე უკრაინელმა ვლადიმერ კლიჩკომ ავსტრიის ალპებში დაიწყო მზადება. ისტორიული ჩხუბის წინ საკუთარი ძმის მზადყოფნის შესახებ ჟურნალისტებს ვიტალი კლიჩკომ მოუყვა.

- ადრე ბრძოლის ორგანიზებისას არასოდეს შეხვედრიხართ ამდენ ბარიერს და მეტოქის მხრიდან უცნაურ და მოულოდნელ მოთხოვნებს. რა იყო ყველაზე რთული ჰეისთან მოლაპარაკებების დროს?

- რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ყველაზე რთული იყო ჰეის რინგზე შეტყუება. რაღაც მომენტში დევიდმა ხმამაღალი განცხადებებით უბრალოდ ჩიხში მოიქცია საკუთარი თავი და ახლა პუბლიკა, უბრალოდ, არ აპატიებს, თუ კიდევ ერთხელ იტყვის უარს ვლადიმერთან შეხვედრაზე. კრივის მოყვარულებს ამ ბრძოლის ხილვა პირველ რიგში იმიტომ უნდათ, რომ სწორედ ჰამბურგის რინგზე დამოკლდება სპორტში ყველაზე გრძელი ენა.

- ვლადიმერმა ერთ-ერთ ინტერვიუში იხუმრა - ბრძოლის კონტრაქტში ჰეის რინგზე პირველ ნომრად გამოსვლა მხოლოდ იმის გამოა ჩაწერილი, რომ ბრძოლის ველიდან არ გაგვეპაროსო. აბსოლუტურად დარწმუნებული ხართ, რომ ჰამბურგში საჩემპიონო შეხვედრა ნამდვილად გაიმართება?

- უფრო ზუსტი იქნება იმის თქმა, რომ ჩვენ ამის იმედი გვაქვს. წინა შემთხვევაში დევიდმა დათქმულ თარიღზე ერთი კვირით ადრე თქვა უარი და გაიქცა, როგორც პატარძალი ჯვრისწერიდან. ამიტომაც ბოლომდე ვერ ვიქნები დარწმუნებული, სანამ ბრიტანელს რინგის კვადრატში არ ვიხილავ. ჰეიმ ორჯერ აარიდა თავი ბრძოლას: თავიდან ტრავმის შესახებ გამოაცხადა, არადა, არ გვიჩვენეს სამედიცინო დასკვნა, მეორე შემთხვევაში კი კონტრაქტის გაფორმების წინ დაივიწყა ჩვენი ყველა მოლაპარაკება და ნიკოლაი ვალუევთან ბრძოლა ამჯობინა.

- თქვენი ძმა ირწმუნება, რომ არ იჩქარებს ნოკაუტს, რომელიც შეიძლება 50-ე იყოს მის კარიერაში. ბოლო დარტყმას ის უკანასკნელი რაუნდისთვის შეინახავს. ესეც ხუმრობაა?

- ნაწილობრივ. ხომ ამბობენ, რომ ყოველ ხუმრობაში არსებობს სიმართლის ნატამალი. ვლადიმერი ძალიან გაბრაზებულია და თუ ჰეის წამების საშუალება მიეცემა, ამას თორმეტივე რაუნდის განმავლობაში გააკეთებს. წერტილს ბოლო გონგის წინ დასვამს.

- ეს იქნება ვლადიმერის კარიერაში ყველაზე ეფექტური ნოკაუტი?

- ამის შესახებ ბრძოლის დასრულების შემდეგ მკითხეთ.

- თქვენი აზრით, ჰეი - მხოლოდ მოლაყბეა, რომელმაც სუპერმძიმე წონაში გარკვეულ დონეს ხმამაღალი განცხადებებით მიაღწია, თუ მართლაც ნიჭიერი მოკრივე, ვისაც შეუძლია დიდი პრობლემები შეუქმნას თქვენს ძმას?

- დევიდს ყველაზე ნიჭიერ მოლაყბეს ვუწოდებდი - ყველაზე ნიჭიერი, ვინც ვლადიმერს ოდესმე შეხვედრია. ხოლო რას დაუპირისპირებს მას ბრიტანელი - ამას 2 ივლისს ვნახავთ.

- როგორ ემზადება თქვენი ძმა მომავალი ბრძოლისთვის?

- ბრძოლამდე ექვსი კვირით ადრე მან ავსტრიის ალპებში დაიწყო საწვრთნელი პროცესი. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და იმედია, ჰამბურში ჩემს ძმას საუკეთესო ფორმაში ვიხილავთ.

- პირად ცხოვრებაში ცვლილებები გავლენას ხომ არ იქონიებს მის სპორტულ ფორმაზე?

- ვიცი, რომ გულშემატკივრები შფოთავენ - ხომ არ ჩავარდება ვლადიმერი დეპრესიაში და რინგზე ჰეის ნაცვლად ჰეიდენზე (მსახიობი ჰეიდენ პენეტიერი, რომელსაც უმცროსი კლიჩკო ცოტა ხნის წინ დაშორდა) ხომ არ იფიქრებს. შემიძლია ყველა დავაწყნარო: ჩემი ძმა სპორტში დებიუტანტი არ არის და შესანიშნავად იცის, როგორ მოახდინოს კონცენტრაცია მნიშვნელოვან ბრძოლებში. ვფიქრობ, პირად ცხოვრებაში ვერანაირი მოვლენა ვერ შეუშლის ხელს ბრიტანელის ნოკაუტში გაგზავნაში.

- თუ ვლადიმერი ჰეის წაართმევს WBA-ის ტიტულს, განხორციელდება კარიერის დასაწყისში ძმები კლიჩკოების მიერ დეკლარირებული ოცნება - ერთ ოჯახში მოიყრის თავს ძირითადი ვერსიებით საჩემპიონო ქამრები. დარჩებათ თუ არა ამის შემდეგ ძმებ კლიჩკოებს რაიმე სტიმული?

- კარიერის მწვერვალზე მას შემდეგ უნდა იმსჯელო, როცა მას დაიპყრობ.

- მაგრამ არსებობს აზრი, რომ ოცნების ასრულების შემდეგ პირადად თქვენ დატოვებთ კრივს და სრულად გადაერთვებით პოლიტიკურ კარიერაზე...

- მოვა დრო და დავუბრუნდებით ამ საკითხს. ახლა სისულელეა კარიერის დასრულებაზე ლაპარაკი, როცა 10 სექტემბერს მორიგი ბრძოლა მაქვს დაგეგმილი, ხოლო ჩვენი კონტრაქტი ტელეკომპანია RTL-თან კიდევ ხუთ შეხვედრაზეა გაგრძელებული.

- თქვენი ბრძოლა ტომაშ ადამეკთან ვროცლავში გაიმართება. რატომ დაგეგმეთ 10 სექტემბრის ჩხუბი მეტოქის ტერიტორიაზე?

- ადამეკის მშობლიურმა ქალაქმა ოპტიმალური ვარიანტი შემოგვთავაზა. ეჭვი არ მეპარება, რომ მეტოქეს უდიდესი მხარდაჭერა ექნება, თუმცა რინგზე ეს დიდ როლს არ თამაშობს: მე და ვლადიმერს სხვადასხვა კონტინენტზე გვიჩხუბია და ბოლოს იმ აზრამდე მივედით, რომ მნიშვნელოვანია არა ბრძოლის ადგილი, არამედ შენი ძლიერი თვისებების მაქსიმალურად გამოვლენა.

● ჩოგბურთი

ჩაკვეტაძეების გასაჭირი

ანა ჩაკვეტაძე
გონს მოიყვანეს

მსოფლიოს ყოფილი მეხუთე ჩოგანის **ანა ჩაკვეტაძის** მამა - **ჯემალ ჩაკვეტაძე** სერიოზულად არის შეშფოთებული ქალიშვილის მდგომარეობით. მაგრამ კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ვერც ერთმა ავტორიტეტულმა ექიმმა ვერ დაუსვა რუს ჩოგბურთელს ზუსტი დიაგნოზი.

„სიმართლე გითხრათ, უკვე აღარავისი მჯერა. ახლა ლაპარაკობენ ყურის ანთებაზე, თითქოს შიგნით რაღაცა რაღაცას ანვება, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად ბუნდოვანი და გაუგებარია, რომ სიმართლე გითხრათ, უბრალოდ, არ ვიცი რა ვიფიქრო და რა გავაკეთო. პირველად წავაწყდი ისეთ სიტუაციას, რომ ამდენმა ავტორიტეტულმა სპეციალისტმა ხეირიანი ვერაფერი გვითხრა“, - ამბობს ჩოგბურთელის მამა.

შეგახსენებთ, რომ 24 წლის მოსკოველმა ჩოგბურთელმა, რომელიც ამჟამად 50-ე ადგილს იკავებს კლასიფიკაციაში, მიმდინარე სეზონში ზედიზედ სამ ტურნირში (დუბაი, ინდიან უელსი, შტუტგარტი) მატჩის მსვლელობისას დაკარგა გონება.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ანამ განაცხადი გამოიტანა საფრანგეთის ღია პირველობიდან, რომელიც კვირას აიღებს სტარტს. ძირითად ბადეში რუსი ჩოგბურთელის ადგილს მსოფლიოს 113-ე ნომერი, უკრაინელი **ეკატერინა ბონდარენკო** დაიკავებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მაგჩი

ლეხი-დორტმუნდი	0:0

ევრო 2011

UNDER 19

ჰოლანდია-ისრაელი	1:1
რუსეთი-ჩეხეთი	0:0

ინგლისი

I ლიგა

პიტერბრო-ვილტონი	2:0

გერმანია

პლეი ოფი

ბორუსია (მ)-ბოხუმი	1:0

რეგიონალლიგა (სამ)

აინტრახტი A-ნიურნბერგი A	1:4

რეგიონალლიგა (დას)

შალკე A-ვიდენბრუკი	0:1

პოლანდია

უეფას პლეი ოფი

დენ ჰაგი-როდა	4:2
ჰერაკლესი-გრონინგენი	3:2

პლეი ოფი

დენ ბოში-ეძსელსიორი	3:3
ვოლენდამი-ვენლო	1:2
კამბური-ცვოლე	2:1
ვეენდამი-ჰელმონდი	3:3

ბელგია

პლეი ოფი

ეუპენი-მონსი	0:2
ლომელი-ვაასლანდი	2:1

დანია

ოდენსე-ჰორსენსი	3:3
კოპენჰაგენი-ვიდტიულანდი	5:2
სონდერიისკი-ესბერგი	2:1

II დივიზიონი

ვიბორგი-ჰობრო	0:0

ნორვეგია

ჰაუგესუნდი-ვოლერენგა	1:1
მიოლდე-ფრედრიკსტადი	2:1
ოდ გრენლანდი-სტაბეკი	2:3
სარპსბორგი-ოლესუნდი	2:0
სიოგნდალი-ლილესტრიომი	2:0
სტრიომსგოდსეტი-ბრანი	1:0
ტრომსიო-ვიკინგი	3:1
სტარტი-როსენბორგი	1:1

შვეიცარია

II დივიზიონი

ანგელჰოლმი-დეგერფორსი	3:0
ატვიდაბერგი-ვარნამო	5:2
ბრაგე-ასირისკა	3:0
ბრომაპიოკარნა-ოსტერი	1:0
ლიუნგსკილე-ლანდსკრონა	0:0
კვიდინგი-ჰამარბიუ	2:2
ვასტერასი-სუნდსვალი	0:0

ფინეთი

ჰაკა-ჰონკა	2:2
ჰიკ-იარო	1:0
ინტერი-ვაასა	3:1
კუოპიო-გარიეჰმინი	2:1
მიუპა-როვანიემი	0:4

რუსეთი

ნ. ნოვგოროდი-შინიკი	3:2
დინამო (ბრ)-ტორპედო (ვ)	0:2

ბელგია

ბორაცი-ტრავნიკი	2:0
ბუდუჩნოსტი-ჟელეზნიჩარი	1:2
ჩელიკი-ველეჟი	1:0
სარაევო-შირიკი ბრიეგი	3:0
რუდარი-ჟვიეჟდა	1:3
სლავია-დრინა	0:1
სლოგოდა-ოლიმპიკი	0:1
ჭრინსკი-ლეოტარი	4:0

აზერბაიჯანი

ქაბალა-მუგანი	2:1
მოიკ-თურანი	4:1
სიმურძი-განჯა	4:3

კალათბურთი

საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი-არისი	95:63
პანათინაიკოსი-პაოკ	95:52

ესპანეთი

ბარსელონა-უნიკახა	75:66

იტალია

აველინო-ბენეტონი	78:82
სიენა-ვირტუსი	94:55

რუსეთი

სპარტაკი-ენისეი	82:74
უნიქსი-ტრიუმფი	90:69
ხიმკი-დინამო	86:78
ცსკა-კრ. კრილია	86:65
ლოკომოტივი-ნ. ნოვგოროდი	76:89

თურქეთი

ოლინი-ბანვითი	81:52

ჩოგბურთი

ATP. ნიცა

ჰანეს|კუ-ჰაასე	6:2, 2:0 უარი
ანდუხარი-ალმაგრო	1:6, 4:6
ფერერი-დოგოპოლოვი	4:6, 6:1, 5:7
გულბისი-ბერდიხი	1:6, 4:6

WTA. ბრიუსელი

პენგი-არვიდსონი	6:2, 6:4
დულგერუ-ზვონარევა	0:6, 1:6
ვოზნიაცკი-ვიკმაიერი	2:0 უარი
სკიავონე-მორიტა	6:2, 6:3

WTA. სტრასბური

ლუჩიჩი-მედინა გარიგესი	4:6, 4:6
ჰანტუხოვა-პეტროვა	6:4, 6:2
ბარტოლი-ჰრადეცკა	6:2, 6:3
პეტკოვიჩი-კირილენკო	6:4, 6:3

მს. ჩემპიონატი

პეტცშნერი-ანდრეევი	6:2, 6:4
ტროიცკი-გრანოლერსი	6:4, 6:4
კუკუშკინი-ლინდელი	6:0, 6:1
ფიში-მონაკო	6:7, 5:7
გოლუბევი-სიოდერლინგი	7:6, 6:7, 3:6
ისნერი-ჩელა	1:6, 6:7

● TV პროგრამა

20 მაისი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 გერმანიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. ბორუსია (მ)-ბოხუმი. I მატჩი.
13:00 ლივერპული - ტოტენჰემი
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ველეს სარსფილდი.
00:00 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-კალიარი.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ველეს სარსფილდი.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. დალასი-ოკლაჰომა. II მატჩი.
14:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულონი-ტულუზა.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიცა. საფრანგეთი (LIVE).
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი“. ფინალი. პანათინაიკოსი-მაკაბი. ბარსელონა. ესპანეთი.
22:20 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. დალასი-ოკლაჰომა. II მატჩი.
00:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-მაიამი. II მატჩი.

HTB-პლუსი (სპორტი)

05:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ხოსე-ვანკუვერი. III მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიცა. საფრანგეთი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

15:40 რუსეთის ჩემპიონატი. ტერეკი-ანჟი (LIVE).
18:00 რუსეთის ჩემპიონატი. ყუბანი-ნალჩიკი (LIVE).
20:15 რუსეთის ჩემპიონატი. რუბინი-ლოკომოტივი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

14:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. გუნდური ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).

EUROSPORT

16:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIII ეტაპი. იტალია (LIVE).
23:00 პროფესიული კრივი. საშუალო წონა. ს. რაბჩანკო (ბელარუსი)-ბ. პრაისი (ბრიტანეთი). ინგლისი (LIVE).
01:05 ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. VI ეტაპი. აშშ (LIVE).

EUROSPORT-2

15:00 ჩოგბურთი. საჩვენებელი ტურნირი. III დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
17:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ბრიუსელი. ბელგია (LIVE).

ფეტელი თავის ბოლიდს არ შორდება

ნაკლები გასწრება იქნება

ბარსელონაში ესპანეთის უახლოეს გრანპრიზე ბევრ აქტუალურ კითხვას გაეცემა პასუხი. გააგრძელებს თუ არა დომინირებას გერმანელი **სებასტიან ფეტელი**? რამდენად წარმატებულად იმუშავეს თავიანთ შეცდომებზე „ფერარიმ“ და „მაკლარენმა“? რამდენ ხანს გასტანს ლეგენდარული **მიხაელ შუმახერის** კრიზისი? გაგრძელდება თუ არა ახალი ძალით „ლოტუს-რენოს“ პილოტების - **ვიტალი პეტროვისა** და **ნიკ ჰაიდფელდის** კონფლიქტი, რომელიც თურქეთის გრანპრის დროს დაიწყო?

■ ■ ■

ამ მომენტისთვის პეტროვმა და ჰაიდფელდმა ოთხი სასტარტო ეტაპის შემდეგ თანაბარი რაოდენობის ქულები (21-21) დააგროვეს და ორივე თითოჯერ ავიდა პოდიუმზე. ისინი ბოლო მომენტამდე თავიდან იცილებდნენ ტრასაზე ურთიერთობის გარკვევას, მაგრამ „ისტამბულ-პარკზე“ გამართული რბოლის პირველ ნახევარში გვერდიგვერდ აღმოჩდნენ: ჰაიდფელდი გასწრებას ცდილობდა, მაგრამ მეტად ხისტი პასუხი მიიღო.

მანქანები საბურავებით შეეხნენ ერთმანეთს და ამან კინაღამ ავარია გამოიწვია. ფინიშის შემდეგ ნიკი უკმაყოფილებას ვერ მალავდა და ჟურნალისტებთანაც კი წაიწუწუნა პეტროვის მხრიდან უხეშობის გამო.

მაგრამ თავად რუსი და რაც მთავარია, „ლოტუს-რენოს“ ბოსი **ერიკ ბუიე** პრინციპულად სხვა პოზიციაზე არიან. შეფმა პეტროვის მხრიდან თავდაცვაში მიულებელი ვერაფერი დაინახა. *„კარგია, რომ ისინი იბრძოდნენ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ერთ დონეზე არიან. ამასთან, ბოლიდები არ დაზიანებულა და ორივემ ქულათა ზონაში შეაღწია“*, - აღნიშნა ბუიემ.

თუმცა ამ დღეებში ერიკმა აღიარა, რომ რბოლის შემდეგ მან, ნიკმა და ვიტალიმ „ცხელ გულზე“ ილაპარაკეს, პრობლემა განიხილეს, რათა თავიდან აიცილონ გუნდში წარმოქმნილი კონფლიქტის მომავალი ესკალაცია. *„ვფიქრობ, სამივემ გავუგეთ ერთმანეთს“*, - დაამატა ფრანგმა.

მერსედესი უტევს, შუმახერი არა

თურქეთში ყველაზე დიდ პროგრესს „მერსედეს გრანპრიმ“ მიაღწია. მართალია, მიხაელ შუმახერი კვლავაც ვერ გადის ძველ დონეზე, სამაგიეროდ, მისმა მეწყვილემ **ნიკო როსბერგმა** საერთო ჩათვლაში თითქმის გააბათილა ჩამორჩენა პეტროვთან და ჰაიდფელდთან. და თუ „ლოტუს-რენოში“ უკეთესობისკენ არაფერი შეცვალა, ნიკო მათ უკვე ბარსელონაში გაუსწრებს.

რაც შეეხება მიხაელ შუმახერს, თურქული რბოლის შემდეგ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ვერ მიიღო რბოლისგან ძველებური სიამოვნება. ეს რეპლიკა პრესამ მაშინვე აიტაცა და ისევ დაიწყო გერმანელის ნაადრევად წასვლაზე ლაპარაკი. ესპანეთის გრანპრის წინ სიტუაციას კომენტარი გაუკეთა „მერსედესის“ შეფმა **როს ბრაუნმა**: *„გასულმა რბოლამ მართლაც არ მოიტანა პოზიტიური ემოციები და სწორედ ამას აღნიშნავდა ფინიშის შემდეგ მიხაელი. ასეთ რბოლებს სიამოვნება არ მოაქვთ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ - ახალ უქმეებზე შუმახერი აუცილებლად მოუმატებს და მისი შედეგები ჩვენი მოლოდინის შესაბამისი იქნება.*

მე ველაპარაკე მიხაელს, განვიხილეთ ტექნიკური გადაწყვეტილებები, მას აინტერესებდა ჩვენი სიახლეები. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა და ჩვენ ოპტიმიზმით ვიყურებით მომავალისკენ. უბრალოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ასპექტებს, რომლებშიც მაქსიმალურ ეფექტს ვერ ვიღებთ. თურქეთში საკვალიფიკაციო სესიამდე ის ძალიან სწრაფი იყო, შემდეგ კი გარკვეული პრობლემები წარმოიშვა. საჭიროა უბრალოდ ბოლომდე მივიყვანოთ საქმე.

ის ძველ სასწრაფეს რომ არ აჩვენებდეს, მაშინ ვინერვიულებდით, მაგრამ მე არ ვნერვიულობ, რადგან მიხაელი ძველებურად ძალიან სწრაფია“.

ფეტელი უმატებს

„რედ ბული“ და კონკრეტულად მისი ლიდერი სებასტიან ფეტელი არ აპირებს მიღწეულით დაკმაყოფილებას - იმისთვის, რომ კონკურენტებმა ვერ შეძლონ ლიდერის დაწევა, ბევრი მუშაობაა საჭირო. თუმცა უპირატესობა მეტოქეებზე მართლაც ძალიან დიდია - ოთხ რბოლაში სამმა მოგებამ და მეორე ადგილმა ფეტელს საერთო ჩათვლაში **ლუის ჰემილტონზე** 34-ქულიანი უპირატესობა მოუტანა.

რა თქმა უნდა, „რედ ბულმა“ მართლაც ბრწყინვალე მანქანა შექმნა, მაგრამ სებასტიანმაც ძალიან მოუმატა. *„ფეტელი ხშირად გვიანობამდე მუშაობს, ცდილობს უფრო მეტად ჩაწვდეს ბოლიდის საიდუმლოებებს, აინტერესებს, რისი გაუმჯობესება შეიძლება. ის პროგრესირებს, სწრაფად სწავლობს და იშვიათად უშვებს ერთი და იმავე შეცდომას. ამ მომენტისთვის ის საუკეთესო ფორმაში იმყოფება“*, - ირწმუნება „რედ ბულის“ ტექნიკური დირექტორი **ედრიან ნიუი**.

საინტერესოა, რომ შარშან ბარსელონაში ფეტელმა წაგო თანაგუნდელ **მარკ უებერთან** როგორც კვალიფიკაციაში, ასევე რბოლაში. საერთოდ, ფორმულა 1-ის საშინაო ავტოდრომზე (აქ ყველაზე ხშირად იმართება ტესტები) სებასტიანს არასოდეს მოუგია, ისევე როგორც ლუის ჰემილტონს. „მაკლარენის“ პილოტს MP4–26-ის პროგრესის იმედი აქვს, თუმცა, თუ ერთი კვირის წინ ესპანეთში სადებიუტო გამარჯვებაზე ლაპარაკობდა, ამჯერად ოდნავ მოკრძალებულ პროგნოზს აკეთებს, რაც ამფოთებთ „მაკლარენის“ გულშემატკივრებს.

სხვათა შორის, ბარსელონაში პილოტებს, შეესაძლოა, პირველად შეექმნათ გასწრების პრობლემა, რადგან ტრასის კონფიგურაცია მოძრავი უკანა ანტიფრთის ეფექტურად გამოყენების საშუალებას არ იძლევა, როგორც ეს თურქეთსა და ჩინეთში იყო. თუმცა კატალონური ავტოდრომის ხელმძღვანელობამ უკვე გამოთქვა ტრასის გადაკეთების მზადყოფნა, თუ 2011 წლის რბოლა უინტერესო გამოვა.

ესპანეთის გრანპრი

20 მაისი, პარასკევი

12:00 I თავისუფალი პრაქტიკა
16:00 II თავისუფალი პრაქტიკა

21 მაისი, შაბათი

13:00 III თავისუფალი პრაქტიკა
16:00 კვალიფიკაცია

22 მაისი, კვირა

16:00 რბოლა

ალონსოს ახალი კონტრაქტი

ესპანელი ფერარიში 2016 წლის ბოლომდე დარჩება

ესპანეთის გრანპრის წინ **ფერნანდო ალონსომ** და „ფერარიმ“ ახალ კონტრაქტზე მიაღწიეს შეთანხმებას. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი „სკუდერიაში“ 2016 წლის ბოლომდე დარჩება.

„ძალიან სასიამოვნოა იმ ავტომრბოლთან ურთიერთობის გახანგრძლივება, რომელიც მუდმივად ახდენს გამარჯვებულის მენტალიტეტის დემონსტრირებას, თუნდაც ყველაზე რთულ სიტუაციებში. ფერნანდოს ყველა საჭირო თვისება აქვს - პროფესიულიც და პირადიც - იმისთვის, რომ ლიდერის როლი ითამაშოს „ფერარის“ ისტორიაში. იმედი მაქვს, ის ძალიან მალე შეავსებს ჩვენი გამარჯვებების კოლექციას“, - ამბობს „ფერარის“ პრეზიდენტი **ლუკა დე მონტეკემოლო**.

ფერნანდო ალონსო

„ბედნიერი ვარ „ფერარისთან“ კონტრაქტის გაფორმებით. ამ გუნდში თავიდანვე კომფორტულად ვიგრძენი თავი, ახლა კი ის ჩემი მეორე ოჯახივითაა. მჯერა იმ ადამიანების, რომლებიც მარანელოში მუშაობენ და მათიც, ვინც მათ ხელმძღვანელობს. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მრავალწლიან კონტრაქტს გავაფორმებდი გუნდთან, რომელშიც მრბოლელის კარიერას დავასრულებ“, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ამ ახალ ამბავს ფერნანდო ალონსომ.

ინდოეთის ავტოდრომი

ჩემპიონატი დეკემბერში დასრულდება

ბაჰრეინის ეტაპი ინდოეთის გრანპრის ადგილას ჩასვეს

როგორც ჩანს, ფორმულა 1-ის ბოსებმა მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში მონახეს ფანჯარა ბაჰრეინის გრანპრისთვის.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლის სეზონის სასტარტო რბოლა ქვეყანაში პოლიტიკური არეულობების გამო გადადეს. მას შემდეგ დიდი ხანი მიდიოდა ბჭობა იმაზე, ღირდა თუ არა ნელს ბაჰრეინის ეტაპის ორგანიზება, მაგრამ, როგორც ჩანს, სიტუაცია სტაბილური გახდა და „სამეფო რბოლების“ ორგანიზატორებმა არ მოისურვეს გარანტირებული თანხის დაკარგვა.

გუშინ ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერ **ბერნი ექსლტოუნს**, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებსა და ბაჰრეინის მხარეს შორის მოლაპარაკება გაიმართა, რის შემდეგაც ინდოეთის გრანპრის ორგანიზატორებს გაეგზავნათ შეტყობინება - მათ თავიანთი ეტაპი ერთი თვით წინ უნდა გადაწიონ, რითაც ბაჰრეინის გრანპრისთვის გამოთავისულდება ადგილი.

ამ შემთხვევაში კალენდარში ასეთი ცვლილებები მოხდება: ბაჰრეინის გრანპრი 30 ოქტომბერს გაიმართება, აბუ დაბი ეტაპს 13 ნოემბერს მიიღებს, ბრაზილია - 27 ნოემბერს, ხოლო ინდოეთის სადებიუტო გრანპრი 4 დეკემბერს ჩატარდება. სწორედ იქ დასრულდება 2011 წლის სეზონი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა